

# ნიშნისა და სივრცის



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАՐՏՎԵԼՈ

21 მარტი, 2014 წ. №11 (3697) ბამონის 78-ე წელი შპს 1 ლარი

## თავაზ ნივნივაკე

### მხიარული უნდა იყოს ყოველი პირი და ამათგან „აირველ მოქალაქეს“ გაგონ ივანიშვილს!

**ძვირფასო ბატონო ბიძინა!**  
ამ რამდენიმე დღის წინათ თქვენ საქართველოს მოსახლეობას ტელევიზორის ეკრანიდან გულსტკივილით ამცნეთ – ჩემმა შემოთავაზებულმა პრეზიდენტობის კანდიდატმა არ გაამართლა, ყოველ შემთხვევაში, მე მისგან მეტს მოველოდი!  
თუ არ მიწყენთ, ამასთან დაკავშირებით თავს ნება ვაძლევ, მცირე ხუმრობა შემოგთავაზოთ!  
გახსოვთ, ალბათ, თქვენმა თანამემამულე მუხრან მაჭავარიანმა ქართველ ხალხს სხვადასხვა დროს პრეზიდენტობის ორი კანდიდატი – ზვიად გამსახურდია და მიხეილ სააკაშვილი – დაუსახელა და, სამწუხაროდ, არც ერთმა არ გაამართლა – განსაკუთრებით, მიხეილ სააკაშვილმა!

ბატონო ბიძინა! როგორც ჩანს, წარმოშობით საჩხერლებს ეს საქმე არ გამოგდით და, კარგი იქნება, სხვა დროს პრეზიდენტობის კანდიდატების შემოთავაზებისგან თავს თუ შეიკავებთ!  
თქვენ ამის მეტს ვერაფერს გეტყვით, ჩემს ძვირფას მეგობარს, მუხრან მაჭავარიანს კი ამის თაობაზე თავის დროზე კარგა გვარიანადაც ვუსაყვედურე!  
ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ქვემოთ ვთავაზობ იმ წერილის ტექსტს, რომელიც მაშინ მუხრან მაჭავარიანს გაუუგზავნე!



19. 03. 2014 წ.


### ყარვს გვარისნი შეხუმრობს რიგი მუხრან მაჭავარიანს მისი რახსიების რიგები!

**ძვირფასო თანამემამულენო!**  
თანამედროვეობის დიდ პოეტს, მუხრან მაჭავარიანს, გუშინდელ დაბადებიდან 77-ე წელი შეუსრულდა!  
თითქოს მრგვალი თარიღიც არ არის, მაგრამ, როცა ერთ არცთუ ისე დიდ ციფრში ორი შვიდიანი გაერევა, მეტი ბედნიერება რაღა გინდა კაცს!  
არც არაფერი!..  
მე მხოლოდ დაბადების დღეს ვულოცავ ძვირფას მეგობარს და იმის უფლებასაც ვაძლევ თავს, გავეხუმრო კიდევ!  
ოღონდ ეს მოგვიანებით მოხდება, ახლა კი ამ მისალმებას მთელი სერიოზულობით ვიწყებ!  
მუხრან! ძვირფასო მეგობარო, როგორც ჩანს, ესეც ჩვენს ბედის წიგნში წერებულა – მაღალ ღმერთს ჩვენ ორიდან ერთი დიდ პოეტად, მეორე კიდევ რიგით ლიტერატორად რომ გავეჩინეთ!  
კიდევ კარგი, ახლა ჩვენს თანამემამულეებს იმის ახსნა რომ არ სჭირდებათ, „ზემოთ დასახელებული“ ამ ორი პიროვნებიდან რომელი ვარ მე!  
შენ კიდევ, ძვირფასო მუხრან, განსაკუთრებული მაღლი მოგმადლა უფალმა, როცა თავისივე რჩეული ღმერთი და საქართველოს პირველი პრეზიდენტი დაგასახელებინა!..  
– მხოლოდ ზვიად გამსახურდიაო! – ბრძანეთ თქვენ.  
ღმერთმაც გისმინათ!..  
ეს მაღლი, როგორც მისსავე რჩეულს, მეორედაც მოგმადლათ უფალმა, როცა კვლავაც ღმერთი და სხვა დროსა და სხვა ვითარებაში მეორედ დაგასახელებინათ საქართველოს პრეზიდენტი!..  
ამჯერად – მხოლოდ მიხეილ სააკაშვილიო! – ისევე ბრძანეთ თქვენ.  
ახლაც გისმინათ უფალმა!..


ოღონდ, როგორც შემდგომ გაირკვა, არც ერთმა შენმა კანდიდატურამ – განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილმა – არ გაამართლა!  
არადა, ნეტა, მართლაც როგორ ხდება ეს ყველაფერი, მუხრან! – შენ თვითონ ბრძენი კაცი ორ სხვადასხვა დროს ორ პრეზიდენტს სთავაზობ შენს ქვეყანას და არც ერთი (განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილი) არ ამართლებს!..  
არა და არა! ძვირფასო მეგობარო, მე ნიშნის მოგებით კი არ გახსენებ იმას, რომ შენს მიერ დასახელებული ქვეყნის პირველი პირები არ ამართლებენ (განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილი მყავს მხედველობაში!), არამედ სხვა რამ გამკვირვებია; მაგალითად, ის, რომ ჩვენ თვითონ, ორმა მეგობარმა, ერთსა და იმავე ქვეყანაში ერთმანეთის გვერდით როგორ ვიცხოვრეთ ისე, რომ არასდროს შენი პრეზიდენტი ჩემი პრეზიდენტი არ ყოფილა ანდა პირიქით!..  
დაილოცოს შენი სამართალი, ღმერთო!..  
მე კიდევ, ძვირფასო მუხრან, დაბადების დღის მოლოცვასთან ერთად ამავე წერილში შენი კარგ გუნებაზე დაყენების სურვილიც მქონდა!..  
ერთი სიტყვით, როგორც ასეთ შემთხვევაში შენ თვითონ გიყვარს თქმა – „გეხუმრე, არ გეწყინოს!..  
– კაი ხუმრობაა, ღმერთმანი, – მეტყვი, ალბათ, შენ!  
არადა, მუხრან, შენც კაი ხუმრობა იცი, როცა საქმე ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტობის დასახელებას ეხება!..  
განსაკუთრებით ეს გამოიხატება მაშინ, როცა შენსავე ხალხს შენი ქვეყნის პირველ პირად მიხეილ სააკაშვილს შესთავაზებ!  
არა, ძვირფასო მეგობარო, ეტყობა, პრეზიდენტობის დასახელება შენი ამპლუა არ არის!..

სხვა მხრივ კი, ჩემო მუხრან, მართლაც თავზარდამცემი ნიჭის პოეტი ბრძანდები, რაც ეტყობა კიდევ შენს შეუდარებელ და უბრწყინვალეს პოეზიას!..  
ნეტა, თუნდაც ერთი დღით შენი ლექსების ავტორი მქნა და მერე მსოფლიოს ყველა ქვეყნის პრეზიდენტებსაც ერთ დღეს მოჰკვლიათ პატრონი!  
მათ შორის, ჩვენს პრეზიდენტსაც!..  
თუმცა, რა ქნას ამ კაცმა მეტი – როცა მიხვდა, პრეზიდენტობა არ გამოდის, წერს ახლა განცხადებას და, მგონი, მიდის კიდევ!..  
ეს ძალიან კარგია, მუხრან! ოღონდ იმ შენს პატიოსან დედ-მამას გაფიცებ, იმ გამოთავისუფლებულ ადგილზე შენ თვითონ ანი აღარავინ დაასახელო!..  
თუ ამას შემისრულებ, მზად ვარ, ერთი ამდენი დაბადების დღე კიდევ მოგილოცო!..  
დაბადების დღეს გილოცავ!..

შენი თ.ბ.  
გაზეთი „ლ.ს.“, 14. 04. 2006 წ., №14 (3581)



საქართველოს ფარ-აბჯარო, ჯაჭვის პერანგო.



# შოთა რუსთაველი - 85

...  
- ჩიტო, ჩიტო, ოქროს ჩიტო,  
ბავშვობისკენ ფრინდი, ფრინდი,  
ბონდის ხიდი მაპოვნიე, ზღაპრის ხიდი... ოქროს  
ხიდი...

## ციხე-ტაძართა საბალოპელი

I  
ნეტა ამ ხედებს ქვეყანაზე რა შეედრება -  
ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვა-ვედრებად.

ნევს ვეფხის ტყავზე საქართველო -  
მზისნილხვდომილი,  
თავს დასდგომია იალბუზი ხელაპყრობილი.

თითქო ლოცულობს, ცად ალაველენს ხმათა  
ხავერდებს  
და საქართველოს დღეგრძელობას გამჩენს  
ავედრებს.

თრთის ვენახები... თრთის ყანები... თრთის  
გალავნები...  
თრთის საფლავები წმინდანების და ფალავნების...

II  
ზოგი ციხეა შეკვივლება, ზოგი - გაფრენა,  
ზოგს აუშვია ხომალდივით ნისლი აფრებად.

ზოგი მუშტია, მუქარაა, ზოგი - გინება,  
ალაყაფებით, ქონგურებით რომ იკბინება!

ზოგი ამაყი ლილეოა, ზოგი - გასროლა,  
ზოგიც შორიდან ცის და მიწის მოჩანს სასწორად.

ნლებმა იხუვლა, იხვართქლა და ციხეს შეება:  
ხავსად, დუმილად, ჭილყვაგებად და ბუდეებად.

თითონაც მთელი საქართველო ერთი ციხეა,  
დაგილენია, მტერო, მაგრამ ვერ აგილია.

III  
დიდება თქვენდა, თოროსანო ბერო მამებო,  
თქვენ შეგინახავთ ენა, რჯული, ერი, სამეფო,

ნიგნებს უსხედხართ... ვენახდება ფოლიანტები,  
და, საქართველოვ, სულს იკაჟებ, გოლიათდები!

ვინაც ააგო ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი,  
დიდება მის ლანდს, მე არა ვარ მეტის მთხოველი.

კედლებს ფრესკებად შეხიზნულო წმიდა დედანო,  
ხვედრი თქვენებრი აღარავის გადაეტანოს.

კურთხეულ იყოს, ვინც განსჭვრიტა კლდეში  
ვარძია,  
სულით განათლდეს, ვინც აკვანი მისი არნია.

ვინაც პირველად დაიმღერა „ვეფხი და მოყმე“,  
იმ გუთნისდედას მზადა ვარ ვეყმო!

კირითხურონო, კალატოზნო, ოსტატ-შეგირდნო,  
თუ სადმე რამე ცოდვა გქონდეთ - ღმერთმა  
შეგინდოთ!

IV  
ო, ციხის ლოდო, ჩამოშლილო, ჩამომსხვრეულო -  
შენ, ძვალო ჩემო, გატანჯულო, ჩემო სხეულო.

ო, გოდოლ-ბურჯნო, გალავნებო, ნაგებო  
მკერივად,  
ნაბზარი რაა, ყველა თქვენი ნაკანრიც მტკივა.

გამისკდეს მიწა, თუ შეგბლალო, თუ გივერაგო

შენ - საქართველოს ფარ-აბჯარო, ჯაჭვის  
პერანგო.  
ეჭვი, სიმღერით ყელს ილადრავს შენი მგოსანი,  
ვაზით და ფრესკით ჩემი მხარე მარად იცნობა  
და საქართველოს ციხეებზე მზის შუბოსანი  
დგას მეციხოვნედ მარადისობა!..

## აფხაზური კანტატა

I  
ჩემი მორღუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან,  
ბადეს შლიდა... და მშვილდ-ისრით ტყეში ნადირს  
არბევდა.

ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები ჩაუქად და რაინდად,  
ბეჭზე ორბად შეუფრინეს „ურაიდა რაიდა“.  
გადიფრინეს ყრმობის ნლებმა  
და აფხაზურ-მეგრულით  
ცხრა ლამაზმა ცხენოსანმა გამოტოპა ენგური.

II  
რა პატარა ხარ! (ალბათ ცრემლს თუ აღემატები!)  
და რამდენ, რამდენ სიმწარეს და სიხარულს იტევ.  
მანდ, აფხაზეთში, დაგვიგია კაკანათები,  
აქ კი საფარში ვუჯექით ჩიტებს.

ძიძიშვილობდნენ წინაპარი სახლიკაცები  
და მხარზე ეჯდათ ერთი ჭინკა და ანგელოსი.  
ქორი წინილას აფხაზეთში თუ იტაცებდა,  
ჰაუ, ჰაუო, გვიყვირია სამეგრელოში.  
ჩვენს მონადირეს აჯავრებდნენ თქვენი ჩხიკვები.  
ბევრჯერ ეგ თხებიც ჩვენს ქანჩახებს რქებით  
ეკიდა

და მორღუ აქეთ თუ ოდესმე დააცხიკვებდა,  
- ხვიჩას სიცოცხლე! - ეძახოდნენ აფხაზეთიდან.  
ერთ ცას, ერთ ჰაერს, როგორც უნდა, როდი  
ვაფასებთ,  
ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს.  
ხვიჩა რომ მოკლეს ბრანდენბურგთან  
ორმოცდახუთში,  
თურმე აბრსკილის ლექსს მღეროდა, ლექსს  
სათაყვანოს...

შავი ქალაღი მამამძუძემ მოფშენიტა მუჭით,  
ძიძის კივილმა შესძრა მთელი სამურზაყანო.

III  
ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელი,  
ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ.  
მაგ ტკბილ კალთაში თავს ჩაგიდებ და  
გავყურდები,  
ლოცვით, მადლობით, აღსარებით მითრთის  
ტუჩები.  
შენს კალთას ასდის თაფლის სუნი, ირმის რძის  
სუნი,  
ყრმობის ზღაპარო, მართლა ზღაპრულ სვე-ბედს  
გისურვებ.

IV  
ოდიშში ვარ  
ქორწილში ვარ... ცხენს ვაჭენებ... ჰაიდა...  
„ოდოიას“ გადმოუხტა „ურაიდა რაიდა“...  
ჩანს ანტიკურ არფასავით აივნების რიკული,  
ზედ სიმებად ლერნებია და სხივები ცისკრული.  
ნაიყვანეს თამარ-ქალი აფხაზეთში დიელო და...  
მონამეი ხარ, შენ საქართველო - ერო  
ფეხბენიერო და...  
ჩანს ოდებზე კოლხთა ლერბი, ლერბი სიმინდ-  
ჯიქურის  
და აფხაზურ ცხენის ნალი ავგაროზად მიკრული.

●  
მე ვარ მისანი ხარი ნიქარა,  
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,  
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,  
რომ გემსახურო და გიერთგულო.

შენი უღელი მემჩატოს აგრემც,  
ქედზე რო მადგას განაჩენივით.  
არ მომიღერო, გეთაყვა, სახრე,  
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.

და თუ გქონია რამე ტკივილი  
ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს, -  
ამილოკია ქვამარლივით  
და ხარის ცრემლით დამიტირია.

რამდენჯერ ვმდგარვარ სამოთხის კართან  
ქედგახეხილი, გადატყაული...  
ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა  
არაფერი მაქვს დანაშაული.

და როცა მიწას მივებარები,  
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი, -  
შენზე დამრჩება ისევ თვალები  
ანგელოსების ამოკოცნილი.

## ქართული ზღაპარი

იქ, როინზე სანაოსთან ბონდის ხიდი ქანაობდა...  
გავდიოდი გაღმა მხარეს  
და ჯადოსნურ ლერწამს ვთლიდი,  
თურმე ბენვის ხიდი იყო, მე მეგონა ბონდის ხიდი.  
ვიღაც ქალი ბუოლას სხეპდა  
და ვაზს უმაგრებდა ჭიგოს,  
მე მეგონა გლეხის ქალი, თურმე ღვთისმშობელი  
იყო...

ვიღაც შუბლზე ხარს კოცნიდა  
და მთესვარად ხნულს მისდედა,  
თურმე ქრისტე-ღმერთი იყო, მე მეგონა  
გუთნისდედა.  
იქ ერთ ბიჭთან ვჭიდაობდი, ხათრს არ მიტეხავდა  
ისიც...

თურმე ამირანი იყო, ძმა ბადრის და უსუპისი.  
ერთი გოგო მომწონა - ირმის ჯოგს წველიდა  
მთაში,

თუ ქალღმერთი დალი იყო, ბრიყვმა რა ვიცოდი  
მაშინ.  
კოლხის ქალი მყავდა ძიძად - ამორძალი  
ენამწარე,

ნიშა ხარის სიყვარულიც იმ მხარეში შემასწავლეს,  
დედაჩიტი ბარტყებისთვის  
ღმერთს უნთებდა თაფლის სანთლებს,  
ჩიტის ლოცვას ყურს ვუგდებდი და იმ მადლით  
გავიზარდე.

გზაზე ბევრი გადამიდგა... შემომცინა  
„გიხაროდენ“.  
- ნადი, შვილო, და რაც ნახე, ქართული ხმით  
იგალობე.

# შხაპიანი გუზები ალკოგან სურნელოვან ზეთს (ბ. მოდუბაძის წერილის პასუხად)

ახლა მე ვეკითხები „ბრძენთა ბრძენს“; შეიძლება თუ არა ამგვარი დიაგნოზის გამოცხადება ადამიანს ვანდოთ პრეზიდენტობა. სამწუხაროდ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხათრით ანდეს. მაგრამ ეს ნდობა რა შედეგს გამოიტანს მომავალში, საკითხავია!.. ალბათ, „სალიეთელ სოკრატეს“ ანტიერესებს გიორგი მარგველაშვილზე ჩემი შეხედულება, რაც არჩევნებამდე გამოვქვეყნე და აქვე უნდა გადმოვიცემ შემოკლებით: „ქართველი ერის ეს თავზარდამცემი დიაგნოზი თუ ავადმყოფობის ფურცელი ისეთი შინაგანი მრწამსით და გულწრფელობით არის დაწერილი, რომ ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, მის ავტორს ყოველივე ეს განცდილი და გაშინაგანებული აქვს, მეტიც, არ იქნება საფუძველმოკლებული, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს დასკვნა საკუთარი თავის შესწავლის და თვითშემოწმების შედეგად არის მიღებული... ის საკუთარ თავსებს განაზოგადებს და ერის ობიექტურ რეალობად აცხადებს. ეს არის საკუთარი გრძობების ორგანობით აღძრული რეალობა, ანუ „პერსონალიზმის ბუნებრივია, ამ დასკვნას ჩვენი „სალიეთელი სოკრატე“ არ დაეთანხმება თუნდაც იმიტომ, რომ მისი ვრცელი წერილის ნაკითხვა ერთ რამეში გვარწმუნებს: ის სრულიად თუ არა, დიდ წილად ეთანხმება გ. მარგველაშვილის დიაგნოზს, რადგანაც მისი თვალთახედვა გ. მარგველაშვილის მსოფლმხედველობის იდეტურია. ეს ერთი, და მეორეც, ჩვენი პასუხის ობიექტს უფრო ზეაღმატებული წარმოდგენა აქვს თავის თავზე, ვიდრე გ. მარგველაშვილს.

ახლა, ალბათ, „შეუპოვარ გამქიქებელს“ ისიც აინტერესებს, თუ რატომ ვუჭერდი ნინო ბურჯანაძის კანდიდატურას მხარს და დღესაც არ შემიცვლია აზრი: უპირველეს ყოვლისა, ბატონო „გამქიქებელი“, ნინო ბურჯანაძე, განსხვავებით თქვენი კერპისგან, არის ზნეობრივი ქართველი ქალბატონი, რომელიც ქართულ ტრადიციებზე არის აღზრდილი, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი და სპეტაკი, ამაღლებული გრძობით უყვარს თავისი მეუღლე და შვილები, მშობლები და ნინაპრები... მეორეც, ქალბატონი ნინო არის პატრიოტი ქალბატონი, რომლის მსოფლმხედველობა ეფუძნება ეროვნულ ცნობიერებას. როგორც არაერთხელ თავად გვაუწყებს, ის არის არც პროამერიკული, არც პროევროპული და არც პრორუსული პოლიტიკის მიმდევარი, არამედ ის გახლავთ პროქართული ორიენტაციისა, რომელიც მზად არის, ყველა მეზობელ ქვეყანასთან თუ იმპერიასთან დაამყაროს ურთიერთობა თანასწორობისა და ურთიერთგაგების შესაფერისად. მესამეც, ნინო ბურჯანაძე არის ფართო განათლების და გამოცდილების პოლიტიკოსი; რომელიც გ. მარგველაშვილის მსგავსე პიროვნებებს ჩაიყვანს მდინარის პირას, წყალს არ დააღვინებს და ისე დააბრუნებს. იმავდროულად იგი არის შეუვალი და პრინციპული მეზობელი, საშური აქტიურობით ერკინებოდა არსებულ ფაშისტურ რეჟიმს (განსხვავებით თქვენგან, ბატონო მანასე) და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ქვეყანა ეხსნა ამ მოძალადეებისგან. და, რაც მთავარია, მის ბრძოლას როდი ასულდგმულბდა კარიერისტული ზრახვანი, როგორც ამას თქვენი კარიერისტული ბუნება გაფიქრებინებთ, ჩემო მანასე, არამედ საერთო სახელმწიფო და ეროვნული ინტერესი. ამის დასტურია თუნდაც ის, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა და ხელჩართული ბრძოლა დაიწყო, მან საერთოდ უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე, რათა არ დაეზარალებინა „მეოცნებეთა“ საარჩევნო ყულაბა. მეოთხე, ნინო ბურჯანაძე იმთავითვე წინააღმდეგი იყო თავსმოხვეული კოპაბიტაციისა, რაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სურვილიც იყო. ისე კი, ვინც ღირსებაზე გვესაუბრებდა, მაინც უნდა ესმოდეს, რომ ბილწთან ზავის დადება არც მორალის და არც პოლიტიკის თვალთახედვით მოსაწონი არ არის. მეხუთე, ნინო ბურჯანაძე მოითხოვდა სამართლიანობის „აღდგენას“. მისი დევიზი იყო: სამართლიანობა ყველგან და ყველასათვის. სამართლიანობის აღდგე-

ნა თავისთავად გულისხმობდა ფაშისტური რეჟიმის თავკაცების და მათი იდეოლოგიური ბელადების გასამართლებას. სანამ ეს ჯალათები არ გასამართლდებიან, სანამ ყაჩაღური მეთოდებით წართმეული ქონება არ დაუბრუნდება თავიანთ სამართლიან მფლობელებს და უდანაშაულო ადამიანების, რომლებიც უსამართლო რეჟიმმა ციხეში ანამა, რეაბილიტაცია არ მოხდებოდა, საქართველოში მშვიდობა არ დამყარდება – ეს ხომ ცხადზე ცხადია. მეექვსე, ნინო ბურჯანაძე აქვე მოითხოვდა ვადამდე საპარლამენტო არჩევნებს, რადგანაც მისი (და არა მარტო მისი, არამედ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის) აზრით, დღევანდელი პარლამენტის უმეტესობა არ იმსახურებს ხალხის ნდობას და ისინი ბიძინა ივანიშვილის წყალობითა და ხათრით არიან არჩეულნი. მეტიც, მათ კარგად მოიხრეს დეპუტატის საფარდელი და მამლაყინური ამპარტავნობით გადმოყურებენ ქართველ ხალხს.

კიდევ მრავალი მიზეზის დასახელება შემიძლია, მაგრამ „კმარას“ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლაბორატორიებში გამოყვანილი ჯიშის არსებობას ამას ვერ შეაგნებინებ, ამიტომაც არ ღირს თავის შეწუხება.

განსახილველ წერილში კიდევ მრავალი საკითხია სადავო და უარსაყოფი, მაგრამ სიტყვა ისედაც გამიგრძელდა და მათ განხილვას აღარ შევუდგები, თუმცა არ შემიძლია ზოგიერთ მათგანს მოკლედ არ შევეხო: „სალიეთელ სოკრატეს“ სურს, არა მხოლოდ თავისი ამპარტავანი და დაუწოდებელი გამქიქრავი ტონით გაგაკვიროვოს, არამედ სწაღია, თავისი „ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით განგვაკვიროს“. ასე მაგალითად, ის წერილის დასასრულისკენ ამაყად გვაუწყებს, აქამდე დრო ფაქტების ანალიზს და კონსტატაციას დაეთუთო და „ამჯერად კი საზოგადოების ჯერ კიდევ ბუნდოვანებასა და გაურკვეველობაში მყოფ იმ ნაწილს, რომელსაც აზროვნების, განსჯის, ანალიზის და სწორი დასკვნების გამოტანის უნარი შერჩენია“-ო, ვთხოვო გადაიკითხოს „ჭეშმარიტების ჩემიუფი ფორმულა“. ამ ჭეშმარიტების ფორმულის პირველი აქსიომა ამგვარია: ადამიანის ენა რბილია და, თუ ადამიანს მორალურ-ზნეობრივი მუხრუჭები არა აქვს, ყველაფრის თქმა შეუძლია, ხოლო თუ მის სულში ემშაკი და სატანა ჩაბუდებული და იმავდროულად ერის დამოძღვრის ამბიცია ახრჩობს, რაც უფრო მეტად განათლებული და ფარი-სეფურად ტკბილმოუბარია, მით უფრო მეტი უბედურების მოტანა შეუძლია ქვეყნისა და ხალხისთვის (იხ. მ. სააკაშვილი, დ. ბაქრაძე, ნ. ბურჯანაძე და მისი სულიერი და-ძმა).

აი ეს „სიბრძნე“, ოღონდაც ჩქორთული ქართულით, გადმოცემულია პირველ ფილოსოფიურ ფორმულაში. ჯერ ერთი, ჩვენი სალიეთელ ფილოსოფოსს უნდა მოვახსენოთ, რომ ენა ან მწარე, ან ტკბილია, მაგრამ რბილი საქონლის მოხარული ენაა, მეორეც, მკითხველის გასაოცრად უნდა განვაცხადო, რომ ამ ფორმულაში საყოველთაო ჭეშმარიტებაა გაცხადებული და იგი სწორედ ზედმიწევნითი სიზუსტით გამოხატავს „სალიეთელი სოკრატეს“ წარმოდგენას თავის თავზე, რომელიც ეშმაკს შეუპყრია, თავი საქართველოს მოძღვრად წარმოუდგენია, სინამდვილეში სატანა ასარსალეგინებს ენას. ეს კი უბედურების მესტ არაფერს მოუტანს საქართველოს.

მეორე აქსიომა კი გვაუწყებს, კეთილი საქმის კეთებას ლაპარაკი კი არა, ჭეშმარიტი სიყვარული სჭირდება, მოყვასის, ერის, ქვეყნის, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული; კიდევ სჭირდება თავდადებული პატიოსანი შრომა და რწმენა იმისა, რომ კეთილ საქმეს დამნახავი დაინახავს... ხოლო, თუ ადამიანი ამას ღვთის წყალობად ჩათვლის, ეს უკეთესია, რადგან ეს ადამიანს ღმერთის სიყვარულით და სამართლიანობის ნდობით აღჭურვავს და გააკეთილმობილებს და სხვისადმი სიკეთით აღავსებს, და რაც მთავარია – ხალხად აქციოს და ასე გაამრავლოს სიკეთე და სიყვარული ქვეყანაზე (იხ. ბიძინა ივანიშვილი და მისი სულიერი და-ძმა).

რა გვეთქმის, რასაც ეს ჩვენი მორალის-ტი გვასწავლის, საესებით მართალია და საყოველთაო ჭეშმარიტებაა, მით უმეტეს, რო-

ცა იგი მამულის სიყვარულს ეხება, მაგრამ, ჯერ ერთი, მისი წერილიდან გამომდინარე, მას ამ ჩამოთვლილ თვისებათაგან არც ერთი არ ახასიათებს და, თუ ის თავის თავს სულიერად დახვეწს, კარგი იქნება მისთვის. მეორეც, „ღვთის წყალობა“ გაცილებით ფართო ცნებაა, რომლის მეშვეობითაც შეიქმნა ეს სოფელი, მრავალფეროვნებით შემკული და ზემოთაოფელი ღვთიური სხივით და სითერთით გამშვენებული და ის ოდენ კეთილ საქმედ არ მოიაზრება. იმავდროულად, სიკეთის მქმნელის მიზანი, მართალია, ადამიანის გაკეთილმობილებაა, გაძლიერებაა, მაგრამ საესებით გაუფებარია, რას ნიშნავს „ხალხად აქციოს“. მაგრამ, როგორც სხვა შემთხვევაში, იგი ამას არ დაეძებს, მისთვის მთავარია, ამ ე.წ. ფორმულით მიზანს მიადნოს. მიზანი კი, უკაცრავად, თალღითურია – აქოს და ადიდოს ბიძინა ივანიშვილი და მას ნითელი ბაღდადი აუფრიალოს და თავი ყოვლისშემძლე ყარაჩოხელად მოაჩვენოს, ხოლო მეორე მხარე მინასთან გაასწოროს. პირადად მე ბიძინა ივანიშვილს ღრმა პატივს მივაცხადებ დიდი ქველმოქმედების და ქართველი ერის წინაშე დიდი დამსახურებისა გამო და მძაგს უმადური ადამიანები. მაგრამ არც ის არსებანი მსიბლავს, ზეაღმატებული ქებით თავს რომ აბეზრებენ, რათა მისი კეთილგანწყობა მოიპოვონ. ისე, ბატონ ბიძინას ჩემზე უკეთ უნდა ახსოვდეს ეკლესიასტეს ბრძნული შეგონება: „სჯობს ბრძენისგან კიცხვას ისმენდე, ვიდრე ბრიყვისგან ქება-დიდება (VII, 5)“.

თუმცაღა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ვრცელ, ბოლომით და შხამით აღსავსე წერილში არის წარსულის ობიექტური შეფასების მცდელობაც. ასე, მაგალითად, ჯუმბერ პატიაშვილის მოღვაწეობას ჯეროვან სიმძლეზე აფასებს, თუმცაღა ჯუმბერ პატიაშვილის საქმიანობის ყადრი სათანადოდ არ უნდა ესმოდეს. ჩემი აზრით, ბატონი ჯუმბერის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ეროვნულ პოზიციანზე იდგა (რამდენადაც ეს მაშინ შესაძლებელი იყო) და ჩვენი ერისა და ქვეყნისთვის ერთობ მნიშვნელოვანი და საშური პრობლემები გადაწყვიტა. იმავდროულად, იგი თავის კოლეგა წინაპრებისგან წესიერებით, პატიოსნებით და ღირსებით გამოირჩეოდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ 9 აპრილის „ტრაგედიის“ დატრიალებაში ის უბრალოა და იგი გახდა მსხვერპლი იმ ინტრიგებისა, რომელიც ხშირად კრემლში იბადებოდა. ამ საკითხების გაშუქებაში ვრცელი ადგილი დავუთმე ჩემს მოგონებების წიგნში და აქ აღარ გავიმეორებ. ისე კი, ამ ჩვენი ცოდვით საესეს ეს წერილი რომ მთლიანად ამგვარი სტილით დაენერა, უკეთესი იქნებოდა, რამეთუ ბრძენთა უთქვამთ: „შხამიანი ბუზები აფუჭებენ და ალბობენ სურნელოვან ზეთს“. და კიდევ ერთიც, ვურჩევ, შეემშვეს ფილოსოფოსობას, რაც მისი საქმე არ არის, რადგან მისი ფილოსოფიური ბუზტური მხოლოდ დიმილის მომგვრელია.

დასასრულს, უნდა დავძინო, რომ ჩვენი მანასე მოჭარბებული უზრდელობით საუბრობს გასაქირდ მონინალმდეგებზე (განსაკუთრებით კი ეროვნული მოძრაობის თავკაცებზე), ის, ვიტყვი, „ზღვარს-გადასული თავხედობით უტევს ზოგადად ქართველ ხალხს, რაც მის მუტრუკობაზე მეტყველებს და სხვა არაფერზე. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ის იმგვარი ჯიშის კენტიავრია, ნეოლიბერალის, ნეობოლშევიკის, ნეონაციონალის გული და სხეული აქვს, ხოლო „რბილი“ ენით სამშობლოს და ეროვნების სიყვარულზე მოსარსალეა: იგი მოგვმართავს ქალბატონებს და ბატონებს, „თავის წარმოჩინების დაუოკებელი, ავადმყოფური საურვილით შეპყრობილი, ერთბაშად და ერთ ხმაში აყაყანებულთ“: იქნებ, ვუპასუხოთ ოცდახუთწლიანი ძალმომრეობით დაღლილ და გასავათებულ მოსახლეობას, სად, რომელ ხერხელებსა და ჯურღმულებში იყავით შემძვრალი და შემალული... როცა საქართველო სისხლისგან იცლებოდა, მის მოსახლეობას კი თქვენნი თანადგომა, კეთილი სიტყვა, გამხნეება, მათი უფლებების დაცვისათვის შეურიგებელი ბრძოლა სჭირდებოდა?“ -



ილიზარ ჯავახიძე

კვლავაც იქედნურად გვეკითხება: სად იყავით მაშინ, როცა გატანჯული ხალხი ტელეფონით საუბარს გაუბრბოდა და სახლშიც ჩურჩულით საუბრობდა, როცა ქუჩაში ხოცავდნენ საჯიმე ვაჟკაცებს, როცა მოსამართლეები გამამტყუნებელ განაჩენებს შტამპავდნენ, როცა ციხეებში პატიმრებს ანამებდნენ, აუპატიურებდნენ, ხოცავდნენ, როცა საქართველოში უამრავი პატიმარი იყო, როცა იშლებოდა განათლების სისტემა, ნადგურდებოდა ეროვნული თვითშეგნება, ქართული ენა და ისტორია იდევებოდა, როცა ჭეშმარიტად ქართული კულტურა უზნეობამდე დაცემულმა შოუებმა ჩანაცვლა, როცა ყველა დროის უდიდესმა არქიტექტორმა „ფუტურისტული არქიტექტურის“ ნიმუშებით დაამახინჯა ჩვენი ქალაქი და მისი...  
ეს ყოველივე, რაც ზემოთ არის ჩამოთვლილი და კიდევ უარესიც, მართლაც დაატყდა ქართველ ხალხს, მაგრამ, როცა ამას გვეკითხება ისეთი არსება, როგორიც შენ ბრძანდები, ვისი კნავილი და კრუსუნიც არავის არ სმენია ამქვეყნად, მართლაც რომ ამაზრუნენია და აღსაშფოთებელია. ეს კითხვა, სავანგამოზარის ხმას რომ გამოსცემს, შენ უნდა დაგისვას ქართველმა ხალხმა. სად ეგდე მაშინ, როცა ჩვენს თავზე ქარბორბალა ტრიალებდა? იმ ძნელბედობის ყამს რომელ გამოქვავულში იყავი შემძვრალი, სოროსის რომელ სოროში დასუსნაობდი, თავი რომ გამოგეკევე და გადაგერჩინა, შე მართლაც თავხეო?

კი მაგრამ, ახლა რა ისეთი გეზმანა, რომ შიშველი გადარეულივით ცირკის არენაზე გამოსტი და ათასგზის ნანამებ და ბრძოლაში ნაცად ხალხს აქეთ საყვედურობ: სად იყავით მაშინო?! და საერთოდ ვინ ხარ, საიდან გამოჩიქე, ვინ გამოგზავნა და ვის შეკვეთას ასრულებე?! ვინ მოგცა ამის უფლება, რომ სრულიად საქართველოს მოძღვრავ და ჭკუას არიგებ?! კანდიერებასაც ხომ აქვს საზღვარი?! ყველაფრიდან ნათელია, რომ სოროდან შემინებული თვალებით მომზირალმა როგორც კი იგრძენი თავისუფლების სურნელი და უკვე ხიფათი აღარ გემუტყრებოდა, ველოდა და გამოხტი და გალაღებულმა დაგვიწყე „ტყავის გაძრობა“. შენი საქციელი, ჩემო მანასე, უკუდო ვირის იგავს მაგონებს, რომელიც „ქილილა დ დამანაში“ შაირად ასე არის თქმული:

„უკუდო ვირი კუდისა საძებრად იარებოდა,  
ყანასა რასმე შევიდა, სადაც მცუელი დგებოდა,  
მეველემ ყურნი დაპკუთენა, არათუ კული ჰგებოდა,  
საზღურისა გარდამავალსა მის მეტი რა ერგებოდა?“

გშიშობ, შენც ჩემო მანასე, უკუდო ვირის მსგავსად ყურებსაც არ გამოეთხოვო, რადგან დაუკრეფავში გადახვედი, ზედმეტად გაილაღე, უსახელო კაცმა ქვებუდაწური მეთოდებით სახელის მოხვეჭა მოინადინე და ისეთი ხმამაღალი ნოტის ალებას შეეცადე, რომ შენი ბუნება და ნიჭი ვერ შესწვდებოდა. ასე რომ, კუდს, ყურებს და პირს თუ მაგრად აიკრავ, შენც გადარჩები და ჩვენც გვეშველება რამე. ■



# ბრებვასის ქალო თინაო ანუ გზა სივილიზებული ველურობისკენ

ზურაბ სუსქირიძე

გული მიგრძობს, ვინმე აუცილებლად იკითხავს, ცივილიზებული ველურობა, ნეტავი, რა არისო. არ მიკვირს ამგვარი დაეჭვება, რადგან ჩვენშიც და სხვაგანაც მეტწილად ერთმანეთთან აიგივებენ ცივილიზაციასა და კულტურას. არა და ცივილიზაციასა და კულტურას სინამდვილეში ისეთივე კავშირი აქვთ ერთმანეთთან, როგორც ვარსკვლავებით მოჭედული ცას ასტრონომიის მეცნიერებასთან. აი, რას ამბობს ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე კარგი მცოდნე ორტეგა ი გასეტი: აშშ-ის უმაღლესი ტექნოლოგიური მიღწევების უკან პირველყოფილი საზოგადოებაა ამოფარებული. გასეტი დიდი მოაზროვნეა და უნდა ვენდოთ.

ა, ბატონო, ცივილიზაციისა და კულტურის თანაარსებობის (თუ შეუთავსებლობის) მაგალითი!

პირველყოფილი საზოგადოება ძალიან ახლოა ველურობასთან (თუ მთლად ველური არ არის!). ამიტომ, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ველური და კულტურული საზოგადოების განმასხვავებელი ნიშნები გავისხენოთ.

დღემდე ასეა მიჩნეული: ველურის ქცევას თვითგადარჩენისა და შთამომავლობის შენარჩუნების მოთხოვნილება განსაზღვრავს, კულტურული ადამიანისას კი – ზნეობა. ბიბლიურ მინიშნებას თუ გავისხენებთ, აშკარაა, რომ ადამი სოციალურ არსებად იმის შემდეგ იქცა, როცა სირცხვილის გრძობა გაუჩნდა. გახსოვთ, ალბათ, ედემის ბაღში ცნობადი ხის ნაყოფი რომ შეჭამა, თავისი სიშიშველე შეიცნო მაშინ, შერცხვა და უფლის გამოჩენისას ბუჩქებს ამოეფარა.

სრულიად უდავო იყო ჩვენს დრომდე, რომ სირცხვილის გრძობა ადამიანური ზნეობის საფუძველთა საფუძველია. ამას ეფუძნება პასუხისმგებლობის, ერთგულების, მოვალეობისა და სხვა სოციალური გრძობები. სწორედ სოციალურ გრძობათა ერთობლიობა აქცევს ადამიანის ნაშვილს ადამიანად. ახლად დაბადებული ბავშვი ჯერ კიდევ არ არის ადამიანი, იგი ადამიანად სოციალურ თვისებათა შექმნის კვალობაზე იქცევა, თორემ, იმთავითვე მგლებში ან მაიმუნებში თუ გაიზარდა, მგელი ან მაიმუნი იქნება მაშინ. ამაში მცოდნე ადამიანებს ეჭვი არ ეპარებათ. აკი, ამბობდა კიდევ დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუილ კანტი: ვარსკვლავებით მოჭედული ცა ჩემს ზევით და მორალური კოდექსი ჩემში. ხალხურ ენაზე, ჩემი აზრით, ეს ნიშნავს, ველურისგან მე მხოლოდ ჩემში არსებული მორალური კოდექსით განსხვავდებით, თორემ ვარსკვლავებიანი ცა ორივეს ერთნაირად დაგვყურებს თავზე. კანტიც დიდი მოაზროვნე იყო და მასაც უნდა დაეფუჯვროთ.

ერთი სიტყვით, ცივილიზებული ველურობა ის იქნება, თუ დღევანდელი ტექნიკით აღჭურვილი ადამიანი უარს იტყვის ზნეობაზე და ამით ხელს აიღებს კულტურაზე.

ვაი, რომ ამის ნიშნები სრულიად აშკარაა დღეს. ამიტომ, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს მასირებული შეტევა ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებზე,

ეროვნულ ტრადიციებზე, ოჯახზე, ყველაფერზე, რაც ადამიანის ჯიშის შენარჩუნება-კვლავნარმოებას უზრუნველყოფს.

უპირველესად ადვილ სამიზნედ სირცხვილის გრძობა აირჩიეს და ადამიანის ხელისშემშლელ კომპლექსად გამოაცხადეს იგი. სირცხვილის გრძობისგან გათავისუფლება აქტიუალურ ამოცანად მიიჩნიეს საზოგადოებრივი „პროგრესის“ გზაზე.

იცინა „მასირებული შეტევის“ ორგანიზატორებმა და სტრატეგებმა, რომ სირცხვილის გრძობას თუ დაუკარგავ ადამიანს, მერე ადვილია მისი განძარცვა ყოველგვარი ადამიანური თვისებისგან. სირცხვილის გრძობა ადვილ სამიზნედ იმიტომ მიიჩნიეს, რომ ჩვენში კარგა ხანია კარიერულ თუ ეკონომიკურ წარმატებებს იოლად სწორედ უსირცხვილო ადამიანები აღწევენ.

ვის და რატომ დაგეგმა კაცობრიული მორალის წინააღმდეგ ეს უღვთო ომი, ამას სხვები არკვევენ. მე კი ვხედავ, რომ ყველგან თანაბარი წარმატებით არ მიმდინარეობს იგი. იქ, სადაც ხელისუფლება ზნეობის წინააღმდეგ მოლაშქრე ვაიდემოკრატებს, უილიბერალებსა და ათასი ჯურის ენჯელებს შეეკრა, წარმატება აშკარაა, მაგრამ სადაც „უღვთო ომის“ ლეგიონერებს „მაგარი მუშტი“ მოხვდათ ცხვირში ხელისუფლების საკანონმდებლო პოზიციის გამო, მათი გამარჯვება ფრიად საეჭვო გახდა. აი, ჩვენს მეზობელ დიდ რუსეთში კანონით ასე წლით აიკრძალა ჰომოსექსუალიზმისა და სხვა ანტიადამიანური გამოვლინების პროპაგანდა. ლგპტ-ის ქომაგი უცხოელი და რუსეთელი ვაიდემოკრატებისა და უილიბერასტების ყმუილ-ნკავნკავი ცალ ფეხზეც არ ჰკიდია რუსეთის მთავრობას. როგორც ჩანს, მისთვის მნიშვნელოვანია არა ძია სემისა თუ მამიდა პილარის, ევროპარლამენტისა თუ რაღაც პარლამენტის წარმომადგენელთა აზრი, არამედ საკუთარი ხალხის ინტერესები. ასევე ღირსეულად იქცევა ჩვენი მეორე დიდი მეზობელი თურქეთის მთავრობა. აი, იქ კი მართლაც, ყოველგვარი გადატანითი მნიშვნელობის გარეშე, მაგარი მუშტი უთავაზეს ცხვირში თავიანთ ლიბერასტებსა და მათ უცხოელ დამქაშებს. სწორედ ამ ქვეყნებში მოიტყვენ კისერს ე. წ. „ევროპული ღირებულებების“ პროპაგანდისტები.

ან ეს „ევროპული ღირებულებები“ რა არის, მაცოდინა, ნეტავი! განა მართლა ვინმეს ჰგონია, რომ არსებობს კონტინენტური ღირებულებანი? ვის ატყუებენ ეს სულგაყიდული ენჯელები? ევროპული ღირებულებაა ჰომოსექსუალიზმი, ლესბოსელობა და სხვა სახის არაკაცური და არაქალური ქცევები? ევროპის ნამდვილ დედაქალაქში – პარიზში მილიონი კაცი გამოვიდა საპროტესტო დემონსტრაციაზე ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ყურად არ იღო ხალხის მოთხოვნა. ცნობილმა ფრანგმა მწერალმა პროტესტის ნიშნად ნოტრ-დამის წინ თავი მოიკლა...

ტრ-ის მიცემა ევროპული ღირებულება ყოფილა! კი, აბა!

ევროპული ღირებულება კი არა, ამ არაადამიანური მორალის პროპაგანდას იოლად ახერხებენ უხერხემლო ევროპული დემოკრატიის პირობებში, სადაც საზოგადოება გათითოკაცებულია, მათ აღარც ეროვნული იდეოლოგია აერთიანებთ და აღარც მამაპაპური ტრადიციები. მხოლოდ რეკლამაა ერთადერთი, რაც გარკვეული (ვიდაცისთვის სასურველი!) მიმართულებით საზოგადოებრივი აზროვნების წარმართვას ახერხებს.

ჩვენში რა ხდება, ჩვენში, რაზედაც სტატიის სათაურში მივანიშნე? ან თინა რა შუაშია? იმედი მაქვს, არ იფიქრებთ, რომ მოხევის ქალ თინაზე ვაპირებ საუბარს. მე იმ თინაზე მოგახსენებთ, რომელიც ქართული ტელევიზიის „ჩემი ცოლის დაქალების“ პერსონაჟია და ეკრანზე უკვე ნაჩვენებია მრავალი სერიის განმავლობაში თავი კეთილად დაამახსოვრა და შეაყვარა ქართველ მაყურებელს.

ჩვენს ტელეეკრანებზე გამოტანილი სერილების დიდ უმრავლესობას არც მხატვრული და არც შემეცნებითი ფუნქცია არ გააჩნიათ. მათ სრულიად გარკვეული პოლიტიკური და ზნეობრივი (უფრო კი ანტიზნეობრივი!) პროპაგანდისტული ამოცანები აქვთ დასახული. დაკვირვებულ თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ის ზნეობრივი თუ პოლიტიკური თვისებები, რომლის პროპაგანდა-დანერგვაც მიზნად დაუსახავთ ავტორებს, ყველაზე უფრო დადებით პერსონაჟებს ახასიათებთ. მაგალითად, „ჩემი ცოლის დაქალებში“ ერთი პერსონაჟი (რომელიც, საბედნიეროდ, ცოტა ხანს ჩანდა ეკრანზე და ისიც ადვილად გასაგებია, რატომ ჩანდა ცოტა ხნით!) გამორჩეულად ზრდილობიანი, თავდაჭერილი, განონასწორებული, გულისხმიერი, კარგი პროფესიონალი და ფიზიკურადაც უნაკლო კაცია. იგი პირველივე ეპიზოდებიდან მაყურებლის სიმპათიას იმსახურებს და... უცებ აღმოჩნდება, რომ ცისფერია, გასაგებად თუ ვიტყვი, პედერასტია.

როგორც ჩანს, მისი გამოჩენა საზოგადოებრივი განწყობის ზონდირებას ემსახურებოდა. „იმედი“ უნდა ვიქონიოთ, რომ ახალ ტელევიზიებში პედერასტები უფრო ხანგრძლივად მიიქცევენ ჩვენს ყურადღებას.

აი, თინა კი უფრო მასშტაბურ ამოცანას ასრულებს: ოჯახის დღემდე დამკვიდრებულ ტრადიციას უპირისპირდება, თანაც ქალის უფლებების დაცვისა და პიროვნული თავისუფლების სახელით.

ქალისა და კაცის თანაცხოვრებას თურმე რაიმე ურთიერთპასუხისმგებლობა კი არ უნდა ახლდეს, არამედ მხოლოდ სქესობრივი ლტოლვა, რომელიც გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ უთუოდ შენელებს (ან სულაც გაქრება) და თანაცხოვრებაც უპრობლემოდ დამთავრდება. სწორედ ეს ყოფილა თავისუფლება. აი, ამ მორალის მატარებელია სერილის ყველაზე სანიშნუ პერსონაჟი – თინა.

ქართულ ტელეეკრანზე დღემდე ნაჩვენებ „ჩემი ცოლის დაქალების“ უამრავ სერიამ მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის თინა გამოირჩეოდა ნიჭიერებით, განათლებით, პრინციპულობით, ძლიერი პიროვნული ხასიათით, გულისხმიერებით, უანგარობით, შემწყნარებლობით და ყველა იმ თვისებით, რაც პიროვნებას ამკობს და ამშვენებს და, როცა

მან მაყურებელთა საერთო პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა, მოულოდნელად ერთ ძალიან კარგ კაცს შესთავაზა, მომწონხარ და შენთან ერთად წოლით რეჟიმში მინდა ვიცხოვრო, მხოლოდ ცოლქმრულ კავშირზე სიტყვა არ გამაგონო. კარგიო, – უთხრა იმ კაცმაც და დაიწყეს ცხოვრება.

ისინი ერთად დადიან სტუმრად მეგობრებთან, ნათესავებთან, სადაც თინა ყველას უცხადებს, ეს კაცი ჩემი ქმარი არ გეგონოთ, უბრალოდ, გვიყვარს ერთად წოლით რეჟიმში ყოფნა და ეგ არის და ეგო. როდესაც მამინაცვალმა წვეულებზე ერთ-ერთი ასეთი განცხადების პასუხად მორიდებით შენიშნა, ქალი და კაცი რომ ერთად ცხოვრობს, ცოლ-ქმარი არიან, აბა, რაო, თინამ ისე იქედნურად ჩაიღიმა, რომ გვაგრძობინა, ეს კაცი როგორ უიმედოდ ჩარჩენილა წარსულშიო.

გამოდის, რომ ოჯახი წარსულის გადმონამთია, თინა კი პროგრესის დამამკვიდრებელი! ფილმის ავტორები და მათი დამკვეთები ამ შეგნების დამკვიდრებას ცდილობენ. არადა, ოჯახი ერისა და სახელმწიფოს საფუძველთა საფუძველია, იგია ეროვნული გენოფონდის კვლავნარმოების ერთადერთი წყარო და ფაქტორი.

ვის და რატომ უნდა უნდოდეს ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედის მოშლა? ნუთუ ეს იმისთვის არის საჭირო, რომ როგორმე დედამინას დემოგრაფიული კატასტროფა აცილდეს? ოჯახის ინსტიტუტი თუ მოიშლება, ადამიანის გამრავლება, ცხადია, შეფერხდება. იქნებ, ეს კარგიც იყოს, მაგრამ კაცობრიობის ამ უსაშველო გამრავლებაში ჩვენ, ქართველებს, რაიმე წვლილი მიგვიძღვის? ჩვენ ჩვენი მცირერიცხოვნობა ვერ დაგვიძლევია და მსოფლიოს ვუქმნით დემოგრაფიულ საფრთხეს? სისულელეა ამის ფიქრი. ის პროგნოზი კი, სამწუხაროდ, რეალურია, რომ უახლოეს ოცდაათ წელშია ჩვენი ქვეყნის ქართული მოსახლეობა 28%-ით შემცირდება. საშინელებაა, არა? ამ ჩვენს უცხოური გრანტიყლაპია (ანუ ქართულად, ძვენიჭამია!) ენჯელებს თავი ჩინეთში ჰგონიათ თუ ინდოეთში? სინდის-ნამუსი სულაც სოროსის ფონდში დარჩათ თუ არც ჰქონიათ ოდესმე? აბა, დემოგრაფიულად ისედაც მომაკვდავ სამშობლოს გამრავლების შემცირებისკენ როგორ უბიძგებენ? არ უნდა ვიფიქროთ ამაზე? „თინას მორალის“ დამკვიდრებას აუღელვებლად ვუცქიროთ?

როგორ მოგეწონებათ, ძვირფასო მკითხველო, თინას მორალზე აღზრდილმა თქვენმა ქალიშვილმა ერთ დღეს თავის ტოლი ვაჟი რომ მოგაყენოთ შინ და გამოგიცხადოთ, ერთ ხანს ამ კაცთან უნდა ვიცხოვრო, იგი ჩემი ბოიფრენდი, ანუ ჩვენებურად, ჩემი კუროაო. რა გაგიკვირდათ? ეს გველოდება, თუ „თინას მორალი“ ყველას სახადივით მოედო. გამოსავალი არის?

კი, არის! კანონით უნდა აიკრძალოს უზნეობისა და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა. ■

შვიდი წელია არ ვყოფილვარ თბილისში... მშობლიურ ქალაქში, სადაც დავიბადე და ვავიზარდებ. შვიდი წელი არც-თუ ისე მოკლე დროა, რომ არ შეიგრძნო, ალიქვა ცვლილებები საერთოდ და, კერძოდ, ენის, მშობლიური ენის ცვლილება. ენისა, რომელიც ბევრმა უცხოელმა მწერალმა თუ ენათმცოდნემ, ვინც ჩასწვდა ჩვენს ენას, აქო და ადიდა; აღნიშნა მისი ორიგინალურობა. დამწერლობის მქონე სულ რამდენიმე ენიდან ერთ-ერთი ქართულია. რა საამაყოა, არა? მართლაც, ქართულ ენას მდიდარი ლექსიკა და დამწერლობა, ლამაზი და ხატოვანი სიტყვაკაზმულობა აქვს შესატყვისი ანბანით (გამოირჩევა სიმარტივეთ) და გრამატიკით.

ძალიან გავოცდი დედაქალაქის „დღევანდელი ქართული“.

როგორც ვიცით, ნებისმიერი ენა განიცდის ცვლილებას, „გამარტივებას“. ჩვენი ენაც არ არის გამონაკლისი, მაგრამ სიფრთხილე გვმართებს, ისე არ „გამარტივდეს“, რომ უფრო არ „გართულდეს“ (დამახინჯდეს), რისი ნიშნებიც უკვე „ჩასახულა“.

გამომცემლობა „საქართველოში“ ვმუშაობდი ახალგაზრდობიდან. წლების განმავლობაში ვემსახურებოდი ქართულ ენას – უმცროსი რედაქტორობით დავინყე და დირექტორის მოადგილე ვავსდი. 80-90-იან წლებში „ქართული კედლის კალენდრის“ გამოცემის ხელმძღვანელობაც დამავალეს. უკრაინაში, კიევში იბეჭდებოდა. უწმიდესთან და უნეტარესთან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან უნდა შემეთანხმებინა კალენდარში შესატანი თარიღი: 3 მარტი – „დღეის დღე“.

უწმიდესმა კარგად მიმიღო, შეაქო ჩემი საქმიანობა და საეკლესიო წიგნი მაჩუქა წარწერით – „პატრიოტ ქართველს, შემოქმედს, ენისთვის და ერისთვის მებრძოლს, ბ-ნ სოსო ლებანიძეს. ილია II“. ეს წიგნი დღემდე მაქვს. ამის შემდეგ კიდევ გვქონდა შეხვედრა და საუბარი – ჩემი რედაქტორობის პერიოდში.

რუსული ენა ზედმიწევნით ვიცოდი და ხშირად მაძლევდნენ მასალებს გადმოსაქართულებლად. ყოველთვის ვცდილობდი, თარგმანი ორიგინალური და, რაც მთავარია, კარგი ქართულით ყოფილიყო გამართული. დღეს კი რა ხდება – რაც კი ამ ერთი-ორი თვის განმავლობაში ვნახე, მოვისმინე, ნავიციო (ტელევიზია, პრესა, სიტყვით გამოსვლა, მიმართვები, რეკლამები, განცხადებები თუ სხვა), როგორც იტყვიან – „ენით აუნერვლია“.

მინდა, რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო მრავალთაგან, ვგონებ უმრავლესთაგან, რომლებიც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს.

ერთგან აბრაზე წერია – „იტალიური ავიაკომპანია“, მეორეგან – „თურქეთის ავიაკომპანია“. ერთ-ერთი არასწორია. რასაკვირველია, „იტალიური“. ავიაკომპანია რაიმე ნაწარმი ან რამის წარმომავლობა კი არ არის, სახელმწიფოს, ქვეყნის დანებებულებაა, უწყებაა.

სამარშრუტო ტაქსის ფირნიშზე „ნაძალადევის“ ნაცვლად ვერ კიდევ „ნახალგა“ წერია. არის ასეთი რეკლამა „ღვინის სარდაფი“. კი, ბატონო, ესადაგება, მაგრამ „ცხოვის სახლი“?! ამას სხვაც მიბაძავს და „ხარშვის სახლიც“ გვექნება.

ძალიან ბევრგან, ბევრჯერ არასწორად და უმართებულოდ იხმარება სიტყვა „შემთხვევაში“. ძალიან „უადგილოდ“ დამკვიდრებულა სიტყვა „გამჭვირვალე“. ეს სიტყვა, ალბათ, „ძალიან პატივცემულმა პირმა“ იხმარა და ეპიდემიასავით არის მოდებული. არ არის საჭირო მისი უმართებულო ხმარება იმის დასამტკიცებლად, რომ მავანი და მავანი ძალიან პატიოსანია ან რამე, ან ესა თუ ის ქმედება – ჭეშმარიტია! „გამჭვირვალე ცხოვრება“?, „გამჭვირვალე ბიზნესი“?, „საერთაშორისო გამჭვირვალეობა“?, „გამჭვირვალე ჰიმნი“?, „მაკლერის გამჭვირვალე მომსახურება“? და ა.შ. კარგი, რა! საწყალი ქართული ენა?!

ვისაც როგორ უნდა, ისე აბურთავებს; ვისაც როგორ მოეპრიანება, „ისე ჭრის და კერავს“?! სასურსათო მაღაზიაში – „ლორის სტიკი“.

სადაც საჭიროა, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ გამოვიყენოთ, იქ „გაგრძელებულია“, სადაც არა – პირიქით! რა საჭიროა ენარგვუობა? „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“? ანდა „განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები“? ე. ი., მოკლედ რომ ვთქვათ, „ინვალიდები“. ამ სიტყვის შესაბამის-

# ენა, მამოყრი, სახსრუენობა

სიც გვაქვს – „ხეიბარი“. ეტყობა, თავის დროზე არ მიექცა ამ ფაქტს ყურადღება და დამკვიდრდა „ინვალიდი“, რაც სხვა ხალხებისთვის, სხვა ენებზე სულაც არ არის დამაკინებელი და შეურაცხყოფელი. ასევე აცხადებენ, ამბობენ, მაგალითად, „ინვალიდთა შეჯიბრი“... და ა. შ. ასეთმა პირებმა თავადაც იციან, რომ ინვალიდები არიან და ზემოაღნიშნული „გრძელსიტყვიანი მოფერება“ მათ არაფერს „უნაზღაურებს“... ხომ არ ამბობენ – მახინჯები?! ისე რომ, დითირამები შინაარსობრივად უფრო იმათ „ეკუთვნით“, ვინც, როგორც რომელიღაც გაზეთში ამოვიკითხე, „საქართველოში 60 პროცენტი ღარიბია“-ო.

სწორი წარმოთქმა აუცილებელია სწორი მეტყველებისა და წერისთვის.

ლიტერატურული ენის დამახინჯების არსებითი მიზეზი არის ან გაუნათლებლობა, ენის უცოდინარობა ან ლიტერატურული ენის ნორმებისადმი დაუდევარი, უყურადღებო მოპყრობა. ოღონდ აზრი გადმოსცეს და, ზოგს სულ ერთი ჰგონია, როგორ გადმოსცემს მას – სწორად, მართებულად თუ არასწორად, უმართებულოდ. „ვერსეგუება!“ თუ „შეუგუებლობა!“, „მონონებადი“? იქნებ, „მოსანონი“, „მონონებადი“, „დანუნებადი“? ასევე „ალიარებითი“? „ცნობადი“? „ლიცენზირებადი“? „თავას“ და მის მსგავსებს ვერ გაურკვევიათ, სად სახელზმნა, არსებითი ან ზედსართავი თუ ზმნა, ზმნიზება და ა.შ. სად რა პრეფიქსია და სუფიქსი!

ერთ-ერთ გაზეთში სტატიაა სათაურით „ქართველოლოგია კვდება“. მოკვდება, აბა, რა მოუვა?! როცა არც ზეპირმეტყველებაა მართებული და არც წერილობითი! ამ სტატიაში არის ასეთი წინადადება – „...ჩვენ მეხუთე საუკუნეიდან გვქონდა „ღვთისმეტყველებითი და ფილოსოფიური სკოლა“. ვიკითხოთ: „ბუნებისმეტყველებითი“ თუ „საბუნებისმეტყველო“? „სულიერებითი“? თუ „სასულიერო“? შემეცნება – შემეცნებითი, შენაცვლება – შენაცვლებითი – გასაგებია! იქვე სხვა სტატიაა სათაურით – „სიახლე განათლების სამინისტროში“ და ტექსტი „ოლიმპიადის თვალსაჩინო შედეგი კი ქართველი მოსწავლეების მიერ ინფორმატიკაში მოსკოვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დაუმარცხებელი ნაკრების დამარცხებაა“. არ ჯობს: „ოლიმპიადის თვალსაჩინო შედეგი კი გახდა ინფორმატიკაში ქართველი მოსწავლეების მიერ მოსკოვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დაუმარცხებელი ნაკრების დამარცხება!“ გარდა ამისა, იქვე მოცემულ ფოტოზეც ხარვეზია – ბიჭის ნაცვლად გოგონაა. უყურადღებობაა? ეს გაზეთია „ქრონიკა“ 4 (40), 28.01.2014. ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე იყო ტიტრი: „ირანმა ურანის 20%-მდე გამდიდრება შეწყვიტა“. არ ჯობდა – „ირანმა შეწყვიტა ურანის 20%-მდე გამდიდრება“. უფრო ქართულია და გასაგებია. სიგარეტის კოლოფზე წერია – „მონევის შეწყვეტისათვის დარეკეთ“... ალბათ, „თავის დანება“ უნდოდათ ეთქვათ, მაგრამ გაზვიადრდა რაღაც უცნაურობა. მეტროში ვა-

გონის კარზე გამაფრთხილებელი წარწერა – „კარის გამორთვა“. რას ნიშნავს? მართლაც, საფრთხილია! მონოდება ტელევიზორის ეკრანიდან – „გადმორთვის ღირსია“ ანდა – „რეორგანიზაციის გამო მუწყებლობა განახლებდა“... შემდეგ, „გამართება ტელევიზიისა და მეგობართა დარბაზის წარდგინების ცერემონიალი...“ ტელევიზია რადიო ხომ არ არის, რომ მხოლოდ აუნყოთ? ზემოთ მოყვანილი მოქმედება არის სამუშაო, მუშაობა (რა სათაკილოა?!). ამიტომ და-

წერეთ ქრისტიანულად – „ჩვენი არხი განახლებს მუშაობას“... რას ნიშნავს „წარდგინების ცერემონიალი“? რისამე გადაცემას? შეიძლება საბუთის, რაიმე ნივთის (არა დარბაზისხელა!), ვისიმე წარდგენა, მაგრამ „წარდგინება“? ჩემთვის ძალზე გაუგებარია! ალბათ, ბევრი ადამიანის თვალი და ყური უკვე მიეჩვია ასეთ რამეებს?! რომელიღაც აფთიაქში წავიკითხე: „მორგებული ფასები“, ტელევიზიის ერთ-ერთ არხს კი ასეთი რეკლამა აქვს – „ჩვენ ვერგებით თქვენს სურვილებს“. შეიძლება სათვალის, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, კარის, ფანჯრის, გისოსის და ა. შ. მორგება, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ხაზგასმული „მორგებები“ ქართულ ენას ნამდვილად რომ ვერ მოეგება! ერთ-ერთი გაზეთის ერთ-ერთ ტექსტში წერია – „...შეკრებისობის კანონით“... არის ოთხი არითმეტიკული მოქმედება – შეკრება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა და არა შეკრებითობა, გამოკლებითობა და ა.შ. ესეც ვიკითხოთ, რას ნიშნავს „მზაობა“?

ხელთ მომხვდა ჟურნალი „სარკე“ 35, 28.VIII-3.IX.2012. არის ასეთი წერილი „კლასიკა ხალიჩაზე და ეროტიკა სცენაზე – ემტივის მოდა“. წერია – „32 წლის მომღერალი ტელიორ სვიფტი კი პერვინ ლაგერის კლასიკური შავი კაბით მოვიდა, რომელზეც პრადას ფესხაც-მელი ეცვა“... იქვე სხვა მსახიობზე წერია – „... ვარსკვლავს ნითელ ხალიჩაზე ვეფხვისურს ქსოვისის კაბა ეცვა...“ მაინცდამაინც რომელიმე ჟურნალის ან გაზეთის ჯიწი კი არ მჭირს, სხვაგანაც შევხვდებით მსგავს პარადოქსებს.

ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ ჩინოსანი, მოხელე თუ მოქალაქე, რომ „ტუფ-ფუფუნა“ არ გავხვდეთ (აკი, აფხაზური „დო-აბზუ“ რუსულ „ტუფაფუნა“ იქცა)! რა? „არცოდნა არცოდნა“? თუკი ინგლისური იცით, ქართული არ უნდა იცოდეთ, მავანო, მრავალნო მაღალი ტრიბუნდანი?!

ტელევიზია, პრესა უნდა „უკვირდებოდნენ“ (ეს ხომ თვალსაჩინოებაა და ყურადსაღებია, ასე ვთქვათ, იგატიცია – „ქვეყნის რასაც ჩასძახებ, იმას ამოგაძახებ“) როგორ მეტყველებენ და წერენ?!

უპრიანი იქნებოდა, შოუსთვის „ნიჭიერი“ დაერქმიათ „ტალანტი“, რაოდენაც ნიჭიერი ნიჭიერია. ნიჭიერი ბევრია, ტალანტი (უნიჭიერესი) კი ბევრი არ არის (შეგნებულად არ ვინმარე სიტყვა – ცოტა). ტალანტი ტალანტია, შეუდარებელია, ბევრად მეტია (უნიჭიერესია ნიჭიერთა შორის, აღმოჩენაა, „ვუნდერკინდია“)! თანაც ეს სიტყვა ქართულ ენაში (ასევე სხვა ენებშიც) კარგა ხანია დამკვიდრდა და თავისი შინაარსითაც და განზოგანებითაც კარგად ჟღერს. ეს ჩემი სუბიექტური აზრია და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ (სიტყვა „ტალანტის“ მოშველიებით) ქართული ენა და ეს შოუს (წარმოდგენა) არ შეილახებოდა! აბა, „დაიჯესტი“ ჯობს, არა?! ანდა ჟიურისგან შექება – „მაგარი ხარ, რა!“ ქართული კია, მაგრამ ბულგარულია, ვულგარულია. აქ ხომ საზოგადოებაა და არა ქუჩა! ბოდიში, ჩემო კარგებო, მაგრამ ასეა, რაო, ლამაზ

ქართულს გამოეღია ლამაზი, კეთილშობილური ეპითეტები?

უცხო ენების გავლენა განსაკუთრებით დიდია როგორც ლექსიკაზე, ისე წინადადებათა აღნაგობაზე. ზოგჯერ წინადადება სიტყვა-სიტყვით ითარგმნება და, ამდენად, ქართული ენის ბუნებას სრულებით არ ესადაგება.

„სილამაზის სალონის“ სარეკლამო აბრაზე წერია – „ყურის გახვრეტა“. როგორია, ჰა? ყურის გახვრეტა, ცხვირის გახვრეტა, შუბლის გახვრეტა – ღმერთმა დაგვიფაროს! ზემოხსენებულ ორ სიტყვას მესამეც რომ დამატებოდა „თავისი საკუთარი ხელით“ უფრო ქართული და უფრო გასაგები იქნებოდა – „ყურის ბიბილი გახვრეტა“. რატომ დაინანეს?! „უნიკალური თმის საკრეჭი“ თუ „თმის უნიკალური საკრეჭი“?

რაჭველებს, „ქვე შენი ჭირიმი“ რესტორანი გაუხსნიათ. ყველაფერი კარგია (რეკლამა მაქვს მხედველობაში, შიგნით არ ვყოფილვარ), მაგრამ მაინც... 1 ჰორცია ხაში 5 ლარი“. დაწერეთ რა – „ულუფა“. ასევე „პროექტირება“, „ტირაჟირება“, „თავისუფლებაზე ყოფნა“, „ეტიკეტირება“, „ფინანსირება“. „საიდან სადაო, წინდა საბაო“? რუსული ენის კალკია. „მდგრადი განვითარების ეკონომიკა“. რომელი ენის კალკია? რუსული უსთიყვიხი რუსულ-ქართულ ლექსიკონში თარგმნილია, როგორც მდგრადი. რუსული ასეთ ტერმინოლოგიას შეიძლება იტანს, მაგრამ ქართველისთვის მდგრადი და განვითარება ურთიერთსაწინააღმდეგო „გაგებაა“. მდგრადი სტატიკაა, განვითარება – დინამიკა. ამიტომ ერთმანეთთან რაღაც ვერ მოდიან... ეს სხვა მოქალაქეებმაც აღნიშნეს. განვითარება მზარდის, უწყვეტის, წინსვლის სიმბოლოა, ამიტომ, ალბათ, აქ სხვა სინონიმია მოსაძებნი.

საერთოდ, უნდა ვეცადოთ, რომ ნაკლები უცხო სიტყვა შემოვიტანოთ, მით უმეტეს, ქართულ ლიტერატურულ ენაში.

მასხოვს, ბ-ნ ჯანსუღ ჩარკვიანთან საუბრისას ხაზი გაუუსვით უცხო სიტყვების სიმრავლეს. ბ-ნმა ჯანსუღმა აღნიშნა, აუცილებელი არ არის მაშინვე ავიტაცოთ უცხო ტერმინი ან სახელი. მაგალითად, რუსული вагончик-ი ქართულად „რონოდა“, ეგ როგორ-მეთქი? და: ჩვეულებრივად, „რონინით მიმავალი ოდა“. მართალია, კომპოზიტი, მაგრამ ჩვენია, ქართული სიტყვააო.

ერთ-ერთი აფთიაქის რეკლამის დაფაზე წერია – „სათავლების შეკვთა ევროპიდან“. იქაურ თანამშრომელს ვეკითხებო – ევროპიდან იღებთ შეკვთებს? არა, ევროპაში ვუყვეთავთო. ჰოდა, მამაცხოვნებულეო, „ფიცვი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, დაწერეთ ისე, ადამიანი მიხვდეს, რას აკეთებთ!

„ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დამავდების“. რას ნიშნავს „შემოვლითი რკინიგზა“? რამეს რომ შემოუარა თუ აუარა? ამ მიმართებით, უკვე არსებულს ან არსებულებს რა ჰქვია – „გავლითი“, „შუითი“, „არ-შემოვლითი“? ყველა შემთხვევაში ე. წ. „შემოვლითი“ არის „რკინიგზის ახალი (სხვა ახალი არის?) ხაზი“, რომელსაც თავის დროზე (ალბათ, მალე) თავისი სახელი დაერქმევა მიმართულებისა მიხედვით.

ძალიან დამკვიდრდა ასეთი მიმართვა-განცხადება:

„მოვამზადებ აბიტურიენტებსა და სკოლის მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. შევასწავლი ესეეებისა და თემების წერას მაღალი ქულების გარანტიით“.

ზოგმა „მომზადებულმა“ კიდევ უფრო მეტი დაპირება გამოთქვა – „მოვამზადებ ზოგადი განვითარების ვერბალურ ნაწილში უახლესი მეთოდით,

►► მახუთა გვერდიდან

**შედეგის მაღალი გარანტიით.** და იცით, ვინ არიან ეს „მომზადებლები“, როგორც თავად აცხადებენ? ნუ შეშინდებით! – გამოცდილი ფილოლოგები, დოქტორები, ასოცირებული პროფესორები... კი. ბატონო, გეთანხმებით, მაგრამ ეს „მომზადება“ როგორც „კარგი“, ისე „ცუდი“ (ან საშუალო) მოსწავლეების, ე. ი. მაღალი, საშუალო ან დაბალი დონის ცოდნის მოსწავლეების, ასე ვთქვათ, „ხელახალი“ სწავლება (შეუარესებლად არავის ვაყენებ, არც სკოლის მასწავლებლებს, არც მოსწავლეებს – „მჯობნის მჯობნი არ დაიღვევო“, ზოგმა „მეტი“ იცის, ზოგმა – „ნაკლები“), ე. ი. უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღებაა, ისეთისა, როგორსაც „მომზადებლები“ ჰპირდებიან – **„მაღალი ქულების და შედეგის მაღალი გარანტიით“**.

სიტყვასიტყვით გადმოვინერე ზემოთ მოყვანილების მსგავსი განცხადება (მე მგონი, აქ უფრო მეტი „გოლგოთაა“):

**„აბიტურიენტებს და მოსწავლეებს გთავაზობთ მოსამზადებელ კურსებს ნებისმიერ საგანში. სამი საგნის სწავლის შემთხვევაში მეოთხეში მოვამზადებ უფასოდ! (უფასოდ მუქი შრიფტითაა).“**

STUDIO SMART  
ღმერთო! STUDIO SMART – რა შეგცოდეთ?!

თანაც, თუ „ნებისმიერ საგანში“ ქართული ენაც იგულისხმება, „ვარი“ ასეთ „შემომთავაზებლებს“ და „უფი“ აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს. რა უნდა ასწავლონ? რა უნდა ისწავლონ? ვაჰ, მე! „ფეხი დამადგით, დამადგით ფეხი გულზედ ყოველმან“. ამდენი „ში“-ს ნაცვლად, არ ჯობს, ვასწავლი ან შევასწავლი ამას და ამას (ქართულ ენას, ფრანგულ ენას, ფიზიკას, ალგებრას და ა.შ.)?

ერთ-ერთ გაზეთში რეკლამაა: **„გუჰკეთებ რედაქტირებას სხვადასხვა სახის ტექსტს“**. ბარაქალა!

რომ ვასწავლოთ, თავად უნდა ვიცოდეთ. „რომ აშენო, უნდა იცოდეს, რომ იცოდეს, უნდა ისწავლოს“. ამის დაშვება თავის ცოდნას ყოველდღიურად იღრმავებდა. ამიტომ, რაც არ ვიცით, ვისწავლოთ ჯერჯერობა და ბერძენს, არ არსებობს წმინდა ენა. ყოველი ენა მეტ-ნაკლები რაოდენობით შეიცავს სხვა ენიდან შემოსულ (ნასესხებ) სიტყვებს. მით უმეტეს, ახალი ვითარების, ცივილიზაციის, ახალი კულტურის ამსახველი სიტყვები ფართოდ ვრცელდება ყველა ენაში. თუ გამოუვალი მდგომარეობაა და არა გვაქვს ჩვენი შესაბამისი სიტყვა ან სინონიმი, რიგ-ანი, საკადრისი სახელი მაინც შევარჩიოთ.

აუცილებელია ხელთ გვქონდეს გამოთქმების, ფრაზეოლოგიური ერთეულების, ხატოვანი სიტყვების, იდიომების ლექსიკონი, მართლწერისა და მართლმეტყველების შემსწავლელი წიგნები. ცენზურა არ არის, ცენზორი არ ჰყავთ, მაგრამ ნუთუ დაილია ქართული ლიტერატურული ენის მცოდნეები?! აღარ მოქმედებს „ქართული ლიტერატურული ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია“? აღარ არსებობს „ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო“?

ნუ დავუშვებთ საკუთარს გაჩუქებას, გასხვიებას, დაკნინებას, გაიგივებას. ჩვენს ქვეყანაში სხვის „კატებს ნუ ავაყეფებთ“ (ავაჩხავლებთ, ავაკნავლებთ), თორემ ასეთი მოქცევა ისე გაკეთლავს „როგორც დიდოელი ლეკი ნაბადას“. ოკეანის-გალმელმა უფრო იცის, როგორ მღერიან ბუბა კიკაბიძე და ნანი ბრევავაძე თუ ჩვენი ქართული ჟიური არაკომპეტენტურია; თუ ასეთი მოდაა?

ნუ დავავინყებთ ჩვენს ხალხს, მომავალ თაობას ჩვენს სახელოვან ბრწყინვალე წინაპრებს, ხუროთმოძღვრებს, მწერლებს, პოეტებს, მოცეკვავეებს, მსახიობებს, სპორტსმენებს, ექიმებს, პედაგოგებს და ა.შ. უნდა გვახსოვდეს „ვისი გორისანი“ ვართ. ძალიან მომეწონა ბ-ნ დ. თარხან-მიურავის საუბარი ქართველი ერის ყოფიერებაზე, ერის ქცევის სისპეტაკეზე. ილაპარაკა ქართულ ქორეოგრაფიაზე, ცეკვაზე – მამაკაცის ჩოხაც კი არ ეხება ქალის კაბასო. და ამ დროს სადღაც, საიდანღაც გვემის... **„ჩემი დედა მ.. რაა!“** აბა, ამის-

თანაც დედა „შვილმკვდარი“ (იდიომა – **სამწუხაროდ!**) არ არის?! აბა, საამაყოფი არ არიან ის „დედამოკლული“ შვილები, რომლებიც ერისკაცები არიან და არ შეუძლიათ, რომ „სოფლისთვის არ იზრუნვონ“ („დედა მოგიკვდა, შვილო“, „დედა მოუკვდა ჩემ შვილსა“ – იდიომები – დედები კი ცოცხლები არიან – საბედნიეროდ, მაგრამ განიცდიან, უნდათ, რომ მათმა შვილებმა მიაღწიონ „კაი კაცობას“ და „კაი ქალობას“. ასეა ეს).

არ შეიძლება ენის შებღალვა! საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენა საფუძვლიანად უნდა ისწავლებოდეს. განათლების სამინისტრომ, მისმა მუშაკებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს. საჭიროა მეტი ლიტერატურული გამოცემები, პრესა – ჟურნალ-გაზეთები, სატელევიზიო გადაცემები (მართებული და გამართული!)

მართალია, კომპიუტერულმა სისტემამ „დიდი ცივილიზაცია“ მოიტანა, მაგრამ ინტერნეტი არის ინფორმაცია-ცოდნა, ნიგნი კი – განათლება-ცოდნა. მარტო იმის თქმა – „ენა, მამული, სარწმუნოება“ შორს ვერ წავიყვანს, საჭიროა მოქმედება.

ყურმა, სმენამ „დაიჭირა“ სიტყვების რაღაც სასწავლებლებში გამოთქმა... პირველკლასელი რომ კითხულობს, გამოთქვამს რომელიმე სიტყვას და ბოლო მარცვალს („უსვამს მსხვილს“, თუმცა მახვილი, როგორც გრამატიკული ცნება ქართულ ენას არა აქვს), განსაკუთრებით ხმამაღლა და ხაზგასმით. ასეთი მოსაუბრე, ასე მოლაპარაკე ამ მომენტში ინდაურს უფრო წააგავს, ვიდრე ადამიანს.

მართლწერის საფუძველია მართლმეტყველება, მართლმეტყველება კი, ლექსიკასთან და გრამატიკულ ნიშნებთან ერთად, არის წარმოთქმა, რომლის ელემენტების არტიკულაცია, ტემპი, რიტმი, ინტონაცია (ხმის აწევა), მელოდიურობა. ლიტერატურული ენა საერთოა, ერთიანია და წარმოთქმაც ერთიანი, საერთო უნდა იყოს. მოვიშველიებ ენათმეცნიერის, ბ-ნ ვ. თოფურისას სიტყვებს: „ლიტერატურულ ენას, როგორც ცნობილია, საფუძვლად უდევს ქართული კილო. ამდენად, წარმოთქმის საფუძველსაც იგივე კილო უნდა ქმნიდეს. ქართული ლიტერატურული ენის წარმოთქმა, ესაა საქართველოს სახელმწიფოებრივი, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრის – თბილისის – ქართველი ინტელიგენციის მკაფიო და დინჯი მეტყველება, შეფერილი დასავლეთ საქართველოს კილოთა ტემპითა და ინტონაციით. ეს წარმოთქმა უნდა იყოს ყველგან – სასწავლებლებში, ოჯახებში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში“.

ჩემი ამ წერილით შეიძლება „საქმე ვქმენ საჭოჭმანები“, შეიძლება ვინმეს დაწყენინებ, მაგრამ მომიტყუეთ, მეც და, ალბათ, გულს გვტკენს „ისეთი ქართული“ „სიმართლის მიქმელს (ხეივანი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“. რატომ? იმიტომ, რომ „... დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო“? სიტყვის თავისუფლებას მივესალმები, ენის დამახინჯებას კი – არა!

მე თუ არა, შენ! შენ თუ არა, ვინ? ვინ უნდა მიხედოს ჩვენს საქმეს? როდის? როდის? სმენა და თვალი ეჩვენა ამ უკუღმართულ მეტყველებას და წერას. დრო მიდის, „დრო უცებ გაგვავტიალებს“. ბოლოს და ბოლოს, ქართული ენა სახელმწიფო ენაა და ყველასათვის ერთია და აუცილებელი მისი ცოდნა. ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს – ხელისუფალი იქნება, მოხელე თუ მოქალაქე. ქართულ ლიტერატურულ ენას, როგორც სახელმწიფო ენას, თავისი უფლებები აქვს. „ენა, საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა“, – წერდა ი. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენთვის ენის წართმევა უნდოდათ და ახლა, ამ დროს ჩვენ თავს თავად უნდა წავართვათ?!

მოკლედ, ქართულ ლიტერატურულ ენას, სახელმწიფო ენას პატრონი სჭირდება და, იმედია, სახელმწიფო, მთავრობა მიხედავს ამ საქმეს.

კეთილი სურვილებით  
სოსო ლეჟანიძე

# „უიცი გნავს, გოლო გაკვირვებს“!

გასული წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა: „ქართული (!) მთავრობის ტრადიცია, რომ საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდონ განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, ნამდვილად ევროპული ტრადიციის გამოხატვაა (!)“ (იხ. გაზეთი „ახალი თაობა“, 27 დეკემბერი, 2013). ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებით აღნიშნავდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობას: „2013 წლის უაღრესად შთაბეჭდავი მოხსენება და 2014 წლის საინტერესო გეგმები მოვისმინე. ეს არის სამინისტრო, რომელსაც მართლაც (!) ევროპული სტანდარტების მქონე პოლიტიკური გუნდი ხელმძღვანელობს“ (იქვე). შეგახსენებთ, რომ გასული წლის უმეტეს პერიოდში აღნიშნულ სამინისტროს ხელმძღვანელობდა თვითონ ჩვენი დღევანდელი პრეზიდენტი, ამჟამად კი სათავეში უდგას მისი პროტეჟე ქალბატონი თამარ სანიკიძე.

ერთი შეხედვით, თითქოს, ერთობ შთაბეჭდავ ნარმატივასთან გვექონია საქმე. მაგრამ, თუ ვითარებას ჩაუვლირებთ, საქმე სხვაგვარად წარმოჩნდება. პირადად მე აღნიშნული დროის განმავლობაში ურთიერთობა მქონდა და მაქვს ამ სამინისტროსთან და, აქედან გამომდინარე, სულ სხვაგვარი წარმოდგენა შემექმნა.

შესაბამის ამბავს უფრო დანერვილებით მოგიყვებით. დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფია (საისტორიო მეცნიერება) რომ ღრმა კრიტიკისა, ეს გარემოება საკამათო არ უნდა იყოს. ამის თაობაზე ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში საგანგებოდ შეჩერდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. როგორც იქნა, ამავე საკითხზე კრიტიკული დამოკიდებულება გამოთქვა რამდენიმე ქართველმა ისტორიკოსმაც. მაგრამ, დიდად სამწუხაროდ, ჩანს, კერძოდ საქართველოს დღევანდელი საერო ხელისუფლება ამ გარემოებას ვერ აცნობიერებს. სწორედ ამის შესახებ მივმართავდი, ერთი მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და, მეორე მხრივ, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ ივანე კილაურაძეს (იხ. „რეზონანსი“, 2012 წლის 17 დეკემბერი).

ჩვენი „მშობლიური“ ბიუროკრატიის ამბავი რომ ვიცი, ამას არ დავჯერებ და ხსენებულ ინსტანციებს, კერძოდ, სამინისტროს, სპეციალური განცხადებითაც მივმართე; ეს მოხდა გასული წლის 3 იანვარს. კანცელარიაში მითხრეს, რომ პასუხს ორ-სამ კვირაში შემატყობინებდნენ. გამოგიტყდებით, დიდად გავოცდი და გავიფიქრე, ნუთუ ეს მართლაც, და, მით უფრო, ასე მალე, მოხდებოდა. არადა, გავიდა ორი თვე, მესამეც, მაგრამ აღნიშნული სამინისტროდან პასუხი არ ჩანდა. პასუხის მისაღებად თვითონ მივმართე. რაც მართალია, მართალია, სამინისტროს მეცნიერების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჩიტაიამ ორჯერ მიმიღო. სათანადო ყურადღებითაც მომისმინა, თითქოს გაიგო კიდევ ჩემი საწუხარი, რაც, რასაკვირველია, ოდენ პირადი ხასიათისა როდი გახლავთ.

ამის შემდგომ ჩემი განცხადება გადაეცა მაშინდელი მინისტრის, დღევანდელი ჩვენი პრეზიდენტის

ერთ-ერთ მოადგილეს დავით ზურაბიშვილს, იმხანად რომ კურირებდა უმაღლეს სასწავლებლებს. გავიდა კიდევ რამდენიმე თვე, სამინისტროდან კი ჩამიჩუმე არ ისმოდა. ეტყობა, დავით ზურაბიშვილმა, სიძნელის გამოისობით, თავი აარიდა საკითხს. თუმცა, შეგახსენებთ, რომ 1995 წელს გამოცემულ ერთ-ერთ კრებულში მან არ დაინდო და ფრიად დაამცირა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

ახლა, როგორც ვიცი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სათავეში არც გიორგი მარგველაშვილია და არც დავით ზურაბიშვილი – ისინი სხვებმა ჩაანაცვლეს, პასუხი კი კვლავინდებურად არა და არ ჩანს.

ჩემი რეაქცია გამოვხატე მწვავე რეპლიკით, სათაურით „ბიუროკრატიული ქცევის იშვიათი ნიმუში“, რომელიც ჯერ დაიბეჭდა „რეზონანსში“, ხოლო სრული სახით, კუპიურების გარეშე, „ლიტერატურულ საქართველოში“. მაგრამ პუბლიკაციის ეფექტი ნული აღმოჩნდა.

სრული უფლება მაქვს, ვიკითხო: ნუთუ მოთხრობილ ამბავში იგრძნობა საქმისადმი ევროპული დამოკიდებულება? ნუთუ, კერძოდ, დასახელებული სამინისტრო და, საერთოდ, ჩვენი დღევანდელი ბიუროკრატია იმდენად მოკლებულია სათანადო ინტელექტს – გაგების უნარს თავი დავანებოთ – საქმის გულთან მიტანის სურვილს, რომ არ ანაღვლებს დასმული პრობლემა? არადა, საქმე ეხება არა მხოლოდ ისტორიის (მსოფლიო, კავკასიის, საქართველოს) შემეცნების, არამედ უმაღლეს სასწავლებლებსა და საჯარო სკოლებში არსებული სწავლების დონეს, ისტორიკოსთა მომავალი კადრების მომზადებას. ვფიქრობ, ამგვარ დაუდევრობა-ინერტულობას, მოსმენის უნარის არქონას დღეს აზიის ქვეყნებშიც კი არ გამოიჩენენ.

ასევე დიდად გამკვირვებია პარლამენტის სათანადო კომიტეტისგანაც, რომელსაც, არ ვიცი, აქვს თუ არა ევროპულობის პრეტენზია.

ამჯერადაც იძულებული ვარ, საკუთარ თავზე ვთქვა: სრულიადაც არ გახლავარ საქმეში ჩაუხედავი და, ასე ვთქვათ, მეცნიერებასა და უმაღლეს განათლებაში ქუჩიდან მოსული პირი. ისტორიის ინსტიტუტში ვმუშაობდი 33 წელიწადი, ხოლო რიგ უმაღლეს სასწავლებლებში ვასწავლიდი 22 წლის განმავლობაში. ვარ ოცამდე წიგნისა და მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი (მათ შორის, უცხოურ ენებზე). 1992-1995 წლების მონვევის პარლამენტში ვიყავი განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი (კერძოდ, ვმუშაობდი კანონპროექტზე მეცნიერების შესახებ), მომდევნო მონვევისას კი შესაბამისი კომისიის კონსულტანტი.

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ვიმედოვნებ, რომ მსგავსი „შემოლანუნებებით“, აგრეთვე ქართული საზოგადოებრიობის დახმარებით, იქნებ, ჩვენი ტლანქი, მოუქნელი ბიუროკრატია (მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროსი) გამოფხიზლდეს და მხარი აგვიბას, კერძოდ, საისტორიო მეცნიერების მდგომარეობის გამოსწორების საქმეში.

**გურამ ყორანაშვილი,**  
ფილოსოფიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
ექსპარტლამენტარი.

# ჩვენარად, ჩართულად, ჩვენარად!

## ძველი საათი

„მცირე თეატრში“ ვართ გასტროლებზე. არაჩვეულებრივად მყუდრო ფოიე აქვს ამ თეატრს. დაგმანული, მძიმეფარდებიანი ფანჯრები. ძველი რბილი ავეჯი. დაბალი, ფაფუკი სავარძლები. როიალი. ძვირფასი ხალიჩები, ფეხის ხმამ რომ არ შეაწუხოს მსახიობი სცენაზე გასვლის წინ. როგორც აჩრდილი, ფეხაკრეფით დადის საშუალო ხნის მორიგე ქალბატონი, კაპელდინერს რომ ეძახიან, ხავერდის ბორბლებიანი უნიფორმაში გამოწყობილი.

იდეალური სიჩუმეა. ნამდვილი აკადემიური განწყობა ამ მართლაც უძველეს თეატრში.

მე ორ სპექტაკლში ვარ დაკავებული: „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“, სადაც ლენინსა და კიდევ ორ როლს ვთამაშობ, სულ სცენაზე ვდგავარ და არ მაქვს საშუალება ფოიეში ყოფნისა, მაგრამ „რიჩარდში“, გაგიხარია...

პირველსავე მოქმედებაში კვდება ჯორჯ კლარენსი, ვისაც მე ვასახიერებ, ჰოდა, ორი მოქმედება ველოდები „პაკლონს“, ე.ი. სპექტაკლის დამთავრებას, რომ დადგმულ თავის დაკვრაში მივიღო ჩემი კუთვნილი ტამი...

უაზრობაა, მაგრამ არა უშავს, ასეთია თეატრის ცხოვრების წესი.

ჰოდა, რა უნდა აკეთო რბილ სავარძელში მოკალათებულმა, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცმა ორი საათი?! უქმად ჯდომით ხომ გაგიჟდება...

მარცხნივ, კუთხეში, უზარმაზარი საათი დგას. ძველებური, ხეში ჩასმული, მაგრამ ისრები გაჩერებულია, არ მოძრაობენ. მარჯვნივ ჯემალის ზის – ლაღანიძე, სახალხო არტისტი. ჯემალს ერთი კარგი თვისება აქვს – ხელმძარჯვეა. თუ თეატრში ვინმეს რაიმე ხელსაწყო, და განსაკუთრებით საათი, დაუზიანდება, არაფერია, ჯემალი იქ არ არის? ნაიღებს და ერთ დღეში უსასყიდლოდ გაკეთებულს დაგიბრუნებს.

ვეუბნები: ამდენი ხანია აქა ვართ, ეს საათი ვაფუჭებულა, უჩერებ, ამ გასტროლებს მარილიც მოაყარე, ზაქრამ რუსებს, კაცი არა ხარ, დაეხმარე-მეთქი.

ახლავე, გოგიჯან... – მპასუხობს. ...ადგილიდან წამოფრინდა, საათს სკამი მიადგა, გამოალო საკმაოდ მოზრდილი კარი, შეყო ხელი და სულ რამდენიმე წამში გაისმა, ნაცნობი... ზამ... ზამ... ზამ...

თითქოს კრემლის კურანტებმა ჩამოჰკრესო. მშვენიერია...

სწორედ ამ დროს, უკნიდან განწირული ხმა მოგვესმა, ხმა არა, კივილი...

„Варвары, Варвары, Мария Николаевна, простите, пожалуйста, простите...“

... და ჩვენი მორიგე კაპელდინერი გულწასული ჩაიკეცა საათთან.

„Скорою, скорою...“ შეჰკვივლა მეორე კაპელდინერმა.

თურმე საათი მარია ნიკოლაევნა ერმოლოვას, „მცირე თეატრის“ კორიფეს გარდაცვალების დროზე გაეჩერებინათ.

... და დუმდა, აგერ უკვე ოთხმოცი წელია.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, თითქმის მეოთხედმა საუკუნემ. არაერთხელ მომგონებია დადუმებული საათი და მისი მოდარაჯე კაპელდინერი.

რალაც უცნაური სითბო მქონდა შემორჩენილი. შეიძლება გაგეღიმოთ კიდევ... საათი და სითბო? დიახ, იყო და არის რალაც იდუმალი კავშირი – საათსა, უცნობ კაპელდინერსა და ჩემ შორის.

და აი, მათი მოკითხვა გადავწყვიტე.

ჩემს მეგობარს იური როსტს დავურეკე მოსკოვში და ვთხოვე, გაეგო, ისევ დუმდა საათი თუ ქართველების ხელით ამოძრავებული თავისი ზურიალა ხმით აჭიკჭიკებდა მიძინებულ ფოიეს მცირე თეატრისას.

იურამ მეგობარ ქალბატონს დაურეკა, რომელიც თურმე ათი წელია იქ მუშაობს, მაგრამ არაფერი იცის ამ საათის შესახებ.

დღეს იგი ფოიეში აღარ დგას!

მცირე თეატრის რომელიღაც ფუნქციონერის კაბინეტში გადაუტანიათ და ისევ თავისი პროფილით გულმოდგინედ ამუშავებენ. დრო!

დიახ, დრო! ასე იცვლება დრო... და ადამიანი... და მისი დამოკიდებულება ნივთებთან და მოვლენებთან!

## აბგორი

„Когда мне не дают роли в театре, чувствую себя пианистом, которому отрубили руки...“

ეს სიტყვები მეოცე საუკუნის უდიდეს მსახიობ ქალს ეკუთვნის.

მას არ აძლევდნენ სამუშაოს?! წარმოუდგენელია... მასაც?! არადა, რა ნაცნობი ტკივილია, რამდენჯერ საკუთარ თავზე გადატანილი, განცდილი...

გიჟდები... ბრაზდები... მერე, რა უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, მშვიდდები...

ფიქრობ, თუ ის იტანჯებოდა, ფიზიკურ ტკივილამდე მისული განცდებით, მე, მე ვინ ვარ?!

და მერე ისევ უბრუნდები კითხვას, რომელიც სულ განვალეს – საიდან? საიდან ასეთი გულგრილობა თუ უნიჭობა რეჟისორებისა?

იქნებ, ყველაფრის სათავე ის არის, რომ რეჟისურა შედარებით ახალი საქმეა და დროს საჭირო, რათა ამ პროფესიის ადამიანებმა საკუთარი იდეები განახორციელონ არა თვალშისაცემი ეფექტების, ხშირად იაფფასიანი „ტრიუკების“, თუნდაც ცეკვისა თუ მუსიკის ხარჯზე, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანს – მსახიობის, მისი ნიჭის, გაცოცხლებით?!

„Иракий Андроников назвал меня „Явлением“, а я добавила „без появления“, потому, что дирекция театра меня таковой не считает...“

ეს სევდიანი სტრიქონებიც, რომელიც დიდი ბავშვის ნათქვამი უფრო ჰგავს, მას, ფაინა რანევსკაიას ეკუთვნის.

რა გამოვიდა ეს, ამხანაგო რეჟისორებო?! რანევსკაია არ გიყვარდათ, სმოკტუნოვსკი ინოკენტიც. ოლეგ ეფრემოვს მთელი ცხოვრება რალაცას უყოფდით და ედავებოდით... ეს რუსეთში...

აქ? აქ რა? გაიხსენეთ, ხორავას როგორ მოექცით? ზაქარაიძეს?!

## „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, კნიაზჰან!“

თუ მეხსიერება არ მდლალატობს, ეს იყო აკაკი ხორავას ბოლო ფრაზა მისი უკანასკნელი ფილმიდან.

სოჭში ვიყავი მეგობართან ჩასული 85 წელს გასული საუკუნისა.

სოჭი ხომ საქართველოა...

ზაფხული იყო. შესანიშნავად ვგრძნობდი თავს. ქეიფი დავინყეო და შემოგვალამდა. რესტორანში ორკესტრი ავუგუნდა. ვილაც თავგანწირვით მღეროდა. სცენას დიდი სვეტი ეფარებოდა. ხმა ისმოდა მომღერლისა, თვითონ არ ჩანდა.

– აბა, კაცი მღერის, თუ ქალი? – დავეკითხე მეგობარს.

ჩაფიქრდა.

ქალიო, მიპასუხა.

გავიხედეთ – კაცია, ახალგაზრდა. დაუნდლევდით და დავინყეო სოჭის რესტორნებში მოგზაურობა. ხუთი შემთხვევიდან მხოლოდ ერთხელ გამოვიცანით სქესი მომღერლისა. კაცები ქალებით მღეროდნენ, ქალები...

ამ პროცესს მე ვერ შევაჩერებ, ალბათ. ამიტომ ჯობს, დავდუმდე...

სცენაზე მინახავს ლოურენს ოლივიე, ჯონ გილგუდი, პოლ სკოფილდი, ინოკენტი სმოკტუნოვსკი... არავინ იყო ხორავაზე დიდი... არავინ იყო მასზე შთაბეჭდავი...

ჩემი და ჩემი წინა თაობების მსახიობებმა, ხორავასა და მისთანების ეშხით დაინყეს თამაში.

იმ დროს მსახიობები რალაც განსაკუთრებული შრავანდელით იყვნენ მოსილნი.

ქუთაისში – შოთა პირველი, ბაყუჩია, ნაცვლიშვილი;

თელავში – ჩელთისპირელი, ახვლედიანი;

ჭიათურაში – გრიშა ტყაბლაძე და მიშა ვაშაძე;

ბათუმში, ინტურისტის კაფეში მურად ხინიკაძე ან იუსუფ კობალაძე ყავას რომ

არც სესილია გაყვდათ, ჩვენში დარჩეს და, როლებით განებივრებული. ბებუის გარდა, სულ პატარა ეპიზოდებს აძლევდით... მათ ნიჭს თუ არ იმჩნევდით და ერთაყვანებოდით, მაშ – ვისას?

საკუთარს ხომ არა?

„Режиссеры меня не любили. Я платил им взаимностью“. რა საინტერესოა, ვინ იყვნენ ის რეჟისორები, რომლებზეც ფაინა რანევსკაია წერს?

სად არიან ახლა? ახსოვს ვინმეს მათი გვარები?

ნეტავ, რომელ რეჟისორებს არ უყვარდათ ეს ღვთისგან ნიჭდაფრქვეული ქალბატონი?


ერთი თვალეში ჩამახედა მათთვის!

მე არ შემიძლია, ვიყო ისე კატეგორიული, როგორც რანევსკაიაა; გარკვეული პერიოდები ვმეგობრობდი კიდევაც რეჟისორებთან. მაგრამ კარგად მესმის რანევსკაიასი, ალბათ, ასე იყო ყოველთვის. მაშინაც, როგორც დღეს, ცოტანი იყვნენ აქტიორის დამფასებელი რეჟისორები.

„Бедный, бедный Константин Сергеевич“, – მისტირის რანევსკაია სტანისლავსკის და მასთან ერთად თეატრს „Театр катится в пропасть по коммерческим рельсам“ ხედავთ... თეატრის კომერციალიზაციაზეც, როგორც ჩანს, დღეს არ დაწყებულა საუბარი.

ისევ ნაცნობი ტკივილი, „მსახიობის თეატრის“ უგულვებლყოფით გამოწვეული... თუმცა ცხოვრება წინ მიდის და არ შეიძლება მათ შორისაც – რეჟისორებს შორისაც – არ გამოჩნდნენ ისეთები, ვინც მსახიობს დაუბრუნებს თეატრს.

კარგა ხნის წინათ ეს გააკეთა სერგეი იურსკიმ – თავად შესანიშნავმა მსახიობმა და პიროვნებამ. პეტერბურგიდან მოსკოვში გადასვლის შემდეგ მან პირველი სპექტაკლი დიდ ფაინა რანევსკაიას დაუდგა და, როგორც ამდენი ხნის შემდეგ ირკვევა, არა-თუ არ შემიცდარა, ისტორიული საქმეც ჩაუ-



გოგი ხარაბაძე

დენია, რისთვისაც უდიდესი მადლობა მას! მთავარ როლს – ფელიციტას თითქმის ოთხმოც წელს მიტანებული ფაინა რანევსკაია თამაშობდა.

სერგეიმ გენერალურ რეპეტიციაზე დაგვპატიჟა. პარტურში მისი რამდენიმე მეგობარი ვისხედით.

დამთავრდა სპექტაკლი და სცენისკენ გავემართეთ.

შუაგულში იდგა ყავისფერ, სადა ჩითის კაბაში გამოწყობილი ცოცხალი ლეგენდა რუსული თეატრისა.

საერთო განწყობილებითა და მისი თამაშით აღფრთოვანებული მოკრძალებული ნაბიჯით მივუახლოვდით მას.

ქალბატონმა ფაინამ დინჯად შემათვალისწინა და ხმამაღლა იკითხა „Кто этот красавец?“ – სერიოზულ აუხსნა, ვინც ვიყავი. უწოდებდა ვიღაც, თითქოს შემრცხვა, რომ მეც მსახიობი მერქვა დამსასაც... „Почему же меня“ – წარმოთქვა ფაინა გიორგიევნამ დაღლილი, დაგუდული ხმით. მივუახლოვდი და, როგორც ღვთაებას, მონიშნით ვემთხვიე. – А теперь, платите алименты. – ... ასე ხუმრობა, ისევე როგორც ცხოვრება, როგორც თამაში – მხოლოდ მას შეეძლო... გავვათბო, შეტრიალდა და თვალს მიეფარა... განუიმეორებელი და დაუვიწყარი...

თოვანებული მაყურებელი „ბრავო, ხორავას“ ან „ბრავო, ოტელოს“ კი არა, „ბრავო, შალიაპინს“ უძახდა!

ნუთუ მსახიობს ამქვეყნიდან ნასვლის შემდეგ თან მიაქვს მისი განუმეორებლობის საიდუმლო?

ნუთუ რუსთაველის თეატრის გარდერობში, კულისებში, სცენაზე აღარ მოძრაობს მისი აჩრდილი?... რა ან ვინ კლავს ყველაფერ ამას? – წარსულს, ტრადიციას, მშვენიერებას?

სად, როგორ ან როდის ხდება გადაფასება?

რა ფასეულობებით იცვლება ყოველივე ეს?

რამ შეიძლება ნალეკოს მათგან დარჩენილი სურნელი ან განცდა? ალბათ, უფრო მაღალმა და მშვენიერმა...

**ბოლოთქმის მაგიერ.**

რჩევა ახალგაზრდა მსახიობებს და, განსაკუთრებით, რეჟისორებს, რომლებსაც არ მოსწონთ შეროიკულ-რომანტიკული თეატრის პათოსი და შესაბამისად – მსახიობები:

ნახეთ, კიდევ ერთხელ ნახეთ ფილმი „გიორგი სააკაძე“.

„კარავში შედი, რუსუდან...“


ნუთუ ამ სახის შეფასებას განსაკუთრებული ნიჭი საჭიროება?

ნახეთ, დააკვირდით მუნჯურ ფილმებში – „ნათელა“ და „ჩემი ბებია“ ბატონი აკაკი ხორავას მიერ განსახიერებულ როლებს და ერთი ნუთით ჩაფიქრდით!

თუ გინახავთ უფრო მონუმენტური და მაღალნიჭიერი მსახიობი?

სახე იყო, ნიშანი, თუ გნებავთ, სიმბოლოც მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული არტისტიზმისა...

... და, იქნებ, არა მხოლოდ არტისტიზმისა?!



# თემურ ცერცვაძე

## ასე მგონია

ცამდე მართალი არც მე ვარ შენთან,  
იქნებ, ეს გრძნობაც ბავშვის ჟინია;  
მაინც არ მინდა, გხედავდე შემკრთალს,  
მაინც ნურაფრის ნუ გეშინია.

შენს ძველ შეცდომებს არაფერს ვერჩი,  
მზერას მიგრილებს წლების მარაო,  
ყველაზე წმინდა რაც არის ჩემში,  
რატომ გავხადო სამასხარაო?!

თუ მომსვლელი ხარ, მოდი და დარჩი  
და წყენის კვალი კოცნით ნაშალე,  
როცა უშენოდ დავდივარ ხალხში,  
ასე მგონია, ვარ დამნაშავე!

## პოეტი

ნებას მივუშვი და იქვე, წამსვე,  
განცდის სიტკობო თუ ვნების სამსალა  
ღვთის რისხვასავით დამატყდა თავზე  
და სულის მოთქმა არ დამაცალა.

ვხედავ – ცხოვრება თავის გზით მიდის,  
ვხედავ – გრძნობები გამიტყიურდა;  
ვინ გააშიშვლებს საკუთარ სინდისს,  
რომ ახარხარდეს, როგორც იუდა?!

ნაბიჯების ხმას პირისპირ შევრჩი  
და წყვილად ვჩუქნი სულის ჩირაღდნებს,  
რალაც მეფური იღვიძებს ჩემში,  
როცა ზედიზედ არ გამიმართლებს.

## ნაცნობ პოეტს

თავს რომ ქურდულად დაგესხას მკვლელი,  
რომ გამოგლადროს ყელი ეშვებით,  
ან რომ ქვეყანა დაიქცეს მთელი,  
შენს სათქმელს მაინც ნუ შეეშვები.

დაე, აგიკლონ წყევლით და კრულვით,  
მარცხით დასრულდეს შენი ძიება,  
ქვად ნუ გექცევა ოლონდაც გული  
და შეცდომები გეპატიება.

ნუ უფრთხი სირცხვილს და თავის მოჭრას,  
თვით მოვევლინე ცოდვებს ჯალათად...  
პოეტს ღალატი რა ფეხებს მოსჭამს,  
საკუთარ თავს თუ არ უღალატა.

## ღროა

რა მოვუხერსო ძალღურ ამინდებს,  
თუ კვლავ ყმული მოაქვს სამარის,  
ერთხელ შევცდი და მტერი დავინდე,  
ჩემი დამნდობი კაცი არ არის.

ცხოვრებამ ცოდვის ალში გამხვია  
და ვიფერფლები, როგორც ნაფოტი,  
მეტის ღირსი ვარ, ჩემზე ახია,  
ჯოჯობეთისკენ რას ვისწრაფვოდი?!

ეს ღამეც ავი თვალთ მიცქერის,  
შეშლილ სახეთა მაკრავს ირაო;  
მოგიტეხიათ ყველას კისერი,  
ღროა – მაგიდა ავაყირაო.

## თავისუფლება

ღროს მიაქვს ჩემი სისხლი და ხორცი,  
წლების ჭუჭყი და წლების ნაგავი;  
ყველაფრის ქონას ჯობია, როცა  
არაფერი გაქვს დასაკარგავი.

ძლივს გავალწიე ოცნების გაღმა,  
არ ღირს სიცოცხლე გულის ფეთებად,  
სულს დავატარებ სხეულში ნალმად  
და, სადაც არის, ამიფეთქდება.

ყველა თვალსა და ხელს შუა მკარგავს,  
რადგან დასრულდა ჩემი კირთება  
და ახლა სული მთას მომწყდარ ზვავს ჰგავს,  
გზას რომ არავის არ ეკითხება.

## მა მირჩვენია

თავს დამხარხარებს ავი გენია,  
ჟამი – მქირდავი და გამთიშველი;  
დრო საბოდიშოდ არ დამრჩენია,  
რადგან ნერვები დამრჩა შიშველი.

მე ჩემი თავი მერგო ნისიად  
და ვალად მანვეს მთელი ცხოვრება,  
ბოლოს ოცნებაც ფურთხის ღირსია,  
მუდამ სიყვარულს მემათხოვრება.

მანყოფს ნილაბი – ცივი უარით  
და გული – ქვისგან გამონათალი,  
მე მირჩვენია, ვიყო მტყუანი,  
როცა სუყველა არის მართალი.

## ქართული

არ შეშრობია ღანვებს სისველე,  
წყევლით მიკლებენ სისხლის წვეთები;  
რა ვქნა თუ ძილშიც ველარ ვისვენებ,  
რა ვქნა თუ ტანში ველარ ვეცევი.

რა ვქნა თუ გულმა კვლავ დაიჟინა  
და შეუძლებელს მინდა ვხედავდე,  
მე ხომ ამქვეყნად ვცემდი ყოინას  
ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე.

რა ვქნა – შენდობას თუ არ მოველი,  
მინას ვასკდები, როგორც ჩანჩქერი  
და ამ სამყაროს მტვერი ყოველი,  
სულში ჩემივე თვალთ ჩამცქერის!

## ნათლობა

გამოვიღვიძე და გულს მაშინვე  
ფიქრებმა ცეცხლად შემოუარეს,  
განვიცდი წამებს ვ რალაც საშინელს  
და საშინელზე უფრო უარესს.

აი, რა მოსდევს სულის ავსებას,  
საბედისწერო ბრძოლის სიმძაფრეს,  
სწრაფად ილევა ჩემი არსება  
და უფსკრულების სიღრმე მიმაფრენს.

მორჩა, აფეთქდა მთავარი კითხვა,  
კითხვა – ნაღმივით მძლე და ფარული...  
საკუთარ თავში მოვკალი ვირთხა  
და მტერი – სულში შემოპარული.

**საქართველოს მწერალთა  
ეროვნული აკადემია**  
26 მარტს, 16 საათზე, მწერალთა  
სახლში გაიმართება  
თემურ ცერცვაძის  
შემოქმედებითი საღამო და წიგნის  
პრეზენტაცია.  
მისამართი: მაჩაბლის ქ. №13.

## ცეცხლის ზეიმი

ოლიმპოდან ჩამოვიტან კოცონს,  
სიკვდილთან და ცეცხლთან თამაშს ვბედავ,  
დანის პირზე სიარული მომწონს,  
ბენვის ხიდზე – კიდევ უფრო მეტად.

დაე, გულის მაყრუებდეს ფეთქვა  
და შიშისგან მეკვრებოდეს სუნთქვა,  
ეს ცხოვრება არ შემარგოს ღმერთმა,  
ერთხელ მაინც საყვედური თუ ვთქვა.

ურჩხულეები შემართულან ყალყზე,  
მე მოვდივარ წვიმასა და ქარში,  
ისე მშვიდად დავსეირნობ წყალზე,  
ველოდები – ფრთებსაც როდის გავშლი.

მზის სხივებმა ჩამოუშვა კიბე,  
აიტაცა სიზმრები და მტვერი,  
ნაგებულსაც – ბრძოლას – ხშირად ვიგებ,  
გავაგიჟე მოყვარე და მტერი.

არ უშველის მუდარა და ხვენწა,  
დრო გაქუსლავს ცეცხლოვანი რაშით,  
მეც მოვდივარ – დამელოდეთ ერთ წამს,  
ვარსკვლავები მიმოვფანტოთ ცაში.

## ეკლიან გზებზე

ეკლიან გზებზე სტვენით დავეშვი,  
თავანწყვეტილი და არდამრიდე,  
შენს უნამუსო სილამაზეში  
მეც ჩემი ნილი ცოდვა დავიდე.

იმ დღიდან გავხდი ცრუ და მკვებარა,  
რადგან უაზრო დღეთა მოლოდინს  
მერჩია, შუბლში ტყვია მეხალა  
და შენს სიყვარულს გადავყოლოდი.

დაჭრილი გული უმწოდ მითრთის  
და დაუვინყარ ნუთებს გიმადლის,  
შენ ერთხელ მაინც გეკითხა მისთვის  
ფასი სუნთქვის და ფასი სინათლის.

## გამხელის ნუთი

მე თუმცა თავის გამხელა მძულდა,  
გამხელის ნუთი რომც მომერიოს,  
ნუ შემომხედავ – ვით მარტოსულს და  
ნუ შემომხედავ – როგორც გენიოსს.

თავდავინწყებით შენს თეთრ მხრებს ვკოცნი,  
გაღებული მაქვს გულის კარები;  
დრო იყო – ალბათ, იყავი მორცხვი  
და ნადირივით მიუკარები.

ახლა კი ერთად მიყვებით აღმართს  
და ერთად ფეთქავს ჩვენი გულები...  
ყოველთვის მრჩება ნუგეშად რალაც,  
რადგან ამქვეყნად შენ მეგულები.

გაგა

ტანმალალ გეგეს ბავშვობიდან კალათ-ბურთი იტაცებდა. მერე და მერე კი სხვა თვისებაც – მრავალცოლიანობისადმი მიდრეკილებაც გამოავლინა და, დღესდღეობით, მეექვსეც ცოლთან, თამრიკოსთან, ნე-ბივროსს, თანაც ისე, რომ არც ყოფილებთან არის დანასისხლად. ამის დასტურად სულ ახლანდელი ამბავიც გამოდგება.

გეგემ უმნიშვნელო ოპერაცია გაიკეთა და, დიმა ჯაიანს თუ დაეჯერება, მის თითო კიდურს ორ-ორი ქალი დაჰფოფინებდა. რა თქმა უნდა, ცოლყოფილნი თავად ვერ მივიდოდნენ ავადმყოფთან, მაგრამ მათი ემისიები ისე ეხვეოდნენ გეგეს, როგორც ფუტკარი ფიჭას. უხერხულობის დასაფარავად პალატაში გეგეს გვერდით მწოლიარე პაციენტს, მშრომელ კაცს, „დასახლისი“ მნახველთა ვინაობას აცნობდა. ერთ-ერთი გეგეს პირველი ცოლის დედაშვილი აღმოჩნდა; მეორე – მეორე ცოლის მამიდაშვილი, მესამე სულაც ცოლყოფილის და. როცა გაკვირვებულმა თანაპალატელმა ბოლოს თამრიკოს ჰკითხა, ბოდიში და, შენ მერამდენე ცოლი ხარო, აღნიშნულ თემზე თავისი ქმრის ტელეფონებში მონაწილეობით ნახალისებულმა ქალბატონმა ამაყად უპასუხა – მეექვსეო. და, თუმცა ამ ნათქვამში ტყუილის ნატამალიც არ არის, კაცი კედლისკენ გადაბრუნდა ბუზღუნით: ჩემს მეტი დასაცინი ვერაფერს ნახეთო და, სანამ უცნაურმა ოჯახმა პალატა არ დატოვა, მათკენ აღარც გადმობრუნებულა.

ფარჩო

თელავში რომ ჩამოვიდა, ფარჩოს სპორტისთვის თავი ახალი დაწებებული ჰქონდა და ახლა „სპირტსმენობას“ ეპარებოდა. სმას მიუჩვეველი მალე თვრებოდა და წინა დღის მონაყოლიც აღარ ახსოვდა. ერთხელაც ნასვამმა წაიტრიალა: – ბოლოს, მოსკოვში ყოფნისას, ნონა მორდიუკოვა გავიცანი და კამასუტრა თავიდან ბოლომდე გავიარეთო.

გამოხდა ხანი და ფარჩოს ცოლი მირეკავს, თუ გცალია ამოდო. ავედი ზუ-ზუმბოზე. ზინამ წონა მორდიუკოვას „ატკრიტკა“ მომანოდა, თან ნამეტრალევი მეუბნება: – ჩემ უსინდისო ქმარს მოსკოვში მეორე ოჯახი ჰყოლიაო. „ყურადღებით“ ნავიკითხე წერილი. სსრკ სახალხო არტისტი ფარჩოს ატყობინებდა: – იმ ვენტიანი ღამის კვალად ბიჭი გაგვიჩნდა, მამაშენის სახელი მაჩუქეთო. – ძალიან სახელი კია ეს საბჭო, – ამითლა იხებდა გულს ალელე-ბული ქალი. მის დამშვიდებლას შევეცადე: – რა გინდა, გავლენიანი პიროვნებაა ნონა, ბიჭები რომ ნამოიზრდებიან, მოსკოვში პატრონი ეყოლებათ-მეთქი. არაფრით არ დაუშვა სცენარის ასე განვითარება გურულმა ასულმა: – ან მე, ან ისო.

მეორე დღეს ახლა ფარჩომ გამოიხი-მო შინიდან. თავიდან მომიყვა მოსკოვის ამბები. ეგ იყო, ნასვამობის დროს მოყოლილიდან ბევრ რამეზე უკან დაიხია: – მე მგონი, ამხანაგ ნონასთან სარეცე-ლი არ გამიყვია, მაგრამ კი დავთვერი, მაგრამ, ასეთი რამ რომ ყოფილიყო, რა დავაინყებდაო. ვერაფრით ვანუგეშე: – ხო იცი, ნამთვრალეზე, გუშინ რა ჭამე, ის არ გახსოვს-მეთქი. ის საჭმელია, ეს კი ქალი – თავის დამშვიდება სცადა ფარჩომ. დაეჭვებულმა, მაინც დაინყო თითებზე ანგარიში. მოსკოვური „ვოი-აჟიდან“ ზუსტად ცხრა თვე გამოუვიდა და ამან მთლად დააბნია. მივხვდი, უკვე მეორე ოჯახი ენგროდა (ისე, მოგვიანებით, მოსახდენი მაინც მოხდა და ფარჩომ თელაველ ქალბატონზე იქორწინა). „ატკრიტკა“ გამოვართვი, მცირე ხანს ვატრი-ალე და ბოლოს ვუთხარო: – შე მართლა ფარჩაკო, ვერა ხედავ, ბარათს მხოლოდ თელავის ფოსტის შტამში არტყია. თან იქვე ავუსხენი: – ალბათ, ვინმე თელა-ველ გოგოს მოენწონე და ცდილობს, ოჯახი დაგიინგროს-მეთქი. ჭკუაში დაუჯდა ჩემეული „ანალიზი“ ფარჩოს, თქმით კი ესლა თქვა: – რამდენი ბოროტი ადამიანი ყოფილა ამ პატარა ქალაქშიო და გახარე-ბულმა სახლისკენ გაქუსლა.

ბოკაჩო

ბოკაჩო (გია დავითაშვილი) მოჩიტიული ბიჭი იყო, როცა მისი ოჯახი ყაზბეგიდან თელავში ჩამოსახლდა. მოხევეს ბარში ბევრი უცხო და ახალი დახვდა. განსაკუთრებით, ტკბილი „ხინკლის ხე“ მოეწონა. ეგ იყო, ლელვს მთელ-მთელეს ყლაპავდა და დედამ ამისთვის დასაჯა კიდევ. თან აუხსნა: ხილი უნდა გაიფცქენასო.

მეორე წელს თუთას მიაგნო ყმანვილ-მა, მაგრამ მალევე გამწარებულმა გამოს-ძახა მშობელს: – რა ვქნა, არ იფცქენება ეს შობელქალიო. დედას გაეცინა და ბი-ჭიც მიხვდა, რომ დამოუკიდებელი ნაბი-ჯების გადადგმის დრო დამდგარიყო.

დავაჯვარებულმა ბევრ ნაყოფს გაუსინ-ჯა გემო – ნებადართულს თუ აკრძალულს. ბოლოს, ვატიას ნაბაძვით, მალაღ კისერზე შარფი მოიგდო და... ფუნჯიც აიღო ხელში (თავად ვატია ავთო ვარაზის შეგირდობით

# ჩანაწერები თელავის თათვის

ეზიარა მხატვრობას). თელავი მაშინ მხო-ლოდ მონარტრს თუ ჩამოუვარდებოდა მხატვართა სიმრავლით. ამ ფენომენზე, რუსლან ლონდაძემ, ჩვენმა ძმამ და მეგო-ბარმა, სატელევიზიო ფილმიც კი გადაიღო „თელაველი ნარმავეზი“ (რათა „ნარმავეზი“, სიცოცხლეში ვერა ვკითხე, ახლა კი...)

გიას კი, „დეკამერონით“ გატაცების გამო, ბოკაჩო შეერქვა და არა ტიცინი ან რაფაელი.

მოსკოვი-პანკისი

ვატიას მანანალა ბუნებამ ბევრი კა-ცი გაგვაცნო და დაგვამეგობრა. ერთხელაც „ტრეტიაკოვკაში“ ყოფნისას იქაური „ტელეგრაფიკიანი“ მუშა გაიცნო (გაიცნო, რა! „სოობრაზილი ნა ტროიხ“!). მუშა ალი-ოშა პაუსტოვსკი აღმოჩნდა, კონსტანტი-ნეს ძე. მას საშა ტუმანოვი, მიშა შვარცი, ბორის შტიენბერგი (ბოროხა) და კიდევ მრავალი დისიდენტი თუ „ბულდოზერის-ტი“ მხატვარი მოჰყვა. მოსკოველები ხშირად სტუმრობდნენ ფერებში და ღვინო-არაყით მდიდარ კახეთს. ერთ-ერთი ასეთი ჩამოსვლისას ჩვენმა ქისტმა მეგობრებმა დათვზე სანადიროდ გაიპატიჟეს სტუმრე-ბი. როცა ჩემი მანქანის საბარგულში ერ-თი ყუთი „მოსკოვსკაია“ და მისი შესატყ-ვისი სურსათ-სანოვარე ჩაიდგა, ერთობ საეჭვოდ მეჩვენა „საფარის“ აღსრულება. ასე იყო თუ ისე, ბიჭები დამთქმულ ად-გილზე ვიყვანე და უკან გამოვბრუნდი. პირობისამებრ, სამ დღეში ავაკითხე. სუ-რათი ერთობ შთამბეჭდავი დამხვდა: დი-დი კაკლის ქვეშ მძინარე მხატვრების სი-ახლოვეს პირმშინდად დაცლილი ყუთები ენყო, სახლის აივანზე კი თოფიანი კაცი გადა-გამოდიოდა. ქისტმა ბიჭმა სწრაფად ამისხნა ყოველივე; სახლის პატრონს ქალი მოეტაცა (მეორე ცოლად) და ახლად შექე-ნილი „მოყვრების“ თავდასხმას ელოდა. ძლივს გავაღვიძე პირქვე მწოლარე ბო-როხა, რომელმაც თვალების ფშვინებით „დამავალა“: – სტაროკ, სკაჟი ხაზიაიკე, პუსტ პოზვონიტ სვომი პოდრუჟკამო. არ ვიცი, რა სიზმარი ნახე, ბოროხ, მაგრამ, თუ დროზე არ ავახვიეთ ღარები, ცუ-დად ავიხდებამეთქი, ვუპასუხე და სხვე-ბიც შევაჯანჯღარე. მალე ჩვენი მანქანა მტვრის კორიანტელს აყენებდა თელავის-კენ მიმავალ, მოხრეშულ გზაზე. ასე მშვი-დობიანად, თოფის გაუსროლელოდ დას-რულდა მოსკოველთა „ნადირობა“.

ვანოს სინანული

როგორც ადრე ითქვა, თელავში ხშირად ჩამოდიოდნენ მოსკოველი მხატვრე-ბი და, რა თქმა უნდა, ჩვენც ვსტუმრობ-

# ზურაბ ჯინორიძე

დით მათ. ერთხელაც საშა ტუმანოვთან ვარ. გავიდა ერთი კვირა, მეორე დაინყო და მომენატრა ქართული სიტყვის გაგო-ნება. ვუთხარი ყოველივე საშას, თან და-ვაყოლე: – ალბათ, ეს არის ნოსტალგია და ჩემი გამგზავრების დროც დადგა-მეთქი.

– ტი ჩტო, სტაროკ, სპუსტის ვინი, ვ მებელნი მაგაზინ, ტამ პალნო ვაშის. – მოლბერტისგან თვალმოუწყვეტლად და-მაკვალაინა საშამ.

მეც ჩავედი და პირველი, ვინც შემე-ფეთა, ვანო მელვინეთუხუცესი იყო – „თელაველი პანკისი“. გადავეხვიეთ ერ-თმანეთს, მოვიკითხე, საყვედურიც მო-ვასწარი: – მაშ, ტყუილად ისწავლე კონ-სერვატორიაში ხუთი წელი-მეთქი?

– მაშ, მაშ, რამდენი დრო მაქვს დაკარ-



ფეშტამალაფარებული დიმა ყველაფერს ასწრებს: მწვადის შეწვას, ხინკლის მოხვე-ვა-ჩაყრა-ამოყრას (მგონი, ხაჭაპურიც მი-სი ნახელავია!). მე, ცოცხა არ იყოს, უხერ-ხულად ვგრძნობ თავს; მისი მეუღლე თინა ჩემი ნათესავია და, დრომ რომ მოაწია, დასახლისს გადავძახე: მუსნაილის მაინც მიხედე-მეთქი. თინამ დაიმორცხვა: – რა ვქნა, არ ვუკრავო. მაგიერში, დიმა მია-ცურა სკამი პიანინოსთან, ფეშტამალზე ხელი შეინმინდა და... მწვად-ხინკლის სუ-ნით გაჯერებულ ოთახში „მთვარის სონა-ტის“ ჰანგები დაირხა.

ჩარკვიანის წყარო

მიშა და ზალა საშოვარზე აღვებ-ში გაეშურნენ. მანამდე, გულდაგულ მოემზადნენ; შავი „ზიმი“ ერთი დღით მძლოლად აყვანილ ტაქსისტ ლუბას გაა-რეცხ-გააკრიალებინეს, თავსაც მიხედეს, დაკრონის კოსტიუმებში გამოეწყვენ, თეთრ პერანგებზე ობობიანი ჰალსტუხე-ბი დაიკედეს, თავზე ცილინდრები მოირ-გეს და როლებიც გაინაწილეს; ას კილოს თამამად აცდენილი მიშა მძიმე მრენ-ველობის მინისტრია, უფრო მომცრო, მაგრამ არამცდაარამც გამხდარი, ზალა – მსუბუქი მრენველობის. აღვანბიც, რა თქმა უნდა, ფაციფუცია; საპატიო სტუმ-რების დასახვედრად მოსახლეობას „მი-ნისტრების“ ძველი ნაცნობი, მაგრამ მა-ინც გაურკვეველი ნარსულის და ასეთივე მომავლის მქონე დამამზადებელი გოგია რაზმავეს.

გზად თავმოშვებულმა კოლეგა-ძმაკაცებმა და თავზე მანდლნაკრულმა ლუბამ ალავერდში შეიარეს. სანთლები დაანთეს, ღმერთს შენდობა შესთხოვეს და კვლავ გაღმისკენ გარეკეს.

სოფლის შესასვლელში, საპატიო სტუმრებს ისე დახვდნენ, ნებისმიერ კოს-მიურ წყევლს რომ შემურდებოდა. ერთი კი უსაყვედურს მასპინძელს „მინისტ-რებმა“: – რად გინდოდა ამდენი ჰაი-ჰუი, ხო შევეთანხმდით, არაოფიციალური ვი-ზიტით ვართო. თუმცა, ხალხმრავლო-ბამ სრულებითაც არ დააბნია ძმაკაცები: ჯერ სტალინის და ზეზუა გაფრინდაულის ძეგლები შეამკეს, ლუბას ხელით იქვე კვლებში დაგლვეჯილი ყვავილებით და მე-რელა, იმერულ-გურულ კილოზე გადასე-ლით, მიუბრუნდნენ ხალხს.

კლუბზე კუთხიდან კუთხემდე გადა-ჭიმული პლაკატი იუნყებოდა: – მძიმე და მსუბუქი მრენველობა ძმები არიანო. პიონერებმა ხომ იმდერეს და იცეკვეს, მაგრამ კომკავშირლებმაც ტოლი არ და-უდეს და სახელდახელო დოლიც გამარ-თეს. კაცმა რომ თქვას, არც სტუმრები დარჩნენ ვალში – მათი მხრიდან დათვა-ლიერების ობიექტი ერთი იყო, მაგრამ როგორი! აღვნელებმა და ბირკიანელ-ბა-ბანეურელებმა მით უმეტეს, პირველად იხილეს შარვლიანი ქალი-შოფერი, თა-ნაც ტარნიანი პაპიროსით პირში! ლუბას ბოხი ხმა და მხრა-მოხრა ხომ სოფლის ქალების ცალკე განხილვის ან იქნებ ჭო-რაობის მიზეზადაც იქცა. ადგილობრივი ფოტოგრაფის გასახარად, ბავშვები „ზი-მის“ ფონზე, უცნაურ „სტირეკიან“ დეი-დასთან ერთად ხალისით იღებდნენ სუ-რათებს. გზად შეჩერებულმა, ალავერდში მიმავალმა მექორნილებმა ხომ მთლად გვირგვინი დაადგეს ლუბას აღვანში

►► გაგრძელება მ-10 გვ.

მე-9 გვერდიდან

ყოფნას; დოლ-გარმონის თანხლებით, მასთან ერთად და მის ირგვლივ ცეკვით იჯერეს გული.

ბოლოს საქმიან ნაწილზე გადავიდა სტუმარ-მასპინძელი; ხრუშჩოვის საბჭოთა კავშირისა არ იყოს, ალენებსაც დიდი გასაჭირი ადგა და სათხოვარიც ბევრი იყო. უფრო კი – მომრავლებული უმუშევრებისთვის სამსახურის გამოძებნა. „მინისტრები“ შუბლს იჭმუნხინდნენ, ოხრავდნენ, მაგრამ უნუგეგმოდ არავის ტოვებდნენ; ზოგს სანყობის გამგეობას დაპირდნენ, ზოგს სულაც საამქროს უფროსობას და, ამისდა შესაბამისად, „ზიმში“ სულ უფრო მეტი გუდა იდებოდა. სავსე საბარგულის დახურვასთან ერთად მიღებაც დასრულდა და, წესისამებრ, სტუმარ-მასპინძელმა ოჯახში გადაინაცვლა.

სუფრასთან ხალვათად იგრძნეს თავი კოსტუმ-პალსტუხსმელეულმა „მინისტრებმა“. მალევე მიხვდნენ, რომ გაიშვიანებულ ქვიფს მონატრებული, მათი მასპინძელივით გაურკვეველი ცენზის მქონე თამადა და მისი მოადგილე, პურ-მარილის დასრულებას არ ჩქარობდნენ; ხან ერთი ქარხნის სადღეგრძელო დალიეს, ხან მეორე ფაბრიკის. იქნებ, თავი დაგვანებონო, სუფრის წივს თანამდებობასაც შეპირდნენ ძმაკაცები, მაგრამ იქვე მიხვდნენ, რომ შეცდნენ; აღფრთოვანებულმა თამადა-მოადგილემ ლამის ხელახლა დაინყეს სუფრა. არადა, აგვისტოს ხვატით და დასავლურ კილოკავზე ლაპარაკით შეწუხებულ ძმაკაცებს ერთი სული ჰქონდათ, შინმისულებს ნადავლი გაეყოთ და ტახტზე წამოგორებულს, იქნებ, თვალცი მოეტყუებინათ. ამიტომ, მიშამ ენერგიულად დაუსვა ნერტილი ღრეობას: – აქანა რომ ვართ, ათი ამდენი ყაძახი ჩვენ კაბინეტბთან დაკუნკულესო!

ადგომა კი მოხერხდა, მაგრამ სამუშაოს შოვნით გახარებულმა თამადა-მოადგილემ დაიჟინეს: – თქვენნაირ საპატიო სტუმრებს ჩარკვიანის წყარომდე გაცილება ეკადრებათო. შეწუხდნენ ძმაკაცები, მაგრამ განდობილმა გადაულაპარაკათ: თქვენ რაღა მიდისო. მთის სივრცის წარმოდგენაზე მოტყდნენ სტუმრები და ერთმა მეორეს გადაულაპარაკა: – ბოლოს და ბოლოს, ყოველდღე ხომ არა ვართ მინისტრებიო და ავტოკოლონამ „ზიმის“ და „პობედის“ შემადგენლობით გაბმული საყვირებით უკან მოიტოვა ალენები.

ხერგილს მიახლოებულ, ლამის შინ მისულ ძმაკაცებს რეჩხი კი უყოთ გულმა, მაგრამ წილი ნაყარი იყო და მანქანებმა, ცივი აჭრილი წყვილი მერცხალივით, ცივი-გომბორისკენ შეჰკრეს კამარა! ადგილზე მისულებმა კინაღამ ინანეს: – რაზე უარს ვიტყოდით ამ სიამოვნებაზეო; ზღვის დონიდან ათას შვიდას ორმოცდაათ მეტრზე წყაროც ცივი იყო და ჰაერიც. თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნათ და სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს სადღეგრძელოს თქმას არ აცლიდა. ჩარკვიანის სადღეგრძელო ხომ მთლად სვანური ქუდით დაილია!

სალამოს სივრცელემ იმძლავრა, მაგრამ ადგომას არავინ ჩქარობდა. უღელტეხილთან ზურგით მჯდომ მიშას თვალი მოსტაცა ნამკალ-ვენახებით უკვე მაჭრისფრად აფერადებულმა ალაზნის ველმა; უფრო იქით, კავკასიონის ძირში – ბავშვობიდან ნაცნობმა, უკანა ფეხის ილიაში შაქრიანის შეყუჟვით განოლილ-გაქვავებულმა კირქვის დინოზავრმა და მის თავზე ცამდე აყუდებულმა დაკბილულმა ლურჯმა მთებმა. თითქოს სადღაც გაქრა გრძელი, დაუსრულებელი ზაფხულის დღე; ყველით თუ ტყუილით სასვე გუდღე და კაცმა დაჭრილი დათვივით დაიღრიალა: – რა ლამაზია ეს ჩემანალა კახეთიო!

კახები ყოფილანო, – გადასძახა ერთმანეთს თამადა-მოადგილემ და ფიცხელი ომიც გაიმართა. ამოვლ ცდილობდა გოგია მოჩხუბრების დამოშინებას: – განა არ შეიძლება კახი მინისტრი იყოსო, მაგრამ ამისი თავად ნამინისტრალეხსაც არა სჯეროდათ და თუშები რად დაიჯერებდნენ!



ჯდომა-ჭამა-სმით დახაშმულ ძმაკაცებს ბარე რო ესიამოვნათ მკლავის გაშლა. მიშას თავური ხომ თელავის რიყის გაღმა-გამოდმა იყო ცნობილი! გაუჭირდათ თუშებს და ლუბამაც, დროის შერჩევით, საალავერდოდ წამოღებული თეთრი მანდილი ჩააგდო მოჩხუბართ შორის. „სტოპობანას“ მოთამაშეებით ერთ ადგილს შეეყინნენ მუშტმემართული კაცები. გოგიაშაც ბოლო სიტყვა თქვა: – კარგი, ხო არ უნდა დახოცოთ ქართველებმა ერთმანეთი; ერთი გუდა მივაკერძოთ ფიზიკურად და მორალურად დაზარალებულებს და ამით მოვრჩეთ საქმესო. მონონა ნათქვამი ორივე მხარეს. ერთმანეთი გადაკოცნეს კიდევ: – ჩვენც სუ და თქვენც სუო.

როცა „ზიმში“ ველისკენ დაეშვა, ღამდებოდა და თელავის ახლად აკიაფებული „ილიჩის“ ნათურები მაცდურად უკრავდნენ თვალს ჭრელი დღით დაღლილ-დაქანცულ, მაგრამ მაინც კმაყოფილ ძმაკაცებს.

რაც რომ ღმერთმა გინილადოს...

იყალთოში ვართ, სახლის აივანზე მამაჩემის ხსოვნის სუფრაა გაშლილი და მოუხვენრობაშეყრილი ზაური მაკარიჩევი ხან მაგიდის თავშია, ხან ბოლოში; მცირედით დაკმაყოფილებული კაფანდარა ახალგაზრდა სხვათა პატივისცემა-მომსახურებაზეა გადასული. განსაკუთრებით მამაჩემის ბიძაშვილ კოტეს, ოთხმოცს მიღწეულ ახოვან, ლოყებლაჟ-ლაჟა თუშურქუდიან კაცს დატრიიალებს; ყოველ ავლა-ჩავლაზე ეფერება: – აბა, რა მოგართვა, რა გესიამოვნება, მამოო. თავიდან შეიშმუნა კაცი, მომობრუნდა: – რა უნდა ამ ბაღს ჩემგანო. ზაური კი არ ეშვება: – შენ ბიჭი არა გყოლია, მე მამა არა მყავს და დედაჩემიც ცოლოა ვერე მარტო რო არიო. ამასობაში სუფრა თავისი წესით მიდის, სადღეგრძელო სადღეგრძელოს ებმება და ღვინოც თავისას იმკის. წამოდგა სუფრიდან კოტე, გვერდზე გამიყვანა, თან ექიმებისგან აკრძალულ „პრიმას“ ექაჩება.

– აბა, აქეთ მაიხედე, ბიჭო. – მეუბნება. – ეგ შენი ძმაკაცი რო გადაამკიდებია, დედამისი ქალი ქალად როგორია?

– აბა, როგორ გითხრა, ბიძაჩემო; აგე, იმ თავშიანს ხედავ? – ფანჯრიდან, ოთახში მჯდომ ცოლზე მივანიშნე ძია კოტეს (არადა, როგორ არ ითქვას, ერთი მუჭა ძალოჩემი, ენამწარობით მთელ სოფელში თუ არა, უბანში ხო ნამდვილად იყო გამორჩეული!). – ეგ ქალბატონი, იმასთან შედარებით, ტკბილად მოგალობე ბულბულია.

კოტემ წკიპურტით მოიშორა სიგარეტი, მოხრილი ცერა თითით თავზე თუშური ქუდი შეიტოვა და მორჩილი ნაბიჯით თავის ადგილს დაუბრუნდა.

რი ქუდი შეიტოვა და მორჩილი ნაბიჯით თავის ადგილს დაუბრუნდა.

არჩევნები

არავინ იფიქროს, რომ ჩვენი სამეგობრო მხოლოდ მოგზაურობა-ქიფში ატარებდა დროს. როგორ არა, საქვეყნო საქმესაც არ გავუბოდიტო. იმ დროს, დემოკრატიის გარიჟრაჟზე (კაცმა რომ თქვას, გარიჟრაჟი გარიჟრაჟადე დარჩა) ხშირად იმართებოდა არჩევნები. ერთხელაც ლანას და ელდარის პარტიის წარმომადგენლად დავინიშნე თელავში. მე, ჩემი მხრივ, ბაადური ჩავრთე საქმეში. პირველი დავალება არცთუ რთული იყო: სარჩევნო პლაკატებით უნდა „მოგვერთო“ ქალაქი. ამ საქმეში გამოცდილი კაცი, სცენის და ბახუსის დიდი მოყვარული, თეატრის „მეაფიშე“ ვნახეთ, თვალსაჩინოება და შრომის საფასური ჩავაბარეთ და გულდამშვიდებულნი, ალბათ, „აფსაიტისკენ“ გავემართეთ.

გამოხდა ხანი, თბილისიდან „პარტიული“ ხელმძღვანელობა გვეწვია კობა იმედაშვილის, ჯუზა მიქაბაძის და გივი შაჰნაზარის სახით. სტუმრები გაკვირვებას ვერ მალავდნენ: – მთელი ქალაქი გამოვიარეთ და ვერც ერთი პლაკატი ვერ ვნახეთო. სიმართლე გითხრათ, ამ ამბავმა ჩვენც გაგვაკვირვა და „მეაფიშე“ ვიხმეთ. მან კი, ვალმოხდილი კაცის იერით, აქეთ შემოგვიტია: – როგორ გეკადრებათ, ყველა პლაკატი გაკრულიაო. პლაკატები მართლაც გაკრული აღმოჩნდა, ოღონდ უკლებლივ თეატრის ირგვლივ. მეაფიშეს, განსაკუთრებით, უკანა, ყრუ კედელზე ებეჯითა, იქ, სადაც პატარა საჭიროებით შეწუხებული კაცის თვალი თუ ხედებოდა, ისიც მზის ჩასვლის შემდეგ ერთი სიტყვით, შევრცხვით მე და ბაადური. მაგრამ წესი წესია, მათ შორის ქართულ-საარჩევნოც. და ბოლოს ყველანი სუფრასთან აღმოვჩნდით. ქარვისფერმა ღვინომ და გივი შაჰნაზარის ბაიათებმა მალე დაგვაინყნა საარჩევნო „ციებ-ცხელება“. ეგ იყო, გაცილებსას, როცა მძლოლმა საბარგულს ახადა, რათა ჩვენთვის სააგიტაციო ფურცლები გადმოეცა შევეულმფრენიდან გადმოსაყრელად, ჩამოსულთაგან ერთმა ჩაილაპარაკა: – ესენი ამ შეკვრების გამხსნელები არ არიან, ვილაცას დაეცემა თავში და მოკლავსო. მძლოლმაც უხალისოდ დახურა სიმძიმისგან დახნილი საბარგული, სტუმარ-მასპინძელი კი გულმხურვალედ დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ხინკალი

ერთხელაც ბადურა და ოთარა გავარდაშვილი „აფსაიტში“ შევიდნენ, ჯიბეები მოიჩხრიკეს და დახლზე შემოდებულ სინ-

ზე ხურდები ააჩხრიალეს. ქუჩომ ფული მითვალა და ნელში მოხრილმა მცირე სარკმელში მზარეულს გასძახა – ოთხი ხინკალიო. მერე ისევ ბიჭებს მოუბრუნდა: ალბათ, სტუმრები გეყოლებათ, თორე ამდენის შემჭმელი თქვენ არა ხართო.

რატომ არ დაიკრძალა რუხ-ველტი კურდღელაურში

მე და ჩემ დას, დალის, ბავშვობა-ახალგაზრდობა კურდღელაურში გვაქვს გატარებული, – გვიყვება ლია მუმლაური. – ჩვენი სახლი სასაფლაოს მოპირდაპირე მხარეს დგას და გვსურდა თუ არა, ყველა დაკრძალვის უნებლიე მოწმენი ვიყავით. სიმართლე ითქვას, ეს მაინცადამაინც არ გვანალვლებდა, უფრო პირიქით. ღმერთი მაღალია და შეგვინდობს; ტელევიზორი ჯერ არ იყო, რადიოც ხრიალით მუშაობდა და, როგორ არა, კვირის გარკვეულ დღეებში შარისკენ ვიყავით მიყურადებული.

როგორც წესი, სასაფლაოსკენ გადმოხვეულ პროცესიას წინ კოლმეურნეობის ვენახ-მინდვრებში ნატანჯი გაზ-51 მოუძღვებოდა, ცხვირზე დამაგრებული მიცვალებულის გადიდებული სურათით. მანქანას ხალხი მოჰყვებოდა. სულ ბოლოს სასულე ორკესტრი აელვარებდა ოქრო-ვერცხლისფერ საკრავებს და მართალია სამელოვანრო, მაგრამ მაინც ჰანგი ახალისებდა არემარეს. არცთუ იშვიათად ძველი მანქანა ფუჭდებოდა და პროცესიაც მცირე ხნით ირეოდა. ესეც გარკვეულ, როგორც იტყვიან, ინტრიგას მატებდა ცერემონიალს.

ჩვენც, მთლად გარიყულები რომ არ ვყოფილიყავით, პროცესიის შესახვედრად ვემზადებოდით და ყვავილების თაიგულით ხელში ალყაფის წინ ვდგებოდით. ეს იყო და ეს, მთელი ჩვენი მონაწილეობა დაკრძალვაში, მაგრამ შინ ვალმოხდილი კაცის თუ ქალის იერთი მობრუნებულნი, სანერ მაგადასთან ვსხდებოდით; მამაჩვენი პედაგოგი იყო, სოფლის სკოლის დირექტორი და შინ დაბრუნებულისთვის, სკოლამდებებს დავალება უნდა ჩაგვება-რებინა. ჩვენც ვებეჯითოდით და ახალი ამბების გასაგებადაც გვრჩებოდა დრო.

მამის სხვაგვარად იყო ყოველივე; რადიოგადაცემებს ყურით, ანუ ჭრელ ყუთთან მიმსხდრები ვისმენდით; ძონისფრად განათებულ ტაბლოზე გამოტანილი ისარი და დედაქალაქთან ჩამონათვალი თითქოს მთელ მსოფლიოს უყრდა თავს ჩვენს სახლსა თუ სოფელში. ჩვენც, ყურადღებადქცეულნი, ველოდით საქვეყნო ახალ ამბებს. ერთხელაც ეს მოლოდინი პრეზიდენტ რუხველტის სიკვდილის სახით გამოგვეცხადა. დიდი და პატარა იყო ამ ამბით შეწუხებული და ჩვენ რატომ ვიქნებოდით გამოწკინისი! მეორე დღესვე დავინყეთ მზადება. ერთი, რაც გვანებდა, ეს დაკრძალვის დღე იყო – ორშაბათი, მაგრამ გასაკითხებელი მაინც გავაკეთეთ: ბოტები გავიკრიალეთ, თავზე ბერეტები მოვირგეთ, პალტოებში გამოვწყვეთ და, წესისამებრ, ყვავილებით ხელში ალყაფის კარების წინ დავდექით. გამოხდა ხანი, მაგრამ შარა დუმდა; აქა-იქ თუ აივლ-ჩაივლიდა იშვიათი მანქანა. ბოლოს, როცა ქათმებმაც შეიბუდეს, ნახირმაც ჩამოიარა და პროცესია კი არა და არ გამოჩნდა, მოლოდინით და სიცივით შეწუხებულები ავნრიალდით და შარამდევ კი გავედით, რაც მშობლებისგან მკაცრად გვექონდა აკრძალული. ცოტა არ იყოს, შევჩქვიფდით, როცა იქ მამაჩვენს გადავეყარეთ. მამამ ყურადღებით მოგვისმინა, რატომღაც დატუქსვის ნაცვლად მოგვეფერა, თანაც საქმეში გავგარკვივა: – ჩვენი კოლექტივის მანქანას საბურავი დაშვებია და კურდღელაურის ნაცვლად, ისევ იქ, ადგილზე, ჰაიდპარკში დაუკრძალავთ რუხველტო. ყურებჩამოყრილი დაებრუნდით შინ.

რამაც გავგავკვირვა ის იყო, რომ მშობლები დროდადრო ჩვენკენ გამოხედვით, მართალია, მოგუდვით, მაგრამ მაინც იცინოდნენ. არადა, იმ დღეს რუხველტს გლოვობდა მთელი მსოფლიო!

სახიფათო თაბაში

კალის კაცუნები... ტყვიის ტკაცუნებით... ხალხის გაცურებით... ნაღდი მომენტებით – „თვალხუჭობიას“ თამაშს აპირებენ, ოღონდ კედლებთან დგანან... პოეტები. – თვალს თუ არ დახუჭავთ, რაღა თამაშია? – ცხვირს თითით იჩიჩქნის ბუთხუზა ლენერალი, – თამაშსაც თავისი წესები გააჩნია, ვერვინ ვერ შეგცვლით და გიმღერებთ სერენადებს!.. ჰგვანან ბარიკადებს სახლის ნანგრევები, ობობას ქსელებში ავსულთა კარტები... კალის კაცუნები... ტყვიის ტკაცუნებით... ხალხის გაცურებით... სასხლეტს აწვებიან. ალისფერ სისხლით მინა იღებება და მზეც – დასისხლული ინვის მომეტებით... და ისევ კედლებთან, და ისევ კედლებთან და დღესაც კედლებთან... დგანან პოეტები!

კითხვა

რატომ მიდიხარ მონასტერში დაო მაკრინე? – იმიტომ, რომ... სული მატკინეს! რატომ ატარებ ამ შავ კაბას, დაო სესილი? – იმიტომ, რომ... ცაა შეცვლილი! და დაო ანნა, რად გიზიდავს ქვაბთა სიცივე? – იმიტომ, რომ... მზე არ მიციინის!

ქველი

კვარცხლბეკი – ერთი და ძეგლი – ორის! – და დუმს აკაკი... და დუმს ილია, რომ ყველაფერი არის სხვაგვარი, რომ საქართველოც სხვანაირია! გვერდი-გვერდ მძიმე ჩაფიქრებაა (კვიმატი ფიქრი როგორ ვაობლო?), ორი სიცოცხლე, ხოლო სიკვდილით ქცეული – ერთად!.. როგორც სამშობლო. მკერდია ერთი და სუნთქვა – ორი (კითხვის ნიშანი მიჩანს სრულიად)... როცა ლექსები დანყვილდებიან, თქმა აღარ უნდა... დიდებულთა!

ჯინის მონოლოგი

(ირონიული)

ვკანკალებ ლანდი, – გაფერმკრთალება უკვე გამოწვდილ ხელებს დაეტყო: – ნუ დამაბრუნებ, ნუ დამაბრუნებ, ნუ დამაბრუნებ ბოთლში, – მაესტრო! მე არ ვიყავი ბოროტი ჯინი და ამიტომაც გამომიმეტე, – შენ ამყარებდი ჩემზე საოცრად და სასაცილოდ ლამაზ იმედებს... რადგან დამბადე დაღლილი ცეცხლით და მერე უცბად ჩამბერე სული – მე გავხდი ასე გაოცებული, ამაღლებული და... თვალხილული. ვისნავლე, როგორ უნდა ვიცოცხლო, ვისნავლე ლამის და დღის გარჩევა... ვისნავლე, როცა ზღვისპირას დგახარ, ნაფეხურები რატომ არ რჩება! და ახლა ითხოვ ჩემს დაბრუნებას – ამგვარად, ცივად და დაჟინებით... მოგვეცი ნება, ერთი დღით მაინც თავისუფალი ვიყოთ ჯინები! მე აქ დავრჩები, მე აქ დავრჩები, მე აქ დავრჩები ხვალაც და ზეგაც!.. გავრბივარ შენგან, მაგრამ რატომღაც ნივილ-კივილით გარბიან ჩემგან... ვკანკალებ ლანდი, – გაფერმკრთალება უკვე გამოწვდილ ხელებს დაეტყო: – ნუ დამაბრუნებ, ნუ დამაბრუნებ, ნუ დამაბრუნებ ბოთლში, – მაესტრო!.. თუ მაინც უნდა დაგემორჩილო, თუ ჩემი უნდა მოისპოს კვალიც, გამაქრე, როგორც არა შექმნილი, გამაქრე, როგორც თამბაქოს კვამლი!

• ანთიხარ, როგორც უფლის სანთელი – მოფარფატე და სევდანარევი.

ვთო ხსიძე

გექებ დაღლილი... ჩემი ლექსები ცისფერ ანგელოზს შეგადარებენ. ქუჩებში ისევ დაძრწის ცრემლებით თვალნაღვლიანი... უიღბლო მიმი, ხოლო ღიმილი – გაკრული ჯვარზე ჩემგან მოითხოვს სხვანაირ ღიმილს. დავდიდარ ჩუმად... ისევ უხეში, მობუზული და მოუნათვლელი, და ბოლო ღამეს – ბნელს ასრერიგად, დავარქმევ სევდით: – „იყავნ ნათელი“! ლურჯ სასთუმალთან დამიფენს იებს, მეოცნებეთა მაღალი ქორო. დღეს აცხადდება დიდი სიზმარი – ერთი აქვს ცას და მინასაც ბოლო! ველარ მოითმენს ბრბო მოზიმშიმე – სადაც... საშინელ ცეცხლში ჩამწვავენ. გამიშიშვლებენ სისხლისფერ მხარს და მწივანა მათრახს გადამანწავენ. მოდის სიჩუმე იმქვეყნიური, რაღაც მარტივად გადასათვლელი და ბოლო ღამეს – ბნელს ასრერიგად, დავარქმევ სევდით: – „იყავნ ნათელი“!

კოლხი მონადირაების სიმღერა

ტომის ბელადო, ჩვენი ტოტემი მზე და მთვარეა. შუბს ვკრავთ ფაზისის სველ ქვიშაში და გვიხარია! ტომის ბელადო, დაუუმსხვრიოთ ღამეს ნაბული და თეთრი ხორციტ გამოვტენოთ გამოქვაბული. ზამთარში ვთბებით დაჩეხილი დათვების ტყავში და გაზაფხულზე მოდუნებულ მხარ-მკლავებს გავშლით! კვლავ დავვლით ირმებს გაცოფებულ ხარის სირბილით... შევულოცავთ და... ტყაში-მაფას – გადავიბირებთ! ტომის ბელადო, სისხლი გვიდულს – სისხლი ცხელია! – კვლავ ვინადირებთ, თუ სიკვდილი... არ გვინერია!

არმაზ

(ძველებური წარწერა)


არმაზ: იმედო: ჩემო: კერპო: და: დარდო: ჩემო: ნუხს: გაც: და: გაიმ: დანყვილებას: უთქმელი: ჯავრის: არც: ბარბაროსთა: შავი: ხმალი: არც-რა: მინისძვრა: არმაზ: იმედო: შენ: დაგამხოვს: პატარა: ჯვარი:

ცოდვა

(ბალადა)

„თუ ქალი გეტყვის დობასა, ის უკეთესი და არი“! ხალხური

რად გითხარ, ღმერთო, ძმობისა, რატომ დამძიმდა ხანჯალი? ორბისფერ მთვარეს ჭანგავენ თვალები ხმლებით ნაჯვარი. ყომრალ ღამეში ჩამქრალო, ფერგადასულო სანთელი – დობილო... დაო ცისფერო, გულში ჩახრულო სათქმელო! – ეს ჩემი მკლავი დაინვა თუ მკლავზე შენი თმებია? თავს გაწინრავდე, მოგხვევდე



ნაბადს კუპრისფერფრთებიანს... ცხრა მთაზე გადაგატარო, მეათე მთაზე ატირდე. ღრუბლებმა დაიფრიალონ – ცას ელვასავით გავჭრიდე... როცა გათენდეს, ცეცხლივით ისევ აენთოს ხატობა, – ახორხოცდეს და მომინდეს საზარლად ლუდით დათრობა – დამჩეხონ ხევსურთ კაცებმა, დანყველონ ჩემი დიდება!.. ბინდისფერია სოფელი და, როცა აღარ ბინდდება, ვიცი, დამფლეთენ ძაღლები – დუმილი არდანდობისა. მომბანე ნაიარევი, ნიშანი ცოდვილ გრძნობისა. და, როცა მინა მიმიღებს, მინა – მკერდ-გადაყოფილი, მეც ამეწვება უბეში სისხლით ნაზარდი ყოილი!

• გამაფრიალოს ლამის ტკივილმა, ისე ჩამოჰგავს ჩემი ერი ხარს – რქებდაგრეხილს და სანთლებანთებულს... „მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ“... ღმერთო, გამწირე საკურთხეველთან, სადაც სასტიკი ქურუმნი დგანან!.. რადგან – „რამდენად მშვენიერი ხარ“, – იმდენად უფრო ლაპლაპებს დანა!

• (მინიატურა)

ასეთი ამინდი მისწრებაა პოეტისათვის და მიხარია... მონყენა! ორიოდ ლექსით შევანუხებ დედოფალ მუზას და ორთავე მეგონება... შედეგრი. მეზიზღება ყოველივე ფერად-ფერადი, ნაჯახით ვჩორკნი ეკლიან სტრიქონს. ახლა, უფრო ფასეულია ოჯახისათვის – კილოგრამი გაყინული ხორცი. შემოძვრება ქუჩიდან ყინვა და აკნავლდება სადარბაზოსთან... ვიმედობ: – მარტი – რევოლუციონერი, იატაკქვეშეთში ახველებს... მძიმედ!

• განწმენდა, მაგრამ ასეთი... სისხლით? – რა ცოდვა მედო აქამდე, დღემდე, – არ მპატიობდნენ არასდროს მისხალს – მკუნავდნენ... ცოცხალს მინაში მდებდნენ. განწმენდა, მაგრამ ასეთი... სისხლით? – ვხედავ მონყენილ ანგელოზს ფუძის. მსხვერპლს გამონახავს მუდამ ჯალათი, თუ საჯალათე გამოშრა კუნძი. ვიცი, მიჩვენებ გზას გოლგოთისკენ, სადაც ცამ სხივი გადმომინოდა... მაგრამ შემინდე, შემინდე ღმერთო – შენ იყავ ერთი და მე ვარ ცოტა!



# პარალელური პოეზია

გამარჯობა! ეს პარალელური პოეზიაა. ღია სტურუს პოეზია. აქ საგნები ობიექტურ სინამდვილეს წყდებიან, ტოვებენ ტრადიციულ შინაარსს და თავიდან იბადებიან, როგორც უნიკალური მოდელები არესტოტელესეული თვალსაზრისით, მხატვრული სახე ალბათობის კატეგორიას განეკუთვნება, რომლის ყოფიერების შესახებ ვერც „ჰო“-ს ვიტყვი და ვერც „არა“-ს.

ასეთია ღია სტურუს სიურრეალისტური სახეები – ქაოტურად მოძრავი საგნები ლექსის ექსპოზიციიაში თავიანთ არსებობას მხოლოდ ვარაუდობენ, ლექსის დასასრულს კი მათს ბედს და ილბალს ავტორი თავისებურად ხსნის და ცხადყოფს.

ღია სტურუს პოეზიის სპეციფიკურობაა ის, რომ მას შეუძლია აღწეროს ნაცნობი საგანი, როგორც პირველად დანახული, რაც ერთ დროს უკვე აღქმული ფორმების თავიდან გადაზრებას გულისხმობს. ეს ერთგვარი დეფამილარიზაციის პროცესია, როდესაც ნაცნობი საგანი სრულიად უცხო ხდება შენთვის. ამ პროცესის შემდეგ გაქვავებული, ავტომატიზებული საგნები განიცდიან დეავტომატიზაციას, ანუ თავიდან იბადებიან. საგანთა ასახვის ასეთი სისტემის გამოყენება სრულიად უნიკალურს ხდის ღია სტურუს პოეზიას.

პირადად ჩემთვის პოეზია ასოცირდება სახეობრივ აზროვნებასთან და, ამავე დროს, რა თქმა უნდა, მწერლის სულიერ გამოცდილებასთანაც. ავტორი უნდა ცდილობდეს ისეთი ტექსტის შექმნას, რომელიც რეალობის მარტივი კოპირება კი არ იქნება, არამედ მისი მხატვრული გადაზრება. ამ მხრივ ღია სტურუს ოსტატურად ქმნის სინამდვილისგან სეპარირებულად, ტრანსცენდენტურად მდგარ პოეტურ პირობითობას, სადაც მხოლოდ ავტორი და პოეტური იდეა თანაარსებობენ. მისი ყოველი ლექსიდან ბავშვური ცნობისმოყვარეობა გამოსჭვივს – ის ბავშვური მონდომებით ცდილობს, ამოხსნას მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები, შეაფასოს და, რაღა თქმა უნდა, გამოავლინოს რეაქცია: „ვურევ, ვურევ ჩაის კოვზს ჭიქაში, ვითომ რამით განსხვავდება სამშაბათის წკარუნი ხუთშაბათის წკრიალისგან?“

ხელოვნების სამიზნეს, შკლოვსკის თანახმად, წარმოადგენს საგნის, როგორც ხილვადი შეგრძნების და არა როგორც ნაცნობი ობიექტის, წარმოჩენა.

ასე რომ, ხელოვნება სამყაროს პერცეფციების საშუალება უფროა, ვიდრე მისი შემეცნებისა, ამიტომ ნუ მოვთხოვთ მას, პასუხი გასცეს რთულ გნოსეოლოგიურ საკითხებს.

უბრალოდ მივიღოთ რაც შეიძლება მეტი სიამოვნება კარგი პოეზიისგან და, რაც მთავარია, დავაფასოთ კარგი ავტორები...

აქვე მინდა შემოგთავაზოთ ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ლექსი ღია სტურუს პოეზიიდან „ქალის ვედრება ღვთისმშობლის მიმართ“, რომელიც ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ლოცვითი საგალობელი ტროპარი უფროა, ვიდრე უბრალოდ კარგი ლექსი:



საგნის სწრაფი

„ჩემო ხორბლისფერო ღვთისმშობელო! შუადღის ჯვარი ისეთი მძიმეა... შენი თმები, პირქვე დამხობილი დამასიზმრე და მეგონოს წვიმა...“

ჩემო თაფლისფერო ღვთისმშობელო! ქალის ჯვარი კიდევ უფრო მძიმეა და ვერსად ვერ გაექცევი მარტოობას შენი თმების მოლანდებულ წვიმაში.

და მათი სიუხვეც ვერ დაგაკავებს, როდესაც მწარე რწმენა ახლოვდება. რომ შენს შვილსაც ჯვარზე გააკრავენ მისი ყველაზე ახლობლები.

მას ჯერ ღმერთივით უყურებენ და ჯერ სახლიდანაც არ უშვებენ, მაგრამ მშვიდრებს რომ დააპურებს, – მერე ტაძარსაც რომ აუშენებს,

იტყვიან, რომ ის საეჭვოდ კეთილია და ვერასდროს აპატიებენ იმ პურის ხვავიან სიმაძღრეს და ტაძრის გაუგებარ სიმაღლეს

და ხილვას, რომ ზამთარში ტოტები ჰგვანან ბავშვის უმწეო მკლავებს, – შიშველი, მახინჯი ტოტები... ამისთვის კი უკვე კლავენ.

ჩემო სევდიანო დედა, შეცვალე ჩემი ძის ბედი! შენ მთლად თითბრისფერი და ნათელი ხარ და თეთრი კრავი ხელში გინთია სანთელივით.

ჩემო დაღლილო ღვთისმშობელო! მე დაგიკლავ თაფლისფერ უშობელს, ოღონდ, გახვეულებს შენს თმაში, გვასწავლე პურის და სიმაღლის ფასი...

# ლოვან სიმშვიდეში

ვინც ხმლითა და გუთნით აქამდე გვატარა, ვინც ომში აკვნით შვილები ატარა, ვინც მოძმეს უწილა თავისი მათარა, ვინც ობოლს უპატრონა, ხელი აფარა, ვინც მეჩხერ ვენახში ლერწები ახარა, ვინც კაცური კაცის სახელი ატარა, ვინც ქალის ნამუსი ფულზე არ გაცვალა, ვინც არაქართველს ქართული ასწავლა, აფერუმ, აფერუმ, აფერუმ იმას, ვინც დედასამშობლოს თავი ანაცვალა!

## ტბა ოცნებათა

ხან ქარს გავეყვები, ხან წვიმას მივენდობი, არ ვუფრთხი ჭექას თუ ელვას, ველი შენს სახეებას, ველი შენს ნათებას, მაგრამ დრო იმედებს თელავს. ხან ქარს გავეყვები, ხან წვიმას მივენდობი, მაინც ვერ გპოვე, ვერა! ცრემლგარეული ტბა ოცნებათა უქაროდ, უქაროდ, უქაროდ ღელავს!

## ბოლო გაჩერებაზე

შემოვრჩი მარტო, სრულიად მარტო სანუთროს ბოლო გაჩერებაზე, ასე მგონია, აღარცა ვდარდობ ჩემი წარსულის გახსენებაზე. ანდა რა იყო ისეთი მაინც, ყველა ჩვენგანს რომ არ გაუვლია, მე ვერ ვაგნებდი, ვიდოდი საით, უქმადაც კარგა დროს ჩაუვლია.

დრო იყო ავი, დაუნდობელი, მან დამიტოვა გულზედაც კვალი, კარგს არავისგან აღარ მოველი, იმ ქვეყნისაკენ მიჭირავს თვალი.

შემოვრჩი მარტო, სრულიად მარტო სანუთროს ბოლო გაჩერებაზე!

## მომიც უფლება

თუკი ჯერ არ გამოცლილა მოგონებათა ზარდახშა, თუ გული შენკენ მომიწევს მზიან დღესა თუ ავდარსა, თუ დედაჩემის ნაწერით მე გული ამიჩუყდება,

მამაჩემს რომ ვერ ჩაეუსწარ – გუნება გამიფუჭდება... თუ ვნუხვარ უამინდობით, შენ ზვრებს რომ დაემუქრება და ნასეტყვარის შემყურეს მე გული დამეთუთქება, თუ ცრემლი მადგა თვალზე, სიყრმის მეგობართ ნატრულსა, თუ მუდამ შენ მაგონდები, როცა ვიგონებ წარსულსა, მაშინ მეც მომე, კახეთო, უფლება, ვლოცო ეგ მინა, ვენახში მტევანს ვეფერო, შენს სიყვარულში დავინვა!

აურზაური, მიშენ-დაშენება ქუჩას ვერ გახვალ მანქანით სავსეს, ფილტვებს აირი, ჰაერის ნაცვლად, სახლის სართულებს ნაგავი ავსებს.

ვინც ჩამოსულა დიდ ქალაქებში, შინ დაბრუნება არ უნდა არც ერთს, ცხოვრობს ქოხში ან ავტოფარეხში, მოვარდნილ ღვარცოფს გარეთ ვერ ასწრებს!

დედაქალაქში ქართული სისხლის შემომატება საშური არის, მაგრამ არც ისე, რომ სოფლის ნაცვლად, ხელში შემოგვრჩეს ჩვენ ნასოფლარი.

# ლოკოს მესხი



\*  
1994 წელი.

დარწმუნებული ვარ, მკითხველს ყოველთვის აინტერესებს, როგორ დაინერა ესა თუ ის მოთხრობა, მიზეზი – რამ წარმოშვა მისი დაწერის სურვილი, რომელმა წუთმა მოიტანა... ამგვარი სამახსოვრო წუთები, უდავოდ, არსებობს მწერლის ცხოვრებაში, ისინი ჩემი სიცოცხლის შეუცნობელ ნაწილად მესახება – როცა საკუთარ თავს არ ეკუთვნი, თითქოს სხვა განზომილებაში გადადიხარ. ერთ ამგვარ საღამოზე მინდა გიამბოთ.

თბილისიდან სტუმრები გვეწვივნენ, კონფერენციის მონაწილენი, ისტორიკოსები (იმჟამად ქუთაისის ისტორიული არქივის დირექტორი ვიყავი!). ჩვევად გვქონდა, ღონისძიების დასასრულს მცირე გასივრებას მოვუწყობდით სტუმრებს, ისტორიულ ადგილებს მოვიხატავდით და სუფრასაც გავშლიდით.

გელათს ვენიეთ. ათი-თორმეტი კაცი ვიყავით. დავათვალიერეთ ტაძარი, ახლომახლო ადგილები. ექსკურსიამძღოლები დაგვხვდნენ. ხანშიშესული ისტორიკოსი და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი. ორივენი გელათში, ბერების ყოფილ სენაკში ცხოვრობდნენ.

ტაძრის ეზოში, მწვანე მოლზე გავმალეთ სუფრა. მასპინძლებიც მოვიპატიჟეთ. ღვინის სმაზე მეტად, საოცარი გარემო, ერთად ყოფნა და საქართველოს ისტორიულ ნარსულზე საუბარი ისამოვნებდათ სტუმრებს... იყო აზრების გაზიარება, წარსულის შეხსენება, ფაქტების კვლევა. გელათის მშენებლობა, თითოეული ქვა, ფრესკა, სამრეკლო, აკადემია ახსენეს. მეფეთა განსასვენებელს ესტუმრნენ, დავით აღმაშენებლის საფლავი ინახულეს. „გალობანი სინანულისანი“ ზეპირად წარმოთქვეს. სანთლები დაანთეს, ილოცეს, საოცარი წუთები იდგა...

ირგვლივ სიჩუმე იყო. ყრუ, იდუმალი ხმები ისმოდა. სოფელი განაპოლიყო. ტყე შრიალბდა (სადაც შაშვი ჭახჭახებდა!), ქვემოთ წყალნითელას მოსარკული ზედაპირი მოჩანდა. შორს, სივრცეში გაჩახჩახებული ქუთაისი ანათებდა. რძინი ბალახის დამატობელი სუნი ვიგრძენი... მოჩანდა მთვარის სხივებში გახვეული გელათის დიდებული ტაძარი. საოცარი სანახავი იყო. აღფრთოვანებული შევცქეროდი.

– ზღაპრული სამყაროა, ნეტავი, თქვენ... – გულისწყვეტით ჩავილაპარაკე. – ღამით უნდა ნახო, მპასუხობს გელათის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელი. – გალემილი ახალგაზრდები რომ მოგვადგებიან კარზე. ვითომ ისტორიული ძეგლებს მოყვარულები არიან. მანქანებით, საყვირების ხმაურით, კარზე ზრახუნს ატყენენ... დახშული ხმა აქვს ვაჟს, სახეზე წყენა აღჰბეჭდვია.

– მერე, უღებთ კარს?!  
– აბა, რას იზამ, ღამის შემოანგრიონ. ქალებთან ერთად მოდიან. ზოგიერთს ვიცნობ... თავმოწონებენ, თავხედობენ...

წამით მომეჩვენა, თითქოს ერთბაშად სივრცე განათდა... რალაც ძალამ ფეხზე წამომაგდო. ტაძრისკენ წავედი,

ლია კარს მივაღებე. ირგვლივ სიჩუმე იყო. მოციმციმე სანთლებმა, კედლიდან მზირალმა დიდებულმა ფრესკებმა თუ გრილმა, ნოტიო ჰაერმა უცებ სხვა სამყაროში გადამიყვანა, ერთბაშად სხვა სივრცეში აღმოვჩნდი, სხვა განზომილებაში... გალობის შორეული ხმები ჩამესმა (დედათა მონასტერში მონაზვნები გალობდნენ), ცხენების თქარათქურიც ისმოდა. დავით აღმაშენებლის რემა, ბედაურებზე ამხედრებულ ლაშქარსაც ვხედავდი, მათი ყიჟინაც მესმოდა. ძველი და ახალი ყოფა, არსებული თუ არარსებული სამყარო ერთმანეთში არეულიყო. ამას ერთვოდა ქვის საფეხურზე გახმაურებული ნაბიჯები, ტაძრის მცველის ომახიანი ხმა: „მოვდივარ, მოვდივარ!“

საოცარ გაორებას ვგრძნობდი... სანთლით ხელში, მოჩვენებასავით ვუვლიდი ტაძარს. მალლა და მალლა, უსასრულობაში მიიწვინებდა ჩემი სხეული. ასეთი რამ არასდროს განმეცადა. განუმეორებელი წუთები იდგა.

მოგვიანებით, როცა შინისკენ ვიბრუნებოდი, გზას დავადექით, მანქანა-

– ღმერთო, რა დღეში ჩავგყარეს ხალხი! – ზურგს უკან ჩურჩულებს ვილა. შენუხებული და აფორიაქებული ჩანან მწერლები. უმეტესად დუმან. სადარდელს არ ამხელენ, მაგრამ მათი ფიქრიანი მზერა ამკარად გამოუვალ მდგომარეობაზე მეტყველებს.

ამგვარი ყოფისთვის გამოუცდელი აღმოჩნდნენ! მეც – მათ შორის...

ერთ დღეს ოჯახში ტელეფონის ზარი გაისმა: „ხუტა ბერულავა ბავშვთა ფონდში გიბარებს“ – მაცნობეს. მწერალთა კავშირიდან ნასვლის შემდეგ ბავშვთა ფონდის პრეზიდენტი გახდა ბატონი ხუტა.

დილაადრიან ვენიე. ოთახი ხალხით იყო სავსე. მაგიდასთან ბატონი ხუტა ზის. თავდახრილი, ფიქრიანი სახე აქვს. იქვე მისი „მეგრელი ძმები“ ჩამომსხდარან: დილარ ივარდავა, ვაჟა ეგრისელი, ზაურ კალანდია, ვახტანგ ხარჩილაძე და სხვები. უცხოებიც არიან. რალაც სიებს ადგენენ.

ჩემს დანახვაზე ხუტა ამბობს: „მწერალი ქალია, საბავშვო მოთხრობებს წერს.“ მერე მეკითხება:

– ლეილა, შენ ოთხი შვილი გყავს, ხომ?!  
დავიბენი. რა უზუპასუხო, არ ვიცი. „ორი შვილი და ორი შვილიშვილი“, – გამიელვა ფიქრმა. არადა, დაეთანხმეო, მანიშნებს დილარ ივარდავა.

## ფიქრის ბრიალტოსანი

(ამონარიდი 2014 წელი, იანვარი)

ში ყველაზე უკან ვიჯექი. თავჩახრილი. მღუმარე. ვცდილობდი, თან ადევნებული საოცარი ხილვა არ დამეფრთხო – მოთხრობის მთელ სიუჟეტს თავიდან ბოლომდე ვხედავდი, შევიგრძნობდი. როგორმე შინამდე უნდა მიმეტანა...

ასეც მოვიქეცი. უმალ საწოლს მივაშურე, რვეული და ფანქარი თან შევიყილე. ქუჩიდან შემოსულ შუქზე, ნახევრად მძინარე, ცახცახით ვწერდი... (მთელი სხეული მიკანკალებდა!) მეჩვენებოდა, ვილაც სასთუმალთან მივხედა და სიტყვა-სიტყვა მკარნახობდა. რას ვწერდი, ან როგორ, არ ვიცოდი, მთავარი იყო, რიტმი არ შემენელებინა და დროულად მომესწრო ჩანერა...

მოვასწარი კიდევ! დილამ მტრედისფერი ფარდები რომ ჩამოაფარა ფანჯარას და პირველმა სხივებმა ოთახში შემოანათა, მოთხრობა დავამთავრე. სათაურიც შევურჩიე – „ღამე ტაძარში“. უმალ მოწყვეტით ჩამეძინა. მოგვიანებით გადავათვრე. სიტყვა არ შემიცვლია, არც სტრიქონები გადამიადგილებია. ერთი ამოსუნთქვით დაინერა.

სულ მალე მოთხრობა „ღამე ტაძარში“ ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა (1975 წ.)

აქვე მინდა დავძინო, იმ უცნაურმა ღამემ, ახალი მოთხრობის დაწერამ, დაძაბულმა სიუჟეტმა თუ რალაც ძნელად შესაცნობმა განცდამ უდღესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, სულ სხვა თვალთ დაფუნყე სამყაროს ცქერა... თითქოს ყველაფერი გადასხვაფერდა. მოთხრობის გმირებიც შეიცვალნენ. ყოველივე იმ უცნაურმა ღამემ მოიტანა. ტაძრის, ფრესკების ხილვამ, შორეული გალობის მოსმენამ, უხილავი სივრცეების გაცოცხლებამ... მადლობა უფავს!

\*  
1992-93 წლებია... საქართველოსთვის უმძიმესი ხანა. ცხოვრება ჭირს. პური ტალონებით იყიდება, გრძელი რიგებია! მალაზიები ცარიელია. მწერალთა კავშირში სამ კილო მაკარონს და ათ ლიტრ ნავთს გვირიგებენ. სარდაფში მწერლების რიგი დგას, ჩემ წინ როსტომ ჩხეიძე დგას, ჩვეული თავაზიანობით ადგილს მითმობს. თითქოს შეღავათს მიკეთებს. „ვახტანგ ჭელიძის კუთვნილი მომეცით, მე მივუტან“ – ჩამესმის მისი ხმა.

– დიახ.  
– დანერე განცხადება და ხვალ მოდი.

მეორე დღეს მოვდივარ. კვლავ ხალხმრავლობაა. კვლავ ფუსფუსი, მისვლამოსვლა. როგორც კი გამოვჩნდი, ნომრიან ფურცელს მანოდებს ხუტა და მოადგილესთან მიშვებს. დერეფნის ბოლოს, საწყობის მსგავს ოთახში შევდივარ. თარიღან ვეებერთელა ფუთა გდმოაქვთ და ძლიერძლივებით მოათრევენ. უცხო ნარწერები აჭრელებული, საგულდაგულოდ შეკრული ფუთა, აშკარად მძიმეა. ზიდავ მიჭირს. ერთხანს ქუჩაში ვდგავარ. სახლამდე ტაქსით რომ მივიდე, საამისო თანხა არა მაქვს. შორს ვცხოვრობ. გულისწყვეტით დავცქერი ფუთას. უცებ ჩემ წინ მანქანა ჩერდება. შორეული ნაცნობი აღმოჩნდა – თითქოს განგებამ გამომიგზავნა. სახლამდეც მივაღწიე...

გაოცებული ვხსნით ფუთას. თვალს არ ვუჯერებთ, თითქოს ვილაც უცხო, გადამთიელმა კი არ გამოგზავნა, არამედ ახლობელმა, ჭირ-ვარამის მოზიარემ, რომელმაც იცოდდა, რა ზომის ტანსაცმელი სჭირდებოდა ჩემს რძალს, შვილიშვილებს, შვილებს... თბილი ჯემპრები, ჟაკეტები, წინდები... ფუთა სამი განყოფილებისგან შედგებოდა. ერთში ტანსაცმელი ეწყო, მეორეში სადღეინფექციო საშუალებები: შამპუნები, სარეცხი ფხვნილები. მესამეში (განსაკუთრებით საინტერესო რომ იყო შევუთული!) – შოკოლადები, კანფეტები, ზეფირი, თევზისა და ხორცის კონსერვები, ზეთუნის ზეთი, ბრინჯი, ვერმიშელი. სულ და გულო!

გავიხარეთ. მეორე დღეს მადლობის სათქმელად ვეხმინებო ხუტას. არც მომისმინა.  
– ორ დღეში გამომიარე, ფქვილს და შაქარს გავატან! – მომადახა და ყურმილი დადო.

შეიძლება, დღევანდელი გადასახედიდან ეს ყველაფერი უმნიშვნელო მოგჩვენებოთ, მაგრამ მაშინ სხვა იყო; რაც მთავარია, ყოველივე უშურველად, გულითალობით კეთდებოდა...

\*  
ახლად დაქორწინებული ვარ. რალაც გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და მატარებლით მგზავრობა მიწევს. რამდენჯერაც ვთხოვე მეუღლეს, ჩემთან

ერთად წამოდი-მეთქი, ფეხს იორეგს, არ მცალიაო, მეუბნება. გაგაცილებ და ბილეთსაც გიყიდიო, მაიმედებს – სალაროში ნაცნობი მოლარე ჰყავს. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, სადგურში რომ მივედი, ყველა ბილეთი გაყიდული დაგვხვდა. დამელოდეთო, მოლარემ გვითხრა და ერთი ბილეთი მოგვიხერხა. ვაგონში ავედი.

საერთაშორისო ვაგონი აღმოჩნდა. კომუნისტების დროს თითო ასეთი ვაგონი ყოველთვის ახლდა მატარებელს. მდიდრულად მორთული, ხალიჩებით, სარკეებით, რბილი საწოლებით, ქათქათა თეთრეულით, მუსიკით, მომსახურების უმაღლესი დონით. ეს ვაგონი საპატოტიო, გამორჩეული ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი. არასდროს მემგზავრა – ჩემი სტუდენტური ბიუჯეტისთვის ერთობ ძვირი სიამოვნება იყო.

კუპეში შევედი. ზედა საწოლები აკეცილია, კუპე ორი მგზავრისთვის არის განკუთვნილი (ეს ჯერ კიდევ არ ვიცი!) ნათურა ანთია. თბილა. მუსიკა უკრავს. სრული კომფორტია. მატარებელი საცა დაიდრება, მეუღლე ნასვლას არ ჩქარობს... ვილაცას ელოდება. ისიც გამოჩნდა... კარი გაიღო და მალაღი, ტანადი მამაკაცი შემოვიდა ტყავის ხელჩანთით, მოკლე პალტოთი, შარვლის ტოტზე წითელი ხაზი გასდევს. დინჯი ჩანს, განონანსნორებული. მოგვესალმა. თავისი ადგილი დაიკავა. გაზეთი გაშალა და კითხვა დაიწყო.

– სხვა არავინ შემოვა? – გაოცებული ვეკითხები მეუღლეს. ველავ. არ მპასუხობს. მიხვდი, იგი ჩემზე უარეს დღეში იყო... ჯერაც გამოუცდელი ახალგაზრდა ქალი, ახლად შერთული ცოლი, როგორ გინდა დატოვო თბილ, მყუდრო კუპეში აგრერიგად სიმპათიურ და მომხიბვლელ მამაკაცთან.

ამას ახლა ვამბობ, ასაკის შემდეგ, სამხიარულოდ და სალალოდ, თორემ მაშინ ამის გუნებაზე ნაკლებად ვიყავი. ხიერიანად ვერც გავარკვიე, მარტო მიწვედა დარჩენა თუ კიდევ შემოვიდოდა ვინმე. ბოლოს და ბოლოს, სულ არ დავიძინებდი ან დერეფანში შემეძლო გამეყვანა დრო... არადა, მეუღლეს აშკარად ვამჩნევ მღელვარებას. უკვე ვერთობი, ვხალისობ... ცეცხლს ვუკიდებ. ვერჩურჩულები, „წაიდა, არ დაგიგვიანდეს!“

არ ჩქარობს, ერთხანს კონდუქტორს უტრიალა. ეტყობა, უარი მიიღო. მერე ვაგონს გაჰყვა. სულ მალე ჩვენს კუპეში ასაკიანი, ჭლარა მამაკაცი შემოიყვანა – ადგილი გაუცვალა. მე მის მეუღლესთან გადამიყვანა, სათნოდ მომლიმარ ქალბატონთან. რომელიც ამ ამბით უდავოდ გაერთო. მთელი ღამე კისკისებდა, ახალგაზრდობის წლებს იგონებდა...

დილით, ვაგონიდან ჩამოსვლისას, უცნობი მამაკაცის ხმა ჩამესმა: „ეჭვიანი მეუღლე გყოლიათ?!“ თბილისური კილო დაჰკრავდა. მოხვებდი. წუხანდელი თანამგზავრი აღმოჩნდა...

ხელის მალლა აწვეით მემშვიდობება და სწრაფი ნაბიჯით მიჰყვება ბაქანს.

\*  
მწერლისთვის პერიფერიამ ცხოვრება ორმაგი სასჯელია. ჯერ ადგილობრივი ბარიერი უნდა გადალახო, მერე დედაქალაქში დაიმკვიდრო სახელი, საკუთარი შემოქმედება გააცნო მკითხველს და მის ღირსებაში დააჯერო, რათა საზოგადოებისთვის მისაღები გახადო. ეს კი ძნელია! მკითხველზე მეტად რედაქციის თანამშრომლებისთვის თუ რედაქტორისთვის თავის მოწონება ჭირს.

როგორც მოგახსენეთ, თუ ნაწარმოებს ჟურნალ-გაზეთებში არ გამოაქვეყნებდი, ისე ნიგნად ვერ გამოცემდი (დღეს ყველაფერი გაიოლებულია. ამიტომ მომრავლდა „წყალწყალა შედევერები“) მხოლოდ ორი ჟურნალი გამოდიოდა, „ცისკარი“ და „მნათობი“. დამწყებ მწერლებს ეჭვის თვალთ გვიმზერდნენ, უმეტესად უარით გვისტუმრებდნენ. ამიტომ იყო, განსაკუთრებით „მნათობი“ აუღებელ ციხესიმაგრედ მიგვანჩნდა. ქუთაისში მცხოვრები მწერლები იშვიათად იბეჭდებოდნენ.



►► რამ გამაბედვინა, დღესაც არ ვიცი. თუმცა ვხვდები, იქ ნოდარ წულეისკირი და გურამ დონაშვილი თანამშრომლობდნენ, ჩემთვის ნაცნობი მწერლები. თუმცა ეს არაფერს ნიშნავდა, მთავარი რედაქტორის აზრი იყო... თუ მოიწონებდა, მაშინ დაიბეჭდებოდა. მკაცრი, ნაომარი კაცი იყო გიორგი ნატროშვილი. მის შემოქმედებას კარგად ვიცნობდი. პროზა, პუბლიცისტიკა, კრიტიკული წერილები. პირადად არასდროს მენახა. კარებს მივადექი. ხელჩანთაში სამი მოთხრობა მიდევს: „ღამე ტაძარში“, „ბიჭს მამა ენატრებოდა“ და „ლუჩია“.

„მნათობის“ რედაქციის კარი გულსკანკალით შევალე. პროზის განყოფილებაში ნოდარ წულეისკირი და გურამ დონაშვილი დამხვდნენ. თბილად მიმიღეს. ქუთაისის ამბები გამომკითხეს. მოთხრობები ამოვიღე ჩანთიდან, დიდად არ დაინტერესებულან. „ბატონი გიორგი როგორც გადამწყვეტს. დაელოდე, მალე მოვა.“

კარი გაიღო და შემოვიდა ჭაღარათიანი, მაღალი ტანის კაცი. კოჭლობით შემოაბიჯა. ვიღაცებს მიესალმა, ზოგიერთი კაბინეტში შეიყოლა და კარი მიხურა. კარგა ხანს მომინა ცდამ. შედიოდნენ და გამოდიოდნენ მწერლები. წუთით არ ჰქონდა მოსვენება. არც არავინ მიხმობდა. ვიჯექი ჩემთვის... ვერ გადამწყვიტა, ნავსულიყავი თუ... ვერც კარის შეღება გავხედე, მდივანთან გასაუბრებაც გამიჭირდა. რედაქტორივით, ისიც მკაცრი ჩანდა. ფურცლებში თავჩარგული თავისთვის იჯდა. უძალო და უმაქნისი მერვენი საკუთარი თავი, საკუთარი მოთხრობებიც... არადა, ავტობუსზე მივიანდებოდა – ბოლო რეისი სამ საათზე გადის. შინ შვილები მელოდებიან. მდივანს ჩემი გასაჭირი გავანდე. რედაქტორს მიაშურა. შემოვიდესო, არ უთქვამს; დატოვოს მოთხრობები და წავიდესო. არ მეამა. მაგრამ ამდენი ლოდინის შემდეგ იძულებული გავხდი, სამივე მოთხრობა დამეტოვებინა.

მესამე დღეს ქუთაისში, შემთხვევით, კრიტიკოს სიმონ არველაძეს გადავეყარე. „სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობო. ამ დილით თბილისიდან ჩამოვედი. გუშინ მწერალთა ბაღში ვიჯექი; გიორგი ნატროშვილი მომიახლოვდა და მკითხა: „სიმონ, ლეილა მესხს იცნობ?“ კი-მეთქი. გაქო. მოთხრობები მოიწონა, უახლოეს ნომერში ბეჭდავს...“

ყურს არ დავუჯერე... სამივე მოთხრობა დაბეჭდა. პირველად „ღამე ტაძარში“ (1975 წელს), შემდეგ „ბიჭს მამა ენატრებოდა“ და „ლუჩია“. სრულიად უცნობ ახალგაზრდას ერთბაშად გამიღო ჟურნალის კარი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამას მოჰყვა რომანი „დუმილის დედა“, რომელიც ორ ნომერში დაიბეჭდა.

უანგარო, გულითადი დამოკიდებულება სიცოცხლის ხალხით ავსებს ადამიანს, ძნელად ივიწყებს... არც მე დამვიწყნია! თუმცა საამო შეხსენებას ხშირად ტკივილიანი, დამორგუნველი მოგონება ახლავს. ერთ დღეს „მნათობის“ რედაქციაში მივედი. ბატონი გიორგი არ დამხვდა... თანამშრომლები დაობლებული წინილებივით აბუზულეები ისხდნენ. მიზეზი ვკითხე. „მნათობში“ ახალი რედაქტორი გამოეგზავნათ, შედარებით ახალგაზრდა...

შესასვლელ კართან ხელნაწერები ენყო. ბატონი გიორგის ნივთები აღმოჩნდა – ახალმა რედაქტორმა კაბინეტის გამოთავისუფლება ბრძანა, გიორგის ველოდებით, წასაღებად უნდა მოვიდესო. ცუდად გავხდი. უხმოვ ვიბრუნე პირი. მეშინოდა, კიბზე არ შემხვედროდა. რუსთაველის პროსპექტი გადავჭერი და მეორე მხარეს გადავედი, ჩრდილო მივიმალე. როდის მოვიდა ბატონი გიორგი, არ დამინახავს, მაგრამ ხელნაწერებით ხელში კიბეს რომ ჩამოჰყვა, აშკარად დავინახე. ერთხანს გაჩერებასთან იდგა, მგონი, ტაქსის ელოდა, არ გამოჩნდა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა პროსპექტს.

მძიმე ნაბიჯით მიდიოდა, ჭაღარა, ხმელ-ხმელი, ნაომარი მამაკაცი (მამაჩემს ჰგავდა!). ნაოჭებით დაღაროდა შუბლი. ხმელი, ხეშემა თმის ღერები უჩანდა. ამობურცული საფეთქლები... პროსპექტის მეორე მხარეს მე მივყვებოდი, ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენოდი – რატომღაც ქუჩის გადაჭრა და მასთან მიახლოება ვერ გავხედე. ვერც სამადლობელი სიტყვის თქმა მოვახერხე. გულგატეხილი და დაღლილი ჩანდა...

დღესაც ვნანობ ჩემს მაშინდელ გაუბედობას, ქუჩის გადაჭრა რომ ვერ მოვახერხე. მაინც რა უნდა მეთქვა?! ასეთ დროს რას ეუბნებიან ადამიანები ერთმანეთს?! რითი ამყიდებენ?! თანამდებობის დაკარგვა, ალბათ, არ იყო მისთვის მთავარი... მთავარი რაც იყო, ჩვენც კარგად ვიცით! მალულად მონურული ცხარე ცრემლის სიმწვავეს ვგრძნობდი...

# ლუჩია - პრისტიანული პრისტიანი

ლელა მბელაძე

ამბობენ, რომ კაცობრიობას მემკვიდრეობით გადაეცემა გონებრივი და სულიერი მიღწევები. სხვადასხვა კულტურა ერთმანეთისგან სესხულობს მეტაფიზიკურ წარმოდგენებს, ფილოსოფიურ შეხედულებებს. მარადიულ ღირებულებათა, ზნეობრივ-ეთიკურ კატეგორიათა ძირეული მცნებები ვრცელდება კაცობრიული ცივილიზაციის ერთი ორგანიზმიდან მეორეში.

მაგალითად: ცნობილი ფაქტია, რომ ყველა დიდი რელიგიის საფუძველს ჰუმანიზმი და სიყვარული წარმოადგენს.

ამ მოსაზრებას სხვაგვარ ინტერპრეტაციას მივცემდი: ათასწლეულებში იბადებიან ერთეულები, რომლებსაც შეუძლიათ გონების ძალით დასძლიონ სამგანზომილებიანი, ხილვადი სამყაროს საზღვრები და დაინახონ ის, რაც არსებობს რეალურად, მაგრამ დანარჩენებს, წარმავალ მოვლენათა მრავალფეროვნებაზე მიჯაჭვულებს, არ შეგვიძლია გაღწევა ჩვენი მიკროსამყაროდან და მხედველობის ორგანოებით მისი აღქმა. ჩვენ მხოლოდ ვარაუდები და წარმოსახვები ხელგვეწიფება. ერთეულებს მიეცათ უნარი, ნივთიერი სახით იხილონ ჩვენი ღმერთთან და მარადიულობასთან დამაკავშირებელი რგოლი – ზნეობრივ-მორალური კატეგორიები, კანონზომიერება, რომელიც ჩვენთვის არანოვითიერ, უხილავ მარადიულ ღირებულებათა სამყაროს წარმოადგენს და რომლის მიღებაც ადამიანებს სამყაროს ორგანულ ნაწილებად გვაქცევს.

ქრისტემდე VI სუკუნეში ჩინელმა ბრძენთაბრძენმა – ლაო ძიმ განავითარა მოძღვრება, რომელიც მორალურ ასპექტებში იდენტურია სახარებისეული მცნებებისა.

ამის სადემონსტრაციოდ მისი რამდენიმე აფორიზმიც კმარა:

„სიკეთე მიაგე მოძულეს შენსას.“

„უფრო დიდი უბედურება არაფერია – გძულდეს შენი მტერი. მტრის სიძულვილი ვნებს დაოს.“

„კეთილსაც სიკეთეს მივაგებ და უკეთურსაც სიკეთეს მივაგებ“ – ყოველად ბრძენი ამ სიკეთით შეიქმს უმაღლეს სათნოებას.

„ერთგულთაც ვუერთგულებ და ორგულთაც. ამ ერთგულებით შეიქმს უმაღლეს სათნოებას.“

„ვინცა ზეიმობს გამარჯვებას – ზეიმობს ჯეტაკვლას.“

„ნუ იბრწყინებ, ვითარცა ბრილიანტი, იყავ უბრალო, ვითარცა ქვა.“ – ადვილი ამოსაცნობია ჯვალთი შემოსილი ქრისტესმიერი უბრალოება, რომელმაც თავმდაბლობის ღვთიური თვისების სადემონსტრაციოდ ფეხები დაბანა მონაგებებს.

აი, კიდევ ერთი თვალსაჩინო პარალელი:

„რასაც მიაგებ, იგივეს მოგაგებენ.“ – ლაო ძი.

„რომელი სანყაულითაც მიუწყავ, იმითვე მოგწყავს.“ – სახარება.

დამთმენლობა და სურვილების დათრგუნვა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანულ რელიგიაში, ლაო ძისთანაც პრინციპულად მნიშვნელოვანია:

„უკეთურება ხორციტ ნეტარება. სულიერება ვნებათა დამორჩილება.“

„ჭეშმარიტად: მხოლოდ ის ეზიარა მარადიულს, ვინცა გაიბუნება სინმინდე და უბრალოება, ვინცა შეიზღუდა სურვილები და დაიცხრო ვნებები. ვინცა უარყო ცრურწმობა და ცრუმეტყველება.“

ლერი ალიმონაკის თარგმანის შესავალში ნათქვამია, რომ დაოს გაი-

ვიცება ღმერთთან არაფრით არ შეიძლება. ალბათ, ასეა, თუ ღმერთს თეთრწვერა მოხუცის სახით წარმოვიდგინო, მაგრამ, თუ ღმერთი წარმოვიდგინო, როგორც თვით სამყაროს, მისი მამოძრავებელი, მისგან შექმნილი კანონზომიერებანი, მაშინ დაო და ზეციერი მამა, შემოქმედი ერთი და იგივე მცნებებია.

მაშ, რა არის დაო, თუ არა სული წმინდა, ღმერთის მოქმედი ძალა, რომელიც ყოველგან არის და ყოველთვის ალავსებს მადლითა მისითა.“

დაო ყველგან არის განფენილი, ყველგან მიმოიძვრის. ყველაფრის შემქმნელია უმოქმედობით (ადამიანური გაგებით.)

დაო დროის გარეშე არსებული, მარადიული სუბსტანციაა.

„მე არ ვუნყი სახელი მისი, გარეშემოვწერ და დაოს ვარქმევ.“ – ამბობს ლაო ძი.

„გუმზერ და ვერ ვხედავ. ამიტომ ვუნოდებ უხილავს. ვუსმენ და არ მესმის. ამიტომ ვუნოდებ უხმოს. ველტვი და ვერ ვწვდები. ამიტომ ვუნოდებ დაფარულს. აუხსნელია ამ სამთა კავშირი. ერთიანია ამ სამთა კავშირი.“

„იგი არის, რასაც ჰქვია: სახე არასახიერისა; ხატი არახატიერისა.“



„ყოველი არსი მისგან იშვის და მასშივე მიიქცევა.“

„იგი დაუსაბამოა. დაუსაბამოა და არავინ უწყის სახელი მისი. იგი კვლავ არყოფნას უბრუნდება.“

„ყოველი არსი ყოფიერმა შვა, ხოლო ყოფიერი – არყოფნამ.“

ყოფიერის და არყოფნის, ხილულის და უხილველის ერთიანობაა დაო. მისი სიღრმისეული აღქმა, ყოფიერის და არყოფნის, სიკვდილის და სიცოცხლის ერთი სუბსტანციის სხვადასხვა საფეხურებად, ერთი ჯაჭვის შემადგენელ რგოლებად ხედვა მას შეუძლია, ვინც ზნეობრივი სრულქმნილს ილტვის, ვისაც განურჩევლად უყვარს ყველა სულდგმული. ლაო ძის ენით: ვინც უმაღლეს დეს ფლობს და ამასთანავე არ მედიდურობს ამ განძის ფლობით, თავის თავს არ მიიჩნევს ამის გამო არც ერთ არსზე აღმატებულად. უფრო მეტიც, მან არც კი იცის თუ რა სიდიადეს დაუფლებია: „ვინც უმაღლეს დეს ფლობს, არაფერი უწყის ამის შესახებ. ამიტომ ფლობს უმაღლეს დეს.“ სწორედ ასეთი ბავშვური უბრალოებით აღჭურვილი პიროვნება უერთდება მარადილობას – დაოს, ისევე, როგორც სახარების მიხედვით: ცათა სასუფეველი ბავშვური გულით დაიმკვიდრება.

„დაო დე ძინი“ ლევ ტოლსტოისაც უთარგმნია რუსულ ენაზე. „ნიგნი გზისა.“ – ასე უწოდებდა იგი ამ მოძღვრებას და სურდა რუსი ხალხი ეზიარებინა ამ უდიდესი სიბრძნისთვის. მისი „აღდგომა“ ლაო ძისეული სენტენციების განვითარებაა. ნიგნში ასახულია, თუ როგორ აუბედურებს ადამიანებს ბიოროკრატიული წესები და კანონები, ყოველივე, რაც ეწინააღმდეგება მის ბუნებითობას (ბუნებითობაში ლაო ძი გულისხმობდა ადამიანის სულის პირველქმნილ, ადამი-

სეულ უბრალოებას და სიბუნებურს.) ამ მოსაზრების გასამყარებლად რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

„იდეალური წესრიგი და თანხმობა ყოველგვარი წესების უარყოფით მიიღწევა.“

„რაც მეტია კანონი და ბრძანება, მით მეტია ქურდი და ავაზაკი.“ – ამბობს ლაო ძი.

ტოლსტოი კი „აღდგომაში“ ერთ ადგილას წერს:

„შესაძლოა საჭირო იყოს ხელოვნურად ჩამოქნილი ფერდობების ფილაქნით დაფენა, მაგრამ სამწუხარო სანახავია ცენარეებს მოკლებული მინა, რომელსაც შეეძლო წარმოეშვა ბალახი, ბუჩქნარი, ხეები. იგივე ხდება ადამიანთა შორისაც: შესაძლოა საჭირონი არიან ჩინონიკები, მაგრამ საშინელი სანახავია ხალხი, მოკლებული უმთავრეს ადამიანურ თვისებას – ერთიმეორის სიყვარულს და სიბრალულს.“

ტოლსტოი თავისივე თარგმანის შესავალში (რომელიც მთლიანად აქვს მოტანილი ლ. ალიმონაკს აღნიშნულ ნიგნში) ამბობს: „ერთადერთ გზა, რისი წყალობითაც ადამიანი შეერწყმის ღმერთს, არის დაო. დაო ხომ ყოველივე ზედმეტის, ხორციელის დათმენით შემოქმედება ასევე, იოანეს პირველ ეპისტოლეში ადამიანის ღმერთთან შერწყმის საშუალება არის სიყვარული. სიყვარულიც ისევე, როგორც დაო, მიიღწევა ყოველივე ხორციელის და პირადულის დათმენით.“

სხვადასხვა გარეგნული ატრიბუტით და წესების სიუხვით არც ქრისტე ზღუდავდა ადამიანებს. გვახსოვს: როგორ გააცამტვერა ფარისევლთა დოგმა, რომლის მიხედვითაც შაბათს ყველანაირი საქმიანობა, მათ შორის სიკეთის ქმნაც, დაუშვებელი იყო; როგორ ეწინააღმდეგებოდა ის ფარისევლთა ფუჭსიტყვაობას და ცრუქადაგებებს.

„შენი „ჰო“ იყოს ჰო და „არა“ იყოს არა. რაც ზედმეტია – ეშმაკისეულია.“

ფუჭსიტყვაობის შესახებ ლაო ძი ამბობს: „ჭეშმარიტი სიტყვა რ არის ლამაზი. ლამაზი სიტყვა არ არის ჭეშმარიტი.“

უშუალოდ ქრისტესგან ნათლობა და ზიარების მიღება – მხოლოდ ეს რიტუალები დაუნესდა კაცობრიობას. ეს მისი ცადამალეების შემდეგ დაიყვინენ ადამიანები მართლმორწმუნებად და მწვალებლებად, იმისა და მიხედვით, ვინ რა რიტულს ასრულებდა ღმერთის სადიდებლად და იმ უფლების ინტერპრეტაციით, რაც იესომ მიაჩა მათ:

„რასაც შეკრავთ მიწაზე, შეკრული იქნება ზეცაშიც და რასაც დახსნით მიწაზე, დახსნილი იქნება ზეცაშიც.“

ასევე ლაო ძიც უარყოფდა ადამიანთა შეზღუდვას წესების და რიტუალების სიუხვით.

„აღკვეთეთ ცრურწმობა და ცრუმეტყველება და ასე ზის ბედნიერი იქნება ხალხი.“

ისევე როგორც იესო, თავისი სიდიადისა და შინაგანი თავისუფლების მიუხედავად, მორჩილებას გამოხატავდა იმ წესების მიმართ, რომლებიც ღრმად იყო დამკვიდრებული ყოველდღიურობაში („მთავთ კისარს კეისრისა“), ლაო ძიც მორჩილებას სულიერების მაღალ საფეხურად განიხილავდა:

„უმაღლესი სათნოება – მორჩილებას მიეღვტის.“

„მორჩილება მოკრძალებას ბადებს და კრძალულნი მორჩილებენ ერთერთს.“

# „გაზაფხული დაიწყო, ლან“

კიდევ ერთხელ შემოაბიჯა გაზაფხულმა საქართველოში!

კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი, რომ ახალი სიცოცხლე თუ სიცოცხლეები იწყება ჩვენს ქვეყანაში და ჩვენც, ყველამ ერთად, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ ქართველების სულში მარადიული გაზაფხულის შეგრძნების დღესასწაული არსებობდეს.

და, თუ ამ დღესასწაულების არსებობა გვსურს, სული უნდა ვუბეროთ ჩვენს უმშვენიერეს, დაუზავებელ ტრადიციებს, რომლებმაც დღევანდლამდე მოიტანა ჩენი სამშობლო - ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

საქართველოს ისტორიამ არაერთი ქალბატონის სახელი შემოგვინახა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს სულიერ ფორმირებაში. მაგალითისთვის თუნდაც ქეთევან დედოფალი იკმარებდა, რომლის მონამებრივმა აღსასრულმა, სიმტკიცემ და შეურყევლობამ ყველას დაანახა, რომ საქართველოს უკვდავება სწორედ ასეთი წმინდანების თავდადების შედეგია.

ერთი უპირველესი ტრადიცია, რითიც გამორჩეული ვიყავით და, ალბათ, ვიქნებით კიდევ, დედის ხაზგასმული პატივისცემაა, მისი დიდი სიყვარული და მონივნა.

ქართველი დედა ჩვენს სამშობლოში მუდმივად სიკეთის, პატიოსნების, კლდეამოსილების, კერიის ერთგული დარაჯის განსახიერებად აღიქმებოდა და ყველა განახლების ერთ-ერთი უპირველესი გარანტი იყო.

სწორედ ამაზე იყო საუბარი სამტრედიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართულ დედის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე, რომელიც 14 მარტს ჩატარდა. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა მზია ჩიხლაძემ. ასევე სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკის დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკა-

რი ქალბატონი რუსუდან კახიანი. მათ შეხვედრის მონაწილეებს მიულოცეს გაზაფხულის დადგომა, ვრცლად ისაუბრეს ქალის, კერძოდ ქართველი ქალის, როლზე და მნიშვნელობაზე.

შეხვედრაზე გამოვიდნენ სამტრედიის ინტელიგენციის წარმომადგენლები: გულიკო გოგიტიძე, მაცვალა კანდელაკი, ეკა კიკაჩიშვილი, ვერუშა ვაშაკიძე, ნათელა გელეიშვილი, ლევან გაბეჩავა, რაულ ხუჭუა.

შეხვედრის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო პოეტების, აკაკი თევზაძის და თემურ ჯულაყიძის გამოსვლებმა, რომლებმაც შეკრებილ ქალბატონებს მიულოცეს დღესასწაული და საკუთარი ლექსებიც მიუძღვნეს მათ.

საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ შეხვედრაზე გამოვიდა ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ლაშა ბიბინაძე, რომელმაც მსმენელები მოხიბლა გულწრფელი და უშუალო ლექსებით.

დამსწრეთა წინაშე გამოვიდნენ სამტრედიის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც წაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსები...

გამომსვლელები მაღლობას უხდიდნენ სამტრედიის ცენტრალური ბიბლიოთეკის მესვეურებს მათი საქმიანობისათვის - ისინი ხომ ამ დიდი ტრადიციების მქონე რაიონში ქართული კულტურის და სულიერების აღორძინების უმშვენიერეს საქმეს ემსახურებიან. ითქვა ისიც, რომ ამ ბიბლიოთეკაში ქართული მწერლობის მიღწევებით დაინტერესებულ მკითხველებს ყოველთვის ეძლევათ საშუალება გაეცნონ ქართული ლიტერატურული პერიოდიკის ისეთ გამოცემებს, როგორც არის ყველასთვის საყვარელი გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“.

შეხვედრაზე, რომელმაც თბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, გამოითქვა სურვილი რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც რეგულარულად გაიმართება.

ნატო ივანიძე

# ბაბუაჩემი

დღეს ბიძა მეწვია, სიმართლე რომ ვთქვა, ახლახანს გაცნობილი ბიძა. საყვარელი კაცი გამოდგა ძალიან. აქამდე სად ვიყავით? მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. ბევრი რამ მიაბო. ისიც თუ როგორ უცემია ბაბუაჩემს, ალექო შენგელიას, ადმირალი კუზნეცოვი. მატარებელში „ესევე“-ში (საერთაშორისო ვაგონი, რომლით მგზავრობაც პრესტიჟის ამბავი იყო, კომფორტისაც, „ესევე“ უნდა ყოფილიყო, აბა, როგორ!) ასულა ალექო და დაუძინა. მისი მეზობელი, ვინმე ადმირალი კუზნეცოვი თავის თანხლებთან ერთად სვამდა თურმე და, მთვრალი რომ დაბრუნებულა, მძინარე მეზობელი შეუთვალეობებია, მერე აცოცებულა მის ნარზე და ყელში წაუვლია ხელი: „ტაკ ნადო ზადუმიც ვას, ესეხ გრუზინოვ“. ტყუპი ნიხლი ამოუკრავს ბაბუაჩემს და მატარებლის დერეფანში გაუგდია ეს შენი პატივცემული ადმირალი, მერე დახტომია და გემრიელადაც უბეთქია. ამტყდარა ვაი-უშველებელი. მატარებელი ხაშურში ამის გამო გრაფიკიდან ამოუგდიათ. ადმირალს თბილისში თავის წარმომადგენლობასთან დაურეკავს. არც ბაბუაჩემი დარჩენილა გულხელდაკრევილი - ამდგარა და მწერალთა კავშირისთვის უცნობებია ყველაფერი. ჰოდა, თბილისში კუზნეცოვს თავისიანები დახვედრიან, ალექოს კი - ცუკას მდივანი. წაუყვანია ალექო კანდიდ ჩარკვიანს და უთქვამს - ადმირალი ამბობს, არ ვუცემივარო და ასე დავამთავროთ ეს ამბავიო. რას ჰქვია არ მიცემიაო, - გადარეულა ბაბუაჩემი, - მაგისი შოვინისტი ასე და ისეო... მოკლედ, აწრიალებულა მთელი ქალაქი. ბევრს გული მოუფხანია რუსის ადმირალის ბეთქით... ასეთი იყო ბაბუაჩემი ალექო შენგელია - ამყდა და სამართლიანი, ფიცხი და დიდგულა კაცი...

ალექოს ძმებიც მაგრები ჰყავდა, ძია (ჩემი ახალგაცნობილი ბიძის, დათოს მამა) მიშა, ილია, ვალიკო. ყველანი სხარტი გონებისა და ეშხიანი ადნაგობის. მათი მამა, სოფრომი კი გილდის ვაჭარი გახლდათ. ოოჰ, რა ქონება ჰქონია!.. წარმოდგენაზეც გული მიფანცქალებს. ყორდანის კლინიკა რომაა, ეგ ყოფილა სოფრომის სახლი. ტიტუტუტუ!..



გადაასახლეს და დახვრიტეს. მეუღლე დომინიკასთვის (უფულამაზეს დიდ ბებიასთვის) მიწაში დაფლული განძი დაუტოვებია, რისი წყალობითაც კეთილ და ცისფერთვალა დოკას ექვსი შვილი გამოუზრდია.

იმდენი რამის თქმა მინდა, ეს პატარა ნოუთისები ამხელა ამბებს ამხელა ადამიანებზე, აბა, როგორ დაიტევს? - დიდი ბაბუა - დახვრეტლი; შვილები: ილია - საბჭოთა კავშირმა დაიჭირა და მოკლა, ძია - ბევრი წელი იჯდა ციხეში, ირკუტსკში, ნაციონალისტობის გამო, უფრო სწორად, სამშობლოს სიყვარულის გამო. სინანულით ბევრჯერ დასცდა ბიძია დათოს: ჩვენმა ჯიშმა იმხელა მსხვერპლი გაიღო, ეს ქვეყანა რომ არ იმსახურებდაო. ქვეყანაში, რა თქმა უნდა, „დიად საბჭოეთს“ გულისხმობდა ბიძია.

ასეა ეს, ასე!.. წლებიანდელი შემოდგომა მე-100-ე იქნებოდა ბაბუაჩემისთვის. ვპირდები, ისეთ იუბილეს გადავუხდი, როგორც ეკადრებოდა დიდებულ კაცსა და პოეტს.

„იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ, იმ თეთრ აკვანს, დედაჩემის ციხეურ თვალებს...“

რომ აღვასრულებ!

ნათია ქობალია

- კობიტაციის დროში მასონურ ხუთჯვრიან დროში ცხოვრების ფასია გროში, სინდისის - ნახევარგროში.
- ერთ დროს იყო მინისტრი და ვედარ ნახა ხეირი. გახდა პარლამენტარი და კიდევ ნახა ხეირი.
- კეზერაცია, გიგიზაცია და სხვა ამგვარმა ძარცვაზაცია ჩვენი ხაზინა მთლად დააქცია და ლარს დამართა დევალვაცია.

- შაქრისაგან შაქარივით ვდნები, მარილებმა გამიმწარეს ცხოვრება. მაინც ცოცხლად დილდილობით ვდგები, ალბათ, სული ღამღამობით ცხოვნდება.
- უნინ ვსვამდი, დღეს კი ვერ ვსვამ, ალბათ, წლების ბრალია, მაინც ვიტყვი: გაუმარჯოს, ვინც ბოლომდის დალია.
- მშიშარა ხარ და იმიტომ დიდი შავი ჯიპით მგზავრობ,

გაბედულად დაჯირითობ, არაფერზე აღარ ჯავრობ.

- უნინ ყოფნა უმუშევრად იყო დანაშაული. დღეს შეხვედები უმუშევარს იმდენს, გვერდს ვერ აუვლი.

**ასოციაციების კუპლავი**

თრობის საათი, ტროფობის საათი, გალაკტიონი, მუსლი საადი, მკვდარი საათი, ვახშმის საათი, სანატორია, მწვანე სალაათი.

ირაკლი გუხნიკაშვილი

**მიმდინარე წლის 24 მარტს, დღის 12 საათზე, მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ. №13) გაიმართება ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტის რაშიდ ფახრალის ლექსების კრებულის - „შეხვედრა“ პრეზენტაცია**

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის აზერბაიჯანული განყოფილება**

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-ქსარესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“ კოდი: MIBGGE22 ანგ. № GE61PC0183600100029708

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.**

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**მკირფანსო ავტორებო!**

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღმატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“ მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39 ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი **თამაზ ნივნიკაძე**

თავისუფლების მოედანი №4; E-mail: litsaqrtvelo@yahoo.com ტელ.: 292 34 89

გამოდის **პარასკეობით**